საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

# აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII—XX სს.

(ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1984

63.5(2Г)
907/(47.922)
თ 778

წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფიული მასალებისა და ლინგვისტური მონაცემების ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიაში შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის (ფშავი, ხევსურეთი) მოსახლეობის მიგრაციის პროცესი XVII—XX სს. ნაშრომში დადგენილია ცალკეული გვარების წარმომავლობა-სადაურობა, ბარში ჩასახლების მიზეზები, ფორმები და მარშრუტები, გამოვლენილია ჩამოსახლებულთა სოციალურ-კულტურული ადაპტაციის თავისებურებანი, ნაჩვენებია ბარში მთიელთა დასახლების კანონზომიერი ხასიათი.

რედაქტორი ვ. ითონიშვილი

თ $\frac{0508000000}{М 607 (06)—84}$ 198—84

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1984

ვუძღვნი ძვირფასი მასწავლებლის პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ნათელ ხსოვნას

# შესავალი

მოსახლეობის მიგრაციები, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული გამოვლინება, მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა. ამ პროცესების მეცნიერულ შესწავლას ერთდროულად ორგვარი მნიშვნელობა აქვს — თეორიული და პრაქტიკული. პრობლემის სირთულის გამო მისი შესწავლა სხვადასხვა კუთხით და მიდგომით ხდება, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა.

მოსახლეობის მიგრაციებს არსებით ყურადღებას უთმობდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, რომლებმაც შექმნეს ხალხთმოსახლეობის მეცნიერული თეორია. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა განავითარა ხალხთმოსახლეობის მარქსისტული თეორია და მასში მოაქცია სხვადასხვა ასპექტი, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებს. ვ. ი. ლენინმა ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", რომელიც მიგრაციების მეცნიერული შესწავლის მეთოდოლოგიის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, და აგრეთვე ხალხის შიდა გადანაცვლების საკითხისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომებში გამოააშკარავა რევოლუციამდელი რუსეთის მოსახლეობის მიგრაციის კანონზომიერებანი და თავისებურებანი და ამ საზოგადოებრივი მოვლენის გამაპირობებელი ფაქტორები [10, გვ. 649—704; 11; 12].

მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ცხოვრების მრავალ მხარეზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა. განსაკუთრებით საგულისხმოა აღნიშნული ისტორიული კატეგორიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა.

მოსახლეობის მიგრაციის ეთნოგრაფიული შესწავლა მთავარ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა გავლენას ახდენს ახალი საცხოვრებელი გარემო გადასახლებულთა ყოფა-ცხოვრებაზე, წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, როგორია სამეურნეო-მატერიალური და სოციალურ-კულტურული ადაპტაციის შინაარსი და დონე. კვლევის საგანი ხდება, აგრეთვე, ხალხთა გადასახლების შედეგად მიმდინარე ეთნიკური პრო-

ცესები [121, გვ. 35—37]. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსახლეობის მიგრაციები არსებით როლს თამაშობს ეთნიკურ პროცესებში, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ეს როლი ერთნაირი როდია. მისი მნიშვნელობა ეთნიკურ ერთობათა ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდია ისტორიის ადრეულ ეტაპებზე [115]. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია მიგრაციული პროცესების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების განსაკუთრებული მნიშვნელობა. კერძოდ გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ მიგრაციული „პროცესი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს და სათანადოდ შეფასდეს ეთნოგრაფიული მოვლენების განხილვის დროს" [90, გვ. 283].

მიგრაციული პროცესების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს მნიშვნელობა აქვს სოციალური განვითარების თანამედროვე პირობების შესწავლისათვისაც. პირველ რიგში კი მიგრაციული ქცევის მექანიზმის და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ადაპტაციების სპეციფიკის შედარებითი კვლევისათვის.

მოსახლეობის მოძრაობის თვალსაზრისით საგულისხმოა საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორია, რაც ყველა მთაბარიანი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი [123; 124, გვ. 230—240; 149; 150]. ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში გადასახლების ერთგვარად კანონზომიერი პროცესის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები სპეციალური თვალსაზრისით მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის და ამდენად წინამდებარე ნაშრომი ამ მხრივ პირველ ცდას წარმოადგენს, თუმცა ქართულ სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურაში მიგრაციული პროცესების ცალკეული საკითხები უყურადღებოდ არ ყოფილა დატოვებული.

მთის მოსახლეობის შინაგანი გადაჯგუფების პროცესით პირველად ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) დაინტერესდა, რომელმაც მთიელთა ბარში ჩამოსახლება ქვეყნის მშვიდობიანობა-ომიანობას დაუკავშირა: „ხოლო რაოდენნი ესნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ესნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან" [42, გვ. 364]. ქვემოთ ვნახავთ, რომ მთის მოსახლეობის დაბლობში მიგრაციის ძირითად მიზეზებთან, — ეკონომიკურსა და გეოგრაფიულთან, — ერთად, ვახუშტისეული აღნიშნული პოლიტიკური მიზეზიც გარკვეულ როლს თამაშობდა. ვახუშტივე მიუთითებდა ომიანობის დროს ბარელთა მთაში შეხიზვნასა და ქართლიდან გლეხთა კახეთში გადასახლებაზე [42, გვ. 425, 520].

XIX ს. ავტორთაგან ფშავ-ხევსურთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მ. მაჩაბელმა და ვაჟა-ფშაველამ. პირველმა მათგანმა სრულიად სამართლიანად მთიელთა ბარში გადასახლების მიზეზად ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორები მიიჩნია [132, გვ. 342—343].

ვაჟა-ფშაველამ, როგორც მომსწრემ მთიელთა დაბლობში ჩამოსახლებისა, რამდენიმე წერილი უძღვნა აღნიშნულ პროცესს [38—ბ, 38—ა], მოგვევლინა შირაქში ჩასახლებული ფშავლების იურიდიულ დამცველად და ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალით მთიელთა მიგრაციის უფრო ადრეული სურათი აღადგინა. ის წერდა: „ლაშარობაზე ფშაველებს გარდა თქვენ იქ ხედავთ ბარელ ქართველებს, ბარელნი თითქმის ორასის ვერსის მანძილიდან მოდიან ლაშარში სალოცავად თავიანთი ცოლ-შვილით უგზო გზით, აუტკივარ თავს რისთვის იტკივებენო, — რატომ არ იკითხავთ? იკითხავთ, თუმცა ტყუილად, ვინაიდან ისინიც ლაშარის ჯვარს, როგორც ადგილობრივი ფშავლები, მამა-პაპის სალოცავად, თავის ხატად და ბატონ-პატრონადა სთვლიან“. შემდეგ: „დაჭეშმარიტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარით მომდინარე დღეს ლაშარში მლოცველები ძველად ბარში გადასახლებული ფშაველები არიან“ [38—ა, 234].

ვაჟა-ფშაველა პირველი იყო, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვადასხვა კუთხიდან ერწო-თიანეთში დასახლებული მთიელების ყოფისა და წეს-ჩვეულებების შეცვლა-შეუცვლელობის შესახებ მიუთითა [38—ბ. გვ. 44].

საბჭოთა მეცნიერთაგან საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის საკითხებს, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის ადგილმონაცვლეობას ზოგადად შეეხო ნ. ბერძენიშვილი [24—ა, გვ. 235—245]. მიუხედავად იმისა, რომ მას სპეციალური კვლევა არ უწარმოებია, აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებანი. ნ. ბერძენიშვილმა მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის მკვლევარებს დაუსახა მეთოდური პრინციპები, მიუთითა ძირითადი სალოცავების გამოყენების მნიშვნელობაზე, რამდენადაც იგი ამას ერთ-ერთ საიმედო საშუალებად თვლიდა. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით მოსახლეობის ადგილგადანაცვლება ფეოდალურ საქართველოში ძირითადად კლასობრივი ხასიათისა იყო [24—ა, გვ. 237—239; 40, გვ. 42—52]. ქართულ ისტორიოგრაფიაში მთიელთა ბარში პერიოდული ჩამოსახლების აღსანიშნავად გამოყენებულია ნ. ბერძენიშვილის შემოთავაზებული ცნება „მთიელთა ჩამოწოლა“.

საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის საკითხებს ისტო-

რიული კოლხეთის ტერიტორიაზე შეეხო გ. მელიქიშვილი. მისი დასკვნით ძვ. წ.I და ახ. წ. I სს. მთის მოსახლეობის დაბლობში ჩამოსვლამ „პირობები შეამზადეს კოლხეთში ახალი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბებისათვის“ [75—ა, გვ. 482]. „მთიელთა ჩამოსახლებამ, რომელთა შორის ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების ტრადიციები, ერთგვარად გააახალგაზრდავა კოლხეთის საზოგადოება, გააძლიერა ერი“ — თავისუფალ მეთემეთა ფენა, თუმცა ამასთან ერთად ჩამოსახლებული მთიელებიც ადრეკლასობრივი საზოგადოების დონეზე აიყვანა“ [75—ა, გვ. 547]. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მთიელთა სტიქიის მოძალებამ და მთიელი ტომების მასიურმა ჩამოსახლებამ შეაფერხა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი [64, გვ. 124—125].

ქართველ ეთნოგრაფთაგან საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციაზე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით, ყურადღება პირველად გ. ჩიტაიამ გაამახვილა [90; 145, 147]. მან მიუთითა, რომ მთიდან ბარში მოსახლეობის გადასახლება აუცილებელი პროცესი იყო. მეურნეობის პროდუქტების უკმარისობის გამო აქ შეუძლებელი ხდებოდა მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობაზე მეტის გამოკვება და ჭარბი ნაწილი სახლდებოდა მთისწინეთსა და ბარში. მისივე თქმით, მთიელთა ბარში მიგრაცია საფეხურებრივ ხასიათს ატარებდა.

ქართველ ეთნოგრაფთაგან საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციას ყურადღება მიაქციეს და აზრი გამოთქვეს: ვ. ბარდაველიძემ [19, 102—103], მ. გეგეშიძემ [31, გვ. 217], თ. ოჩიაურმა [68], ს. მაკალათიამ[59; 57],გ. ჯალაბაძემ [112, გვ. 12, 47; 113; 114, გვ. 6—24], ილ. ჭყონიამ [101], ვ. ითონიშვილმა, ჯ. სონღულაშვილმა [46, გვ. 197—200; 76; 77] და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მოსახლეობის გადასახლების საკითხებს ამანათობასთან კავშირში შეეხო მ. კანდელაკი [129], რადგან ეს სოციალური მოვლენა [ამანათობა] უშუალოდ მთის ერთი კუთხიდან მეორეში, ანდა საერთოდ მთაში ნებისმიერი გეოგრაფიული რეგიონიდან ადამიანის გადასახლებას მოსდევს შედეგად. ასევე მოსახლეობის მიგრაციას უკავშირდება ხიზნობა, რომელიც შესწავლილი აქვს ვ. გუჩუას.

ქართველ მთიელთა ბარში ჩამოსახლებას XIX—XX სს. შეეხო საბჭოთა ეთნოგრაფი ნ. ვოლკოვა [122; 125]. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობის ბარში გადასახლებაზე [123; 124]. ოსების მთიდან ბარში მიგრაციის ისტორიას მიეძღვნა ბ. ბეროზოვას მონოგრაფია [119].

ქართველი მთიელების მიგრაციაზე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილეს დ. მუსხელიშვილმა [65], ნ. ასათიანმა [16, გვ. 21], რ. რამიშვილმა [79], ჯ. გვასალიამ [33]; სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ალ. ბენდიანიშვილმა [22, გვ. 52—62; 63, გვ. 458—466], ე. ხოშტარიამ [105; 143, გვ. 82—88], ი. უთურაშვილმა [78; გვ. 184], პ. გუგუშვილმა [36]; ეკონომიკურ-გეოგრაფიული ასპექტით ვ. ჯაოშვილმა [127]. XIX ს. საქართველოში აღნიშნული საკითხი ისტორიულ-დემოგრაფიული კუთხით გააშუქა კ. ანთაძემ [14], დასავლეთ საქართველოს მთიელთა თანამედროვე მიგრაციული პროცესების შესწავლას სოციოლოგიური გამოკვლევა უძღვნა აკ. კაცაძემ [51].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული გვარების მკვლევარის, ენათმეცნიერ ი. მაისურაძის ნაღვაწი ამ სფეროში. იგი მოსახლეობის მიგრაციას ჩვენს ქვეყანაში შეეხო იმდენად, რამდენადაც ბევრი ქართული გვარი წარმოშობილია ამ სოციალური მოვლენის შედეგად. ასეთი ქართული გვარები ძირითადად -ელ და -არ ფორმანტებს ირთავენ. რა თქმა უნდა, ე. წ. „გეოგრაფიული" ტიპის გვარები მეორეულია. გადასახლების შედეგად მიგრანტებმა ახალი გვარი მიიღეს და მასში ძველი საცხოვრებელი პუნქტის სახელიც ჩააქსოვეს. ი. მაისურაძის მიერ ამ თვალსაზრისით დაჯგუფებული გვარები საქართველოში მოსახლეობის გადასახლების საყურადღებო სურათს წარმოაჩენს (იხ. ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1979, გვ. 29—47).

ზემოთ აღნიშნული ნაშრომები აშკარად მიუთითებენ საქართველოში შიდა მიგრაციული პროცესების ისტორიულ-დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ. კუთხით შესწავლის მნიშვნელობაზე. ამანვე ბევრად განსაზღვრა მიგრაციული პროცესების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის საჭიროება, რასაც ჩვენი მონოგრაფია მეტ-ნაკლებად უპასუხებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ბარში მიგრაციის ეთნოგრაფიული შესწავლა ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალას დაემყარა, რადგან მოსახლეობის მოძრაობა ხშირად უფრო კარგადაა ხალხში „ჩაწერილი", ვიდრე წერილობით წყაროებში. ამ მასალის ისტორიულ-შედარებითი ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ხასიათის და დანიშნულების წერილობითი მონაცემები.

მოსახლეობის აღწერის მასალებიდან შეიძლება გამოვყოთ აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები [110], რომელიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონების (კახეთი, ერწო-თიანეთი, არაგვის ხეობის მთისწინეთი და ბარი) მოსახლეობის აღწერასაც შეიცავს. ამ მხრივ აღსანიშნავია, აგრეთვე, 1801—1802 წლების კახეთის აღ-

წერა [26]. ყურადღებას იმსახურებს XIX ს. საოჯახო სიები და მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები. ზოგიერთი მათგანი ძვირფას ცნობებს შეიცავს მთის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. მოსახლეობის გადასახლების სურათის აღდგენის საშუალებას გვაძლევს აგრეთვე ზემოთ დასახელებული ორი წყაროს — ეთნოგრაფიული მასალებისა და ხალხის აღწერის მონაცემების — ურთიერთშედარება.

ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ნაშრომს, შეკრებილია იმ მეთოდიკით, რომელიც შეიმუშავეს ივ. ჯავახიშვილმა [106; გვ. 168—171] და გ. ჩიტაიამ [91; 146] (საველე-ეთნოგრაფიული მასალის შეკრების „კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი").. ამასთანავე, ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდიკა, რაც ერთ საკვლევ მიზანდასახულებას დაუმორჩილდა. ასეა შესწავლილი მიგრაციული მარშრუტები, მატერიალური კულტურის ელემენტები („მოძრავი საკულტო ძეგლების" ფიქსაცია), სამეურნეო-კულტურული ადაპტაცია, ონომასტიკონი. არსებითი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ დოკუმენტებს, საფლავის ქვებს, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და სხვა მასალების ჩვენებებს [141, გვ. 3—9].

ნაშრომში გამოყენებული საველე-ეთნოგრაფიული მასალები შეკრებილია 1973—1978 წლებში იმ გეოგრაფიულ ერთეულებში, სადაც ისტორიულად მიმდინარეობდა ქართველ მთიელთა გადასახლებები როგორც მთისწინეთსა, ისე ბარში: თიანეთის, დუშეთის, მცხეთის, საგარეჯოს, ახმეტის, თელავის, წითელწყაროს რაიონებში.

წინამდებარე ნაშრომის ისტორიულ-ეთნოგრაფიული დამუშავება პირველია ქართულ ისტორიოგრაფიასა და ეთნოგრაფიაში. მას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და ამასთანავე გარკვეული კუთხით აშუქებს საქართველოს ისტორიული წარსულის ზოგიერთ მხარეს.

მთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალთახედვით კვლევას არა მარტო სამეცნიერო-თეორიული და შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაგვეხმაროს დღევანდელი მთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების რეგულირებაში, როდესაც სოციალური დაგეგმვის საკითხებში უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს მოვლენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა. წარსული მიგრაციული პროცესების შესწავლით შესაძლებლობა გვეძლევა ვიმსჯელოთ დღევანდელ შესაბამის მოვლენებზე, კრიტიკულად გავაანალიზოთ წარსულის ზოგიერთი გამოცდილება ამ სფეროში და ცალკეული არასწორი პრაქტიკაც კი, რასაც ჩვენს ახლო სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების მთიდან ბარში ჩამოსახლების საკითხში. ასეთმა პრაქტიკამ, ალბათ, აჩქარების მი-

ზეზით არასასურველი შედეგი დატოვა — ზიანი მიაყენა მთის პირობებში ტრადიციულ-საწარმოო პროფილის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას, რაც საქართველოს სპეციფიკურ პირობებში ასე საჭირო იყო და რასაც დღეს უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ყოველივე ეს კი დააჩქარებს საქართველოს მთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავებას და რეგიონალურ პროგრამირებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის (ფშავის, ხევსურეთის) მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, კულტურულ-ისტორიული საკითხები განვლილი სამი საუკუნის (XVII—XX ს. I მეოთხედი) მანძილზე.

## თავი I

# ქართველ მთიელთა ერწო-თიანეთში გადასახლებები

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთის მოსახლეობა უშუალოდ ბარში არ გადასახლდებოდა [90, 92], არამედ გაივლიდა შუალედურ რგოლს, ე. წ. საფეხურს მთისწინეთის სახით, რადგან უაღრესად ძნელი იყო მთიელისათვის ბარის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შეგუება და ფიზიოლოგიური ადაპტაცია. ამავე დროს გადასახლებულისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო-საწარმოო მომენტს. მიგრანტისათვის თითქმის არსებითი იყო ახალ საცხოვრებელ გარემოში მეურნეობრივი მოწყობის საკითხი. ის თავდაპირველად ვერ წყდებოდა მთის მეურნეობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომელიც ტრადიციით მამა-პაპათაგან ჰქონდა მიღებული, ბავშვობიდანვე იყო შეგუებული და ამდენად მთური საწარმოო პროფილის შეცვლა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა. ამ მხრივ მთიელის ფიზიოლოგიურ ადაპტაციას და მეურნეობრივ მოწყობას ხელს უწყობდა მთისწინეთი, მთიდან ბარში გარდამავალი ზონა.

ჩვენ ხელთ არსებული წყაროებით ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში ჩამოსახლების სურათის აღდგენა ხერხდება XVII ს. II ნახევრიდან, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია უფრო ადრეულ პერიოდშია საგულვებელი.

მიგრაციული პროცესების სურათის დასანახავად, დასახასიათებლად და შინაგანი თავისებურებების გასათვალისწინებლად მიზანშეწონილად ვცანით წარმოვადგინოთ უმთავრესად გვარების ისტორია, წარმომავლობა-სადაურობა, რაც საშუალებას მოგვცემს, წარმოვაჩინოთ ჩვენს მიერ შესწავლილი პროცესის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული საკითხები, რომელთა რიგში ექცევა, აგრეთვე, ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში გადასახლების მიმართულებები, თავისებურებები, ხასიათი, ფორმა, ახალ ადგილზე დასახლების მოწყობის სპეციფიკა. უმეტეს შემთხვევაში გვართა სადაურობა-წარმომავლობაზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალით მიგრაციის მოტივაციის საკითხებსაც ვწვდებით.

ერწო-თიანეთი, ივრის ხეობის ზემო წელი, ფშავის არაგვის ხეობას უშუალოდ ემეზობლება და სწორედ აქ შექმნეს ფშავიდან გადმოსახლებულებმა დიდი კომპაქტური დასახლებები. დასახელებულ რეგიონში ფშაველთა გადმოსახლებაზე თხრობას დავიწყებთ დიდი გვარებით, რომლებსაც კარგად ახსოვთ წინაპართა ფშავიდან მოსულობა, თავდაპირველი გვარი და თემი, გადმოსახლების მიზეზი.

თიანეთის ჩრდილოეთით სოფ. ჭურჭელაურებში მოსახლეობს ჭურჭელაურთ გვარი. ეს გვარი თიანეთის „ქვეყანაში" ჯერ კიდევ XVIII ს. I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში გვხვდება სოფლებში ქაშოში, თიანეთსა და აჯაგვში (110, გვ. 41, 44). აჯაგვი კი დღევანდელი ჭურჭელაურების ადრინდელი სახელწოდებაა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ჭურჭელაურები ფშავის სოფელ ახადიდან არიან გადმოსახლებულნი. მანამ ისინი თიანეთის მახლობლად დასახლდებოდნენ, მათი წინაპრები ჯერ ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ აონში მოსულან, საიდანაც გადმოსახლებულან სოფელ აჯაგვში. მიგრაციამ ამ უკანასკნელ სოფელს სახელი უცვალა. ჭურჭელაურების ოთხი ოჯახი XVIII ს. I მეოთხედში თიანეთში გვავარაუდებინებს, რომ ისინი აქ უნდა გადმოსახლებულიყვნენ XVII ს. II ნახევარში.

სოფ. დულუზაურში (ივრის ხეობის მარცხენა მხარე) ერთი მამიდან მომდინარე ორი დიდი გვარი მოსახლეობს: **დულუზაურები** და **ჯაბანაშვილები**. ისინი ძირად გოგოჭურთ თემის ფშავლები არიან. მათი წინაპრები ჩარგლიდან გადმოსახლებულან. XVIII ს. I მეოთხედში გვარი დულუზაური მოიხსენიება თიანეთის მახლობელ სოფ. არხალში (110, გვ. 42). ისინი 1801—1802 წწ. მოსახლეობის აღწერაშიც გვხვდებიან (26; 143). ამავე პერიოდში აქვე მოსახლეობდა ერთი კომლი ჯაბანაშვილიც. ფშავიდან გამოსახლებულმა დულუზაურ-ჯაბანაშვილებმა სოფელს (არხალი) თანდათანობით სახელწოდება უცვალეს XIX ს-ის შუა ხანებში (დულუზაურთკარი), რომლის ერთ-ერთ მიზეზად ისიც მოგვევლინა, რომ აქ მოსახლე სხვა, ძველი გვარები ბარში გადასახლდნენ. თუმცა ასევე ბარში, კახეთში, უკვე XVIII ს. გადასახლებულა დულუზაურების ნაწილი. 1763 წ. ერთ დოკუმენტში სოფ. უტოს მცხოვრებლად დულუზაური მოიხსენიება (81—გ, გვ. 493).

სოფ. დულუზაურებში დღეს მოსახლეობენ აგრეთვე **ზატუაშვილები**, რომლებიც აქ უკვე 1801 წ. მოიხსენიებიან (26: გვ. 143), ხოლო 1843 წლის საოჯახო სიებში ორი გვარით (ზატუაშვილი-დულუზაური) გვევლინებიან (1, № 2042). ზატუაშვილების წინაპარი, რომელსაც ზატუა რქმევია, ყვარელიდან გერად მოჰყოლია ვინმე ჯაბანაშვილს და მისი შთამომავლები ზატუაშვილად დაწერილან. მთხრობელის სიტყვებით

რომ ვთქვათ, „ზატუაშვილები ჩვენი ხატის — მთავარანგელოზის, ყმებად ითვლებიან. ისე როგორც ძმები, ისე ვართ ეს სამი გვარი“.

გარდა ზემოთ აღნიშნული სამი გვარისა, არხალში (დულუზაურებში) XVIII ს. I მეოთხედის აღწერაში გვხვდება ბულალაურის გვარიც (110, გვ. 42), რომლებიც, როგორც ჩანს, ფშავის სოფ. ბულალაურთიდან იყვნენ გადმოსახლებული.

ჩარგლიდან გადმოსახლებულან სოფ. გორიმზვარეში ცაბაურთ თემის შავერდაშვილები და ტურაშვილები, რომლებიც XVIII ს. დასაწყისში უკვე აქ მოსახლეობდნენ (110, გვ. 42). ჩანს, რომ ამ პერიოდში, ისევე როგორც მეზობელი სოფ. არხალი, გორიმზვარეც (ახლანდელი კვერანაულა) მთლიანად გოგოჭურთ თემის ფშავლებით იყო დასახლებული. გარდა შავერდაშვილებისა და ტურაშვილებისა, გორიმზვარეში XVIII ს. დასაწყისში მოსახლეობდნენ გორაზმაულები და გურასპაულები (110, გვ. 42), რომლებიც ასევე გოგოჭურთ თემის ფშავლები არიან.

XVII ს. უნდა იყვნენ თიანეთის სოფ. სახასოში გადმოსახლებულნი ჯამარაულები (110, გვ. 42; 26, გვ. 144), რომლებიც ფშავის სათემო სოფ. უძილაურთიდან წამოსულებად თვლიან თავს. იმავე პერიოდში უძილაურთიდან არიან ჩამოსახლებულნი ჯამარაულების მეზობლად მოსახლე გოჯიაშვილები.

XVIII ს-ის წინარე ხანაში ფშავიდან ერწოსა და თიანეთში ბევრი სხვა გვარიც გადმოსახლებულა, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ: გაბიდაურები, რომლებსაც ივრის ხეობაში რამდენიმე სოფელი ჰქონდათ დაფუძნებული (ლიშო, ქუშხევი, სხლოვანი, ყვარა...). ხოშარიდან გადმოსახლებული გაბიდაურების ნაწილი უკვე XVIII—XIX სს. შეცვლილი გვარებით გვევლინებიან: ნიბლოშვილი, ხარანაული, დოჯურიშვილი, ფხიკლეშვილი, ნაკვეთაური, მამსიკაშვილი.

მათურელები თიანეთის სოფ. ქებოტის მკვიდრები არიან. XVIII ს. დასაწყისში (110, გვ. 76). გადმოსული არიან ფშავის სოფ. მათურიდან. ქებოტაში მათურიდანვე არიან ჩამოსახლებულნი დოლიაშვილები, ივანაურები, ბადრახიშვილები, გულოშვილები და აკობაშვილები. საერთოდ, სოფ. ქებოტაში ძირითადად მათურიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ და მას ერთ დროს მათურლიანთკარსაც (მათურელი) კი უწოდებდნენ (7).

XVII ს. II ნახევარში ივრის ხეობაში ფშავიდან არიან გადმოსახლებულები უძილაურები, რომელთა ნაწილი მამიშვილობის მიხედვით შემდეგ სხვა გვარებზე დაეწერნენ.

XVII ს. ფშავის გაბიდაურთ სათემო სოფ. ხოშარიდან გადმოსახლებულან **ძებნიაურებისა** და **ბადურაშვილების** წინაპრები. პირველნი თავისივე გვარის სახელის მქონე სოფელში მოსახლეობენ, მეორენი კი სოფ. ყებოტაში. აღნიშნულ გვარებს, როგორც გადმოგვცემენ, ფშავიდან გადმოსახლებულმა ძმებმა — ძებნიამ და ბაადურმა — დაუდეს საფუძველი.

ფშავიდან ერწო-თიანეთში XVIII ს. შემდეგი გვარები არიან ჩამოსახლებულნი: **აქიმიშვილები** — ხოშარიდან, რომლებსაც უფრო ადრე **ბუჰყურაშვილის** გვარი უტარებიათ; **ბადიაშვილები** — ჩარგლიდან; **ბიჩინაშვილები** — ფშავის სოფ. შუაფხოდან. აქედანვე თიანეთში იმავე პერიოდში მოსულან **შუშანაშვილები**. ასევე ქისტაურთ თემის ფშავლები არიან **ხუცურაულები**, რომლებიც XVIII ს-ში ერწო-თიანეთის რამდენიმე სოფელში გადმოსახლდნენ სოფ. ვანხევიდან. ზემო თიანეთში შუაფხოდან ჩამოსახლდნენ **გიანაშვილები**, **ქაჩლიშვილები** და **ტუშურები**, ოღონდ ამ უკანასკნელი გვარის ჩამოსახლების დროდ XVIII ს. წინარე პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ. XVIII ს. I მეოთხედის ხალხის აღწერის დავთრის მიხედვით, ტუშურები მოსახლეობდნენ სოფლებში ქაშოში, თანგანთკარსა და თვით აღნიშნული გვარის სახელის მატარებელ სოფელ ტუშურებში (110; გვ. 43—44). 1801—1802 წწ. მოსახლეობის აღწერით თიანეთში რვა ოჯახი ტუშური მოსახლეობდა [26; გვ. 143, 146], რომელთა შედარებით ასეთი მცირე რაოდენობა კახეთში გადასახლებით უნდა აიხსნას.

ერწოს სოფ. სიმონიანთხევში ჩარგლიდან მოსულან **ბაიაშვილები**, რომლებიც აქ 1801—1802 წწ. მოსახლეობის აღწერაში ორი კომლის რაოდენობით არიან [26; გვ. 142]. XVIII ს. ჩარგლიდანვე გადმოსახლებულან **კბილცეცხლაშვილები** და მათი განაყრები **ქიტესაშვილები**.

XVIII ს. ფშავის სოფ. უძილაურთიდან არიან დასახლებული **ტიღინაშვილები**. თიანეთსა და ჩაბანოში XVIII ს. არიან დასახლებული **ჯიმშიტაშვილები**. გაბიდაურთ თემის ეს ფშავლები უშუალოდ ფშავის სოფ. ხოშარიდან არ ჩამოსახლებულან. მათი წინაპრები ჯერ ივრის ხეობის სოფ. ბაჩალში მოსულან, ბაჩლიდან კი ჩაბანოსა და თიანეთში. XIX ს. დასაწყისში აქ ოთხი კომლი ჯიმშიტაშვილი მოსახლეობდა [26, გვ. 145—146], 1842 წ. — რვა [1; № 2042].

XVIII ს. II ნახევარში უნდა იყვნენ ფშავის სოფ. გოგოლაურთიდან თიანეთში გადმოსახლებულნი **მაჩურიშვილები**, რომლებიც 1801—1802 წწ. თიანეთის აღწერაში მოიხსენიებიან [26; გვ. 148]. მაჩურიშვილები გოგოლაურებისა და თურმანაულების განაყრებად თვლიან თავს. ასევე ძირად გოგოლაურები არიან ყებოტაში მცხოვრები **ხალირიშვილები** და ლახატოელი **მგელიაშვილები**. ეს უკანასკნელნი გადმო-

სახლდნენ ფშავის სოფ. კუდოდან. აგრეთვე — ვერხველში მოსახლე ტუნტურიშვილები.

XVIII ს. ფშავიდან სხვა გადმოსახლებულებიც შეიძლებოდა დაგვესახელებინა, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია საერთო სურათის წარმოსაჩენად.

ფშაველთა ერწო-თიანეთის სოფლებში ჩამოსახლების ადრე დაწყებული პროცესი XIX ს-შიც გრძელდებოდა. XIX ს. I ნახევარში მოსულან თეგერაშვილები სოფ. უძილაურთიდან, ლევერაშვილები — გოგოლაურთიდან. აღნიშნულ პერიოდში ერწოს სოფ. ომარაულში ფშავის სოფ. მათურიდან არიან გადმოსახლებული შემდეგი გვარები: ზურაბაული, ფუნჩიაშვილი, ხუციშვილი, ქისტაური, მაჩურიშვილი, ხიბლაშვილი, გახუტელაშვილი, თადიაური, გუგეჩაშვილი, ტარტიკახელი, ღიჯურაშვილი.

XIX ს. I ნახევარში ზემო თიანეთში გადმოსახლებულ ფშაველთა შორის უნდა დავასახელოთ ჯერვალიძეები, რომლებმაც აქ ამ გვარის სახელის მქონე სოფელიც კი შექმნეს. ისინი ჯერ ფშავის სოფ. შუაფხოდან ხორხის ხეობაში დასახლებულან, საიდანაც შემდეგ ზემო თიანეთში მოსულან.

XIX ს. I ნახევარში არიან გადმოსახლებულნი ზემო თიანეთის სოფ. წიკვლიანთკარში წითელაურთ სათემო სოფ. ნაკვალესავიდან სხვადასხვა გვარის ფშავლები (მაგ., ბაჩანაშვილები).

## § 2. ფშაველთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისში

ფშავლების მთისწინეთსა თუ ბარში ჩამოსახლება სხვა ქართველ მთიელებთან ერთად გრძელდებოდა XIX ს. II ნახევარშიც. 1850-იან წლებში გადმოსახლდნენ მთისწინეთისა და ბარის მიჯნაზე მდებარე სოფ. ცხვარიჭამიაში ფშავის სოფლებიდან: მუქოდან და ნაკვალესავიდან [2, № 248 და 269].

XIX ს. 50-იან წლებში ერწოს სოფ. საყარაულოში გადმოსახლებულან ფშავის სოფ. მათურიდან [2, 248] და ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. ყაფრიდან ერთი კომლი გოდერძაულთ თემის ფშაველი (2, 248).

ერწოს სოფ. ვეძათხევში ჯერ კიდევ XIX ს. I ნახევარში მოსახლეობდნენ ფშავლები (მათურიშვილი, ხინჩლაშვილი, ღრუბელაშვილი), რომელთა აქ ჩამოსახლება XIX ს. II ნახევარშიც გრძელდებოდა. კერძოდ უკანაფშავიდან გადმოსახლებულან ჩეკურიშვილები [2, 248]. 1873 წლის შემდეგ აქვე ექვსი ოჯახი გოგოლაური დასახლებულა [3, 273]. ვეძათხევს დაუდვიათ ბინა გაბიდაურთ და ჭიჩოელთ თემის

ფშავლებსაც, რომელთა წარმომადგენლები 1866 წელს მოსულან ჩაბანოდან და ივრის ხეობის ზემო წელის სოფლებიდან (ქუშხევი, არტანი) [3, 273].

1850-იან წლებში ორხევში გადმოსახლებულან გოგოლაურთ თემის ფშავლები სოფ. მაღაროდან [3, 273].

ერწოს სოფ. მაგრანეთში XIX ს. II ნახ. ორი დიდი მიგრაციული ნაკადი მოვიდა: ფშავლები და ხევსურები. ფშავლები აქ ძირითადად ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. არტნიდან ჩამოსახლდნენ (21 ოჯახი) [2, 248].

1850-იან წლებში ხოშარიდან სოფ. თრანში დასახლებულან გაბიდაურები [3, 274] (ხუთი კომლი) ხოლო 1870 წელს ახადიდან და ვანხევიდან თითო კომლი [2, 248].

XIX ს. შუა ხანებში ერწოს სოფ. უკუღმართში დასახლდნენ ახადიდან მოსული ფშავლები [2, 248; 4, 1754], რომლებსაც 1876 წელს დაემატა ერთი კომლი სოფ. შუაფხოდან [4, 1754].

სოფ. ჰიოტაანთკარი ერწოში XIX ს. II ნახევრიდან ჩანს წარმოქმნილი. აქ დასახლებულან მაღაროდან გოგოლაურთ თემის, ლიშოდან გაბიდაურთ თემის და ახადიდან გოდერძაულთ თემის ფშავლები [2, 248].

1850-იან წლებში სიონში სახლდებიან გაბიდაურები ხოშარიდან, დიდმელაურში გოგოლაურები მაღაროდან [2, 249] და სხვა.

ჯიხოში XIX ს. 50-იან წლებში ახადელი ფშავლები გადმოსახლებულან. ფშაველთა აქ დასახლკარება თითქმის მთელი XIX ს. II ნახ. განმავლობაში მიმდინარეობდა; მაგალითად, 1865 წ. აქ მოსულან სოფ. მაღაროდან, 1896 წ. ცაბაურთიდან და სხვა [3, 273].

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ XIX ს. I ნახევარში ერწოს სოფ. ომარაულში ჩამოსახლდნენ ფშავის სოფ. მათურიდან. ფშაველთა მათურიდან ომარაულში მიგრაცია XIX ს. II ნახევარშიც გრძელდებოდა, რომლის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 1882 წ. გახუტელაშვილების მოსვლა [3, 273].

XIX ს. I ნახევარში სოფ. ბოჰორმა დასახლებულ იქნა გაბიდაურთ თემის ფშავლებით, რომელთა აქ ჩამოსახლება XIX ს. II ნახევარშიც მიმდინარეობდა: სოფ. ბზიკურთიდან — ციხელაშვილები (1865 წ.), სალირაშვილები (1865 წ.), ბერიშვილები და ლეგაშვილები (1869 წ.), ქუშხევიდან — მგელაშვილები (1869 წ.), ჩარგლიდან — ბაიაშვილები (1860 წ.), და სხვ. [3, 273]. XIX ს. დასასრულს ბოჰორმელი ფშავლები კახეთში გადასახლებულან. 1897 წ. მოსახლეობის აღწერით ბოჰორმაში უკვე ოსები მოსახლეობენ [5, № 2423].

1850-იან წლებში დამკვიდრდნენ სოფ. ჩეკურაანთგორში გოდერძაულთ თემის ფშავლები როგორც თვით ფშავის სოფ. ახადიდან, ისე ივრის ხეობის ზემო წელის სოფლებიდან: ხილიანადან და მგელათციხედან [2, № 242; 4, № 1754; 3, № 274]. უკანაფშაველი, ჰიჩოელი და ახადელი ფშავლები იმავე პერიოდში დამკვიდრდნენ სოფ. ალოტში [2, 248].

გოდერძაულთ თემის ფშავლები XIX ს. II ნახევარში დაფუძნდნენ, აგრეთვე, ბოკონსა და ევჟენტში [2, 248]. ამავე სოფლებში 1850—1870-იან წლებში გადმოსახლდნენ ფშავის სოფლებიდან: უკანაფშავიდან და ნაკვალესავიდან [2, 248].

XIX ს. 60-იან წლებში თიანეთის სოფ. ხაიშოში სხვადასხვა თემის ფშავლები დასახლებულან. ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ არტანიდან ხაიშოში 5 ოჯახი გადმოსახლებულა, სამი — გოგოლაურთიდან. წოწკორაულთ თემის ფშავლები აქ მოსულან სოფ. ინოდან და არაგვის ხეობის მთისწინეთის სოფ. ხეობიდან, თითო ოჯახი კი შუაფხოდან და ნაკვალესავიდან [3, № 274]. ფშავიდან ხაიშოში მოსახლეობის მიგრაცია შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, კერძოდ, 1886 წ. გოგოლაურთიდან სამი ოჯახი ჩამოსახლებულა [3, 1 № 1755].

ზემო თიანეთის სოფ. ვერხველში 1850-იან წლებში შუაფხოდან ჩამოსახლდნენ ქისტაურთ თემის ფშავლები (3 ოჯახი), რომლებსაც 1862 წ. დაემატნენ ცაბაურთიდან (ჰყრუნიშვილი) და კუდოდან (ტუნტურიშვილი) [2, № 248; 3, № 273].

XIX ს. შუა ხანებში ლახატოში სოფ. კუდოდან გადმოსახლებულან გოგოლაურები [2, № 248], რომლებიც მგელიაშვილების წინაპრებად მიიჩნევიან.

XIX ს. II ნახევარში ფშავიდან გადმოსახლებულები თითო-ოროლა კომლის რაოდენობით მოსახლეობდნენ ერწო-თიანეთის თითქმის ყველა სოფელში. მთლიანად ფშავლებით იყო დასახლებული XIX ს. II ნახევარში ივრის ხეობის ზემო წელი, რომელთა აქ გადმოსახლების დრო XVI—XVII სს. საგულვებელი. ივრის ხეობის ზემო წელის სოფლები ფშაველთა თემების მიხედვით იყო დასახლებული. არც ერთ სოფელში ერთად არ ცხოვრობდნენ თუნდაც ორი სხვადასხვა თემის წარმომადგენლები. XIX ს. II ნახევარში აქ არსებული 16 სოფლიდან მხოლოდ ოთხშიღაა დღეს მოსახლეობა. არტანს ზევით, ე: წ. „ივრის კუდებში" (ასე უწოდებს ხალხი ივრის ხეობის ზემო წელს), დღესდღეობით ბინადარ ცხოვრებას აღარავინ ეწევა, სადაც 12 ნასოფლარია. საბოლოოდ აქედან მოსახლეობა აიყარა XX ს. 40-იან წლებში. ისინი უფრო დაბლობში, ძირითადად კახეთის ბარში, გადასახლდნენ. ლიშოსა და ქუშხევში მოსახლეობდნენ და დღესაც მოსახლეობენ გაბი-

დაურთ თემის ფშავლები, გადმოსახლებულნი სოფ. ხოშარიდან (ლიშოში — აბალიშვილი, ღეჩუაშვილი, ჰამაური, ნიბლოშვილი, კუკელაშვილი, გაწირული, წვეროშვილი, საყვარელაშვილი, ნინიაშვილი, ბალღიაშვილი, ბებერაშვილი, ჰიჰოშვილი, ახალაური, ბეწუკელი, გოძიშვილი; ქუშხევში — ბუჰყურაშვილი, კუდიანაშვილი, დოჯურიშვილი, გამახარეშვილი, ყაყიდაშვილი).

ჰიჩოელთ თემის ფშავლებით იყო (და არის) დასახლებული სოფლები, არტანი და ბოდახევა. არტანსა და ბოდახევაში მცხოვრებნი ფშავის სოფელ ჰიჩოდან არიან გადმოსახლებულნი. არტანში მოსახლეობდნენ: ბაინდურაშვილი, ფეტვიაშვილი, ხიზანაშვილი, ხუმარაშვილი, წვეროშვილი, კურეტიშვილი, მეფარიშვილი, ქისტაშვილი, ღვინიაშვილი (ძირად ხევსურები), პატარაშვილი, ჯღუთაშვილი, ქეშიკაშვილი; ბოდახევაში — თეთრაული, ფეტვიაშვილი, ჩოლოგაური, გულიაშვილი, ნადირაშვილი, ბერმამუკელი, კეჟრიშვილი. არტნელები და ბოდახეველები სალოცავად ძველ საცხოვრისში, ფშავის სოფ. ჰიჩოში, დადიოდნენ ხატ „პირცეცხლში". ხუმარაშვილების, ჯღუთაშვილების და თეთრაულების წინაპარი ხევსური ყოფილა, გვარად კუკუმაური, რომელიც ფშავის სოფ. ჰიჩოში გადმოსახლებულა, ჰიჩოდან კი ივრის ხეობის სოფ. არტანში.

მიგრაციულ პროცესებზე ეთნოგრაფიული დაკვირვების დროს ყურადღებას იქცევს ნასოფლარებიც. ივრის ხეობის აღნიშნულ ზოლში განსაკუთრებით სჭარბობდნენ ხოშარიდან გადმოსახლებული გაბიდაურთ თემის ფშავლები. ზემოთ დასახელებულ ორ სოფელთან (ლიშო, ქუშხევი) ერთად გაბიდაურთ თემის ფშავლები XIX—XX სს. მიჯნაზე მოსახლეობდნენ შემდეგ სოფლებში: ბაჩალში, ხაშარში, ხატხევში, ყვარაში, კორსავში, ბაფხიხევში.

ივრის ხეობაში გოდერძაულთ თემის ფშაველთა რამდენიმე სოფელი არსებობდა. ზემოთ ჩამოვთვალეთ ზოგიერთი მათგანი: ევქენტი, ჯიხო, უკულმართი, ბოკონი, ალოტი, ჩეკურაანთგორი. ივრის ხეობის ზემო წელში კი ახალიდან გადმოსახლებული გოდერძაულთ თემის ფშავლები შემდეგ სოფლებში მოსახლეობდნენ: მგელათციხე, ხატხეორხი, ხილიანა, ყაფარი, აონი, ჯაბლევი.

სოფ. სოფლიონი დასახლებული იყო ცაბაურთიდან გადმოსახლებული გოგოჰურთ თემის ფშავლებით. ერწო-თიანეთში აღნიშნული თემის წარმომადგენლებით იყო დასახლებული, აგრეთვე, ბორდახევა, ბალიანები, დულუზაურები, სიმონიანთხევი, შარახევი...*

---

* 1860 წლისათვის ივრის ხეობის ზემო წელში სულ 1737 კაცი (218 კომლი) მოსახლეობდა: გაბიდაურები — 830 სული (7 სოფელი), ჰიჩოელები — 559 სული (2 სოფელი), გოდერძაულები — 259 სული (5 სოფელი) და გოგოჰურები — 89 სული.

ერწო-თიანეთში ფშაველთა შემდეგი თემების სოფლები არსებობდა: მათურელები მოსახლეობდნენ ქებოტასა და ომარაანში: გაბიდაურები — ქებოტაში, შარახევსა და ბოჰორმაში, წითელაურები — წიკვლიანთკარში; წოწკორაულები — ნოჯასა და ხეობაში (ორივე ეს სოფელი არაგვის ხეობის მთისწინეთშია და ესაზღვრება ერწო-თიანეთს); ქისტაურები — ჯერვალიძეებში, ქვემო თიანეთსა და ტუშურებში. ფშაველთა სხვა თემის წარმომადგენლებს ერწო-თიანეთში ცალკე სოფლები არა ჰქონიათ შექმნილი, თუმცა ისინიც საკმაო რაოდენობით მოსახლეობდნენ. ჩანს, ზოგიერთ თემს მოსახლეობის სიჭარბის გამო დასახლებები შეუქმნიათ არაგვისავე ხეობაში, უფრო სწორად მის მთისწინეთში (იხ. დაწვრილებით ქვემოთ.) ასეთი რიგის სოფლები განსაკუთრებით ბევრი დაუფუძნებიათ არაგვის ხეობაში გოგოლაურთ და გოგოჰურთ თემის ფშავლებს.

ამრიგად, ნათელია, რომ ერწო-თიანეთსა და ივრის ხეობის ზემო წელში ფშაველთა ჩამოსახლება ინტენსიური ყოფილა. ფშაველთა აქ დასახლების პროცესი, ეთნოგრაფიული და ხალხის აღწერის მასალებით, დაწყებული XVII ს-ის II ნახევრიდან გრძელდებოდა XX ს. 20-იან წლებამდე.

## § 3. ხევსურთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XVII ს. II ნახ. — XIX ს. I ნახ.

დასახელებულ პერიოდში, გარდა ფშავლებისა, ერწო-თიანეთში საკმაოდ შეინიშნება ხევსურთა ჩამოსახლებანი.

ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში XVII ს. II ნახევარში გადმოსახლებულან იარაჯულები. ისინი XVIII ს. I მეოთხედის აღწერაში ზემო თიანეთში მოიხსენიებიან [110, გვ. 40]. იარაჯულების წინაპრები ხევსურეთში არაბულები ყოფილან.

ხევსურეთიდან იმავე პერიოდში გადმოსახლებულან, აგრეთვე, ზარიძეები, რომელთა ადრინდელი გვარია ხორნაული. ძირად ხორნაულ-ზარიძეები იყვნენ ერწო-თიანეთის სოფლებში მოსახლე სხვა გვარებიც: ჩიტაურები, ცალუღელაშვილები, ჯამაგიძეები, კოკოზაშვილები, ბოდავლები, ცალხელიშვილები. ჩამოთვლილ გვართა წინაპრები სალო-

---

(1 სოფელი). ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ დასახელებული პერიოდისათვის ივრის ხეობის ზემო წელიდან ინტენსიურად გადასახლდებოდნენ ფშავლები როგორც თვით ერწო-თიანეთის სხვადასხვა სოფლებში, ისე კახეთის ბარში.

ცავად ფშავის სოფ. კაწალხევში დადიოდნენ, სადაც ხორნაულები ხევსურეთიდან იყვნენ გადმოსული, სალოცავ მინდორჯვარში, რომლის ნიშადაც თვლიან არაგვის ხეობის მთისწინეთში სოფ. ბოდავის სალოცავებს და ზემო თიანეთში სოფ. ჩიტაურთკარში არსებულ ე. წ. „ჩიტაურთ ხატს".

XVII ს. ხევსურეთიდან ჩამოსახლებულან სამხარაულები, რომლებიც თიანეთში რამდენიმე კომლის რაოდენობით მოიხსენიებიან XVIII ს. პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში [110, გვ. 38, 40]. ხევსურეთიდან გადმოსახლებული სამხარაულების ძირი გვარი ჯამარაული ყოფილა. დღეს სამხარაულები ძირითადად გარე კახეთის სოფელ სართიჭალაში მოსახლეობენ.

ზემო თიანეთში ფილაურები გადმოსახლებული არიან ხევსურეთის სოფ. ხახმატიდან და განაყრები არიან ხახმატელი და ბისოელი ალუდაურებისა და ქეთელაურებისა, სადაც ეხლაცაა შემორჩენილი ტოპონიმი „ფილაურთ ნასადგომრები". აქედან მათი ნაწილი გარე კახეთის სოფ. კაკაბეთში გადასახლებულა. ფილაურების თიანეთში მოსახლეობაზე დოკუმენტიც მიუთითებს: XVIII ს. I მეოთხედის ჟალეთის (სიონი ჟალეთის „ქვეყანაში" შედიოდა, რომელიც ერწოსა და თიანეთს შორის არსებობდა) აღწერაში მოხსენებულია ვინმე „ფილაური ხაბაზი" [110, გვ. 47].

XVIII ს. ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულან გონჯილაშვილ-მოსიაშვილები, სულხანიშვილები, პატურაშვილები, უშიკიშვილები, თურქიაშვილები, სისაურები... ყველა დასახელებულ გვარს ლიქოკიდან გადმოსახლებულად მიაჩნია თავი და ადრინდელ გვარად სისაურს (ლიქოკელს) ასახელებენ, რის დამადასტურებელი ისიც არის, რომ ჩამოთვლილი გვარების სალოცავი იყო „ხმალა".

XVII ს. ხევსურეთიდან თიანეთში საცხოვრებლად მოსულან ფაშურიშვილების წინაპრები. XVIII ს. პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში თიანეთში ორი კომლი „ფაშური" მოიხსენიება [110, გვ. 39]. ფაშურიშვილები თავიანთ ადრინდელ გვარად ფიცხელაურს ასახელებენ. ფიცხელაურები ყოფილან, აგრეთვე, თიანეთში მოსახლე ბერიკაშვილების წინაპრებიც. ისინი ხევსურეთის სოფ. ბაცალიგოდან XIX პირველ ნახევარში გადმოსახლებულან.

XIX ს. I ნახევარში ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში საცხოვრებლად გადმოსულან: თოთიაურები, იდუკაშვილები, ფარეშიშვილები (სოფ. გორანა), რომელთა თავდაპირველი გვარია ჭინჭარაული; ერთი მამისაგან მომდინარეობენ და ძმებმა: თოთიამ, იდუკამ და ფარეშამ დაუდეს საფუძველი. ჭინჭარაულობასვე ამბობენ სოფ. ჭურჭელაურებ-

ში მოსახლე **ხიბლაშვილები** (სალოცავი — გუდანის ჯვარი), რომლებიც აქ XIX ს. I ნახევარში დასახლებულან.

XIX ს. დასაწყისში ერწოში საცხოვრებლად მოვიდნენ **სუხიაშვილები**, რომლებიც 1843 წ. საოჯახო სიებში მოიხსენიებიან [1, № 1947 და 2042]. ეთნოგრაფიული მონაცემებით სუხიაშვილების ძირი-გვარია ჰინჰარაული. ერწოში სუხიაშვილები უშუალოდ არაგვის ხეობის ბარის სოფ. ბიწმენდიდან გადმოსახლებულან. აქ კი სუხიაშვილის წინაპარი უფრო ადრე, XVIII ს-ში, იყო ხევსურეთიდან მოსული.

**ყორიაულები** ერწო-თიანეთის სოფლებში პირველად 1842—1843 წლების საოჯახო სიებში გვხვდებიან. გადმოსახლებული არიან ხევსურეთის სოფ. ხახმატიდან.

1843 წ. საოჯახო სიების მიხედვით ერწოს სოფ. გორანის მცხოვრებლებად პირველად მოიხსენიებიან **ჰინჰარაულები**.

XIX ს. დასაწყისში თიანეთის მცხოვრებლებად გვევლინებიან **დავითაშვილები** [26, გვ. 144]. თიანეთის სოფ. გოჯიანებში მოსახლე დავითაშვილები ძირად ხევსურები არიან: „ჩვენი მამა-პაპა ყოფილა ხევსურეთში — შატილში. წამოსულან ბარისაკენ. შატილში გვარად ჯალაბაურები ყოფილან. ერთ ძმას რქმევია მისრია, მეორეს — დავითა. მისრია ფშავლებთან მისულა და მისრიაშვილად დაწერილა. ჩვენ კი დავითის სახელის მიხედვით დავითაშვილზე დავწერილვართ და თიანეთში დავსახლებულვართ. რაც ხევსურეთიდან გადმოსახლებულა ჩვენი წინაპარი, დიდი ხნის საქმეა ეგა" — გადმოგვცემს მთხრობელი. დავითაშვილების ხევსურეთიდან თიანეთში გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა [125, გვ. 35].

მისრიაშვილების ხევსურეთის სოფ. შატილიდან გადმოსახლების შესახებ გადმოცემა ფშავშიცაა დამოწმებული [68, გვ. 8—9]. იმავე ლეგენდის თანახმად შატილელი ჯალაბაურები გუდამაყარშიც გადასახლებულან [68, გვ. 10]. თუმცა აღნიშნული გვარის წარმოშობის შესახებ სხვა გადმოცემაც არსებობს. მისრია მისრელის მოყვანა ფშავში თამარ მეფეს უკავშირდება [68, გვ. 85].

ხევსურეთიდან XVII—XVIII სს. ერწო-თიანეთში მოსახლეობის გადმოსახლება ჩანს არა მარტო იმდროინდელი ხალხის აღწერისა და ეთნოგრაფიული მასალების შეჯერებით, არამედ იქიდანაც, რომ XVIII ს. I მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში მრავალს მიწერილი აქვს „ჰევსური". მაგალითად, თიანეთის სოფელ თანგანთკარში მითითებულია სამი კომლი „ჰევსური": „ჰევსური თანგიაშვილი", „ჰევსური იობა", „ჰევსური მამუკელა"; თვალივს — „ჰევსური მინდია"; თიანეთს — „შუშანა ჰევსური"; ვაგრანეთს — „შუშანა ჰევსური" და „ჰევსური ბერი ბოგანო"; წიაბეთს — „ჰევსური ციხელა". იგივე შეიძლება ით-

ქვას ერწო-თიანეთში მიგრირებული ფშავლების შესახებაც. იმავე აღწერაში გვხვდება, მაგალითად, „ფშაველი გამახარე“ [110, გვ. 39, 41—47, 49, 84].

ერწო-თიანეთში მოსახლეობის მოძრაობას XVIII ს. და XIX ს. I ნახევარში მოწმობს ხიზნების, ბოგანოების სიმრავლე. 1801—1802 წწ. ერწო-თიანეთის აღწერაში 64 კომლი ხიზანი ითვლება. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ XVIII ს. I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში ერწო-თიანეთში მრავალჯერ ვხვდებით ისეთ სოციალურ ტერმინს, როგორიცაა „ბოგანო“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხიზნობა მიგრაციული პროცესების შესწავლას უკავშირდება, მაგრამ ვითვალისწინებთ, რომ ეს საკითხი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შინაარსით თვალსაჩინოა და ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ სწავლობენ, ამდენად იგი მსჯელობის საგნად აღარ გავხადეთ. სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ ხიზანთა რაოდენობის ზრდა მიმდინარეობდა არა მარტო გლეხობის სხვა თანრიგიდან ამ კატეგორიაში გადასვლით, არამედ მთიდან მოსახლეობის ჩამოსვლითაც [78, გვ. 54]. ძირითადად აღნიშნული კატეგორიის გლეხების (ხიზნების) მთიდან მთისწინეთსა და ბარში დასახლების შედეგად XIX ს. II ნახევარში გორის მაზრაში 100-მდე სოფელი შექმნილა[78, გვ. 184].

### § 4. ხევსურთა ერწო-თიანეთში მიგრაცია XIX ს. II ნახ.—XX ს. დასაწყისში (20-იან წლებამდე)

ხევსურთა განსაკუთრებით ინტენსიური ჯგუფური ხასიათის გადასახლებანი შეიმჩნევა ერწო-თიანეთში XIX ს. II ნახევრიდან, რასაც აქ რიგი ახალი სოფლების შექმნა მოჰყვა.

ერწოს სოფ. კვერნაულა წარმოქმნილია XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისში. აქ გადმოსახლებულან ხევსურეთის სოფლებიდან: ამღა, ახიელი, ართხმო. კერძოდ, ამღიდან კვერნაულაში მოსულა 15 კომლი წიკლაური, ახიელიდან — 6, როშკიდან — ერთი (2, № 248). ხევსურების ერწოს სოფ. კვერნაულაში ჩამოსახლება მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

ხევსურეთიდან ჩამოსახლებული ბასილაურები საკმაო რაოდენობით მოსახლეობდნენ სოფ. კვირიისხევში. მათი მიგრაცია გრძელდებოდა XIX ს. II ნახევარში. მაგალითად, ამღიდან 1866 წ. საცხოვრებლად მოსულა ბასილაურების ორი ოჯახი [3, № 273]. „ბასილაურები არხოტიდან ვართ, სოფ. ამღიდან. ბასილაურები ძირად წიკლაურები ვართ.

ეხლა ჩვენი ბიძაშვილები წიკლაურები აქ არიან, ნამდვილი ბიძაშვილები. ხატობა ერთად გვაქვს. ჩვენი მამა-პაპანი როცა ჩამოვიდნენ, პირველად ხევსოფელში დასახლდნენ. ხევსოფელში მეტწილად სულ ხევსურები იყვნენ. მერე მანდედან პაპაჩემი, მამაჩემის მამა — ბეწინიკა კვირიისხევში გადმოდიოდა გუდებით და გაჰქონდა პანტა-მაჟალო ზამთრისათვის საჭმელად. მერე ამდგარა და უთქვია, რაღა იქიდან ვზიდოთ ზურგითო, გავიდეთ და იქ დავსახლდეთო. გამოსულან და აქ ცარიელა ადგილზე დამდგარან. გამოჰყოლიან თავის საგვარეულო წიკლაურები და ბასილაურები" (შ. თ. ბასილაური, 71 წლის, სოფ. კვირიისხევი, 1974 წ.). ხევსურეთიდან კვირიისხევში 1865 წ. ჩამოსახლებულა ერთი ოჯახი გიგაური, 1866 წ. კი არაბული [3, № 273]. კვირიისხევში მოსული ხევსურები საბატონო მიწაზე დასახლებულან. ზემოთ დასახელებული მთხრობელის სიტყვებით: „კვირიისხევი და ღულელები სულ ხიმშიაშვილის ხიზნები ვიყავით".

სოფ. **ბალებისხევი** წარმოქმნილია XIX ს. II ნახევრის დასაწყისში ხევსურეთიდან ჩამოსახლებულებით. აღნიშნულ პერიოდში ქმოსტიდან და როშკიდან ორი კომლი გადმოსახლებულა, ხორნაულთიდან — სამი, უკანხადოდან, ზეისტეჩოდან და ჯუთიდან — თითო-თითო [2, № 248]. ბალებისხევში ხევსურების ჩამოსახლება, ბიძაშვილ-ნათესავების გვერდით, მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. მაგალითად, აქ საცხოვრებლად მოსულან ართხმოდან და ბუჩუკურთიდან [3, № 273].

XIX ს. 50-იან წლებში, სხვა სოფლების მსგავსად, ხელახლა მოშენდა ერწოს სოფელი ნადოკრაც ძირითადად ხევსურეთიდან (დათვისიდან — 6 ოჯახი, ამღიდან — 8 ოჯახი, ახიელიდან — 1 ოჯახი, წინხადოდან — 3 ოჯახი, კალოთანადან — 2 ოჯახი) გადმოსახლებულებით [2, № 248]. ნადოკრაში ხევსურთა დასახლება თითქმის მთელი XIX ს. II ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა [3, № 274].

ერწოს სოფ. **სიონთგორიც** ზემოთ დასახელებული სოფლების მსგავსად მთლიანად XIX ს-ის 50-იანი წლებიდან ჩანს დასახლებული. აქ ძირითადად ჩამოსახლებულა რამდენიმე კომლი ამღიდან და ახიელიდან. 1860 და 1872 წლებში ბუჩუკურთიდან მოსულან გოგოჭურები, 1861 წელს კალოთანადან — ქიბიშაურები [3, 274]: ეს უკანასკნელნი თავს იყრიდნენ 1850-იან წლებში მეზობელ სოფ. ნადოკრაში ჩამოსახლებული ქიბიშაურების გვერდით. XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში სიონთგორში ჩამოსახლდნენ წიკლაურები როშკიდან და არხოტიდან.

XIX ს. II ნახევარში ერწოს სოფ. ნადირაანთხევში (შემდეგდროინდელი ხევსურთსოფელი) ჩამოსახლდნენ ხევსურები, სოფ. ამღიდან (3 ოჯახი), დათვისიდან და ქმოსტიდან (2-2 ოჯახი), ბაცალი-

გოდან, კალოთანადან, როშკიდან, გუდანიდან და ჯუთიდან (თითო-თითო ოჯახი) [2, 248].

XIX ს. II ნახევარში ხევსურეთის სოფ. ქმოსტიდან ჩამოსახლებულები დასახლდნენ ერწოს სოფ. **დევენაანთხევში** [2, 248].

1850-იან წლებში მაგრანეთში ძირითადად ჩამოსახლდნენ **ხორნაულები** (7 ოჯახი) ხევსურეთის სოფელ ხორნაულთიდან, ქმოსტიდან (2 ოჯახი), მუცოდან, შატილიდან, ახიელიდან, აჭედან, ამღიდან (თითო-თითო ოჯახი) [2, 248].

ხევსურეთიდან დიდი რაოდენობით ჩამოსახლდა მოსახლეობა სოფ. **თრანში**. XIX ს. II ნახევარში აქ დასახლებულან ქმოსტიდან — **ბურდულები**, ბაცილიგოდან და დათვისიდან — **არაბულები**, ახიელიდან — **ბალიაურები**, ამღიდან — **წიკლაურები** [3,274; 4, 1752], და სხვა. სოფ. **თოხოლჩებიც** 1873 წლისათვის მთლიანად ხევსურეთიდან მოსულებით იყო დასახლებული: **არაბულები** (7 ოჯახი), **ბურდულები** — (3 ოჯახი), **ბასილაური**, **ხადუელი** და **ქმოსტელი** (თითო-თითო ოჯახი).

1850-იან წლებში ერწოს სოფელ **ჯილაურთაში** ჩამოსახლდნენ წინხადოდან და უკანხადოდან [2, 248], რის შედეგადაც სოფელს სახელი ეცვალა (ჯილაურთა→ხადუელთა): აქვე აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ დამკვიდრდნენ ქმოსტიდან (4 ოჯახი), ამღიდან (5 ოჯახი), შატილიდან (4 ოჯახი) [2, 248]. ხევსურეთის სოფ. გუდანიდან მიგრირებულმა **ჭინჭარაულებმა** შექმნეს ახალი სოფელი გუდანელები [2, 248].

ზემოთ დასახელებულ მეზობლად განლაგებულ სოფლებში (გუდანელებში, ხადუელებში, თოხოლჩებში) 1886 წლისათვის ხევსურეთიდან მოსულები შემდეგი რაოდენობით მოსახლეობდნენ: **ჭინჭარაული** — 17 ოჯახი, **არაბული** — 16, **რკინაული** (არაბული) — 6, **ქერაული** — 6, **ბურდული**, **გოგოჭური**, **ბასილაური** — 2—2 ოჯახი; **წიკლაური**, **ჩოქორაული**, **ჭრელაშვილი** — თითო ოჯახი [3, 274]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჭრელაშვილები ხევსურები არიან სოფ. კალოთანადან, რომელთა ძირიგვარია ქიბიშაური.

XIX ს. II ნახევარში ერწოს სოფელ **ტოლათსოფელში** ხევსურეთის სოფ. ქმოსტიდან გადმოსახლებულან ბურდულები (13 ოჯახი) [4, 1752].

ერწოს სოფ. ამტნისხევი თითქმის მთლიანად დასახლებულ იქნა 1850-იან წლების დასაწყისში ძირითადად ღულიდან მოსული **ქისტაურებით** (15 ოჯახი) [2, 248]. აქ ხევსურეთის სხვა სოფლებიდანაც საკმაოდ გადმოსახლდა მოსახლეობა.

მართალია, ხევსურების ჩამოსახლება ერწოს სოფლებში (ღულელებში, გუდანელებში, კვირიისხევში, კვერნაულასა და სიონთგორში) XIX ს. შუა ხანებიდან დაიწყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათ ეს მიწები ჯერ კიდევ მეფე ერეკლესაგან მიუღიათ ალა-მაჰმად-ხანთან ომში თავის გამოჩენისათვის. რევოლუციამდე შესაბამისი სიგელი ერეკლე II ხელრთვით დაცული ყოფილა ერწოს სოფ. თოხოლჩებში ვინმე ქავთარ არაბულთან [82].

XIX ს. II ნახევარში ხევსურები თანაცხოვრებდნენ ფშავლებთან ერთად ერწო-თიანეთის შემდეგ სოფლებში: უკუღმართში, დილმელაურში, ჯიხოში, ევჟენტში, ვერხველში, ჯიჯეთში, ზენამხარში.

ხევსურების ჩამოსახლების ვანსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე XX ს. დასაწყისში სოფ. გონდაურაში. ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს ადგილი თავად ჭავჭავაძეებს ეკუთვნოდათ, სადაც მოსახლეობა არ იყო XVIII ს-ში ადგილობრივი მცხოვრებლების კახეთში გადასახლების გამო. ხევსურებს გონდაურაში ჩამოსახლება 1900 წლიდან დაუწყიათ და 40-იან წლებამდე თითქმის ყოველ წელს მოდიოდა 1—2 კომლი. გონდაურაში იჯარით დასახლებული ხევსურების რაოდენობამ 23 კომლს მიაღწია. მიგრირებული ხევსურები თავადმა ჭავჭავაძემ მოიწვია საკუთარ მამულში, რაც იმის მაგალითია, თუ დაუსახლებელ, გაპარტახებულ მიწაზე როგორ მოჰყავდა დასასახლებლად მიწისფლობელს მუშახელი, გლეხობა: „პაპაჩემმა ქართლელებს სთხოვა, ტყე გაკაფეთ და დასახლდით. ქართლელებმა უარი რომ უთხრეს, ხევსურეთში დაუბარა და ჩამოვიდნენ, ნახეს, მოეწონათ და ჩამოსახლდა რამდენიმე კომლი. ამ ჩამოსახლებულებმა შემდეგ სხვებს ურჩიეს და ყოველწლიურად თითო კომლი მაინც ემატებოდა" (ა. კ. ჭავჭავაძე, 74 წლის, სოფ. სართიჭალა, 1974 წელი).

ხევსურეთიდან გონდაურაში ძირითადად შემდეგი გვარები გადმოსახლდნენ: ქეთელაურები (ბისოდან), გოგოჭურები (ჭორომეშავიდან), არაბულები (ბაცალიგოდან), ბურდულები და ჭინჭარაულები (გუდანიდან) და სხვ.

ხევსურეთიდან გადმოსახლებულებით შეიქმნა სოფელი საჭურე XIX ს. ბოლოს. „პირველში აქ დასახლებულან თათუა ხარანაული, ძიკურა და ჩალხია ჭინჭარაულები. პატარა ველი ყოფილა და ჩამოსულებმა გააახოეს. ეს იყო თავადის ადგილი. ნაყიდობა ჰქონდათ ხევსურებს თავადისაგან" (ს. მ. წიკლაური, 67 წლის, სოფ. საჭურე, 1975).

XIX—XX სს. მიჯნაზე სოფ. ჭიაური დააფუძნეს ხევსურეთის სოფ. ჭიედან ჩამოსახლებულმა ჭინჭარაულებმა.

ხევსურები XX ს. 20—30-იან წლებში სახლდებიან აგრეთვე ივრის ხეობის ზემო წელში, ფშაველთა ნასახლარებზე. ეს უკანასკნე-

ლნი კი კახეთში და რაიონის ცენტრში — თიანეთსა და მის სიახლოვეს გადადიოდნენ საცხოვრებლად.

ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ ის, რომ XIX ს. ოფიციალური მონაცემებით 1850—1870 წლებში ერწო-თიანეთში გადასახლებული ხევსურების რაოდენობა დაახლ. 900 კაცი იანგარიშებოდა [140]. ჩვენი გამოანგარიშებით კი, რომელიც 1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემებს ემყარება, მხოლოდ ათწლიან პერიოდში (1850—1860 წწ.) ერწო-თიანეთში 1187 სული ხევსური გადმოსახლდა. ჩანს, თუ რა ინტენსიური იყო XIX ს. II ნახევარში ხევსურების ერწო-თიანეთში მიგრაცია.

პირველ თავში მიმოხილული მასალა მოკლედ დასკვნების სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ეთნოგრაფიული მასალებითა და მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში გადასახლების სურათის აღდგენა ხერხდება XVII ს. II ნახევრიდან. აღნიშნული პროცესი გრძელდებოდა მთელი XVIII—XIX სს. და XX ს. პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში.

2. ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში მიგრაცია ორი განსხვავებული პერიოდის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს: ა) XVII ს. II ნახევარი — XIX ს. I ნახ. და ბ) XIX ს. II ნახ. — XX ს. 20-იან წლებამდე. მეორე პერიოდი საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა პერიოდს მოიცავს და ხასიათდება მთიელთა ჩამოსახლების განსაკუთრებული ინტენსიურობით.

3. ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში მიგრაცია მთიელთა ბარში გადასახლების საფეხურებრივი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

4. დასტურდება გადმოსახლებული ფშავ-ხევსურების ერწო-თიანეთში ერთი გვარის, ერთი თემის, ერთი ხატის ყმათა, ერთი კუთხის წარმომადგენლების ერთად დასახლების ტენდენცია.

## თავი II

# ქართველ მთიელთა კახეთში გადასახლება

### § 1. ერწო-თიანეთის ადრინდელი მოსახლეობის კახეთში გადასახლების ისტორიიდან

### (XVII-XVIII სს.-XIX ს. I ნახ.)

პირველ თავში ფაქტიური მასალის საფუძველზე ნაჩვენები იყო, თუ რა დიდი რაოდენობით სახლდებოდნენ მთიელები (ფშავ-ხევსურები) მთისწინეთში, კერძოდ, ერწო-თიანეთსა და ივრის ხეობის ზემო წელში დაახლ. XVII ს. II ნახევრიდან მოყოლებული XX ს. 20-იან წლებამდე. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ახლიდან დასახლდა და მოშენდა მოსახლეობისაგან დაცლილი და გაპარტახებული რეგიონი. როგორც ცნობილია, ერწო-თიანეთმა XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა, რის შედეგადაც თითქმის მთლიანად გაწყდა, ან ირანში იქნა ტყვედ წაყვანილი ადგილობრივი მოსახლეობა. 1614 წ. გაზაფხულზე ქართველებსა და შაჰ-აბასის ურდოებს შორის პირველი შეტაკება სწორედ აქ, ჟალეთში, მოხდა. ერწო-თიანეთიდან ირანის შაჰს მაშინ 30000 ტყვე და 40000 მსხვილფეხა საქონელი გაუყვანია [75—გ, გვ. 265]. მოოხრებულ და უკაცრიელქმნილ მხარეს მოშენება სჭირდებოდა და მთიელებიც (საგულვებელია შემოსევების დროს მთაში დროებით შეხვეწილ — „გამთიელებულებიც"), როგორც ჩანს, უკვე XVII საუკუნიდანვე მოაწყდნენ ერწო-თიანეთს დასასახლებლად.

ეთნოგრაფიული მასალებით თითქმის შეუძლებელი ხდება ერწო-თიანეთში ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის დადასტურება. მიუხედავად აღნიშნულისა, აქ, როგორც ირკვევა, მაინც დარჩენილა ძველი, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა შედარებით მცირე რაოდენობით, რომლებიც შემდეგ კახეთში, ღლევანდელი ახმეტისა და თელავის მიდამოებში, ჩასახლებულან.

საქართველოში ძველად თითოეული სოფელი გვარების მიხედვით იყო დასახლებული, რაც საგულისყურო ფაქტად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს [107, გვ. 150—151]. ასეთი რიგის მონოგენურად დასახლებუ-

ლი სოფლები ერწო-თიანეთშიც ბევრი არსებულა. XVIII ს. I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში ერწოში ნახსენებია სოფ. ბოროტაძე, რაც, რა თქმა უნდა, მიუთითებს იმაზე, რომ მასში ოდესღაც ბოროტაძეებს უცხოვრიათ. აღნიშნული დროისათვის ეს გვარი ამ სოფელში უკვე აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, იმავე პერიოდში იგი მოიხსენიება კახეთის სოფ. ხოდაშენში [110, გვ. 92], ე. ი. სავარაუდებელია ბოროტაძეების კახეთის ბარში მიგრაცია.

1722 წ. დოკუმენტში ერწოში მოიხსენიება სოფ. ჯოთენური [81-ა, გვ. 366]. იმავე პერიოდში კახეთის სოფ. მატანში გვხვდება გვარი ჯოთენური [110, გვ. 73]. XVIII ს. I მეოთხედის ერწო-თიანეთის მოსახლეობის აღწერაში კი ეს გვარი და ამ გვარის მატარებელი სოფლის სახელი საერთოდ აღარ გვხვდება.

დოკუმენტში ერწოში მოიხსენიება სოფ. დევენაანთკარი [81—ა, გვ. 366]. (დღევანდელი დევენაანთხევი). ეს სოფელი ატარებდა აქ მოსახლე გვარის სახელს. მართლაც, XVIII ს. I მეოთხედის ერწოს მოსახლეობის აღწერაში მოხსენებული არიან დევნაშვილები [110, გვ. 48]. ამ გვარის წარმომადგენლები მომდევნო პერიოდებში აქ აღარ ჩანან. ირკვევა, რომ დევნაშვილები კახეთის სოფ. ყალურში გადასახლებულან [26].

XVIII ს. დასაწყისში ერწოს სოფლებში ჯილაურსა და ნადოკრაში ჯილაურთა გვარი მოსახლეობდა [110, გვ. 48]. ჯილაურები XVIII ს-ში კახეთში გადასახლებულან. 1801—1802 წწ. კახეთის მოსახლეობის აღწერაში ისინი ყალურში არიან მოხსენებული [26, გვ. 152]. ამავე პერიოდში ჯილაურები ერწოში საერთოდ უკვე აღარ გვხვდებიან. ერწოელი ჯილაურები ჯერ კიდევ XVII ს. გარე კახეთშიც, სოფ. ბერთუბანში, გადასულან საცხოვრებლად [110, გვ. 83]. აღნიშნული გვარი გარე კახეთის სოფ. პატარძეულში დღესაც მოსახლეობს.

ერწოდან მოსახლეობა ქართლისკენაც წასულა, რაზედაც მიუთითებს შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „აქ (სოფ. გუდანელების სიახლოვეს — რ. თ.) ახლო-მახლო მთების ძირში არის ბევრი ნასახლარი. კოკოთ ახოს ვეძახით, ნაშალს ვეძახით, მანდ მოსული იყვნენ სალოცავად კაი ხანია. მანგლისიდან იყო. ჩვენ მამა-პაპათ ერწოში უცხოვრიათო, კაცის გვარი არ ვიცი, ვინც აქ სალოცავად მოვიდა. მტერი რომ შემოსევია აქაურობას, მაშინ გაქცეულან ზოგი მანგლისში, ზოგი კახეთში“ (ნ. ც. არაბული, 85 წლის, სოფ. გუდანელები, 1974 წ.).

1722 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: „... აქათ გამოყვება, ბერაკანთკარი ეწოდებიან, გამოიარს ესე, მეკომლენი და მაკუჭაძენი ქისტაურნი სახლობენ და მაკუჭაძეთ კარი ეწოდებიან; იქით — საერთონი მთანი და ბარი აქვთ დევენაანთკარით, ვიდრე ჯოთენურამდე“ [81-ა,

გვ. 366]. ერწოში მაკუჰაძეები და ქისტაურები XVIII ს. დამდეგს, მართლაც, მოსახლეობდნენ [110, გვ. 48]. XIX ს. დასაწყისის მოსახლეობის აღწერაში გვარი და ოიკონიმი მაკუჰაძე აქ აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, აღნიშნული პერიოდისათვის მაკუჰაძეები კახეთში სოფ. ყალურში მოიხსენიებიან [26, გვ. 152], 1843 წ. კი ახმეტაში [1, 2042]. ქისტაურები კი კვლავ დარჩნენ ერწოს მცხოვრებლებად. დღესაც ერწო-თიანეთში ქისტაურები, ანდა ქისტაურყოფილი, დღეს სხვა გვარის მქონე ფშავლები და ხევსურები საკმაოდ მოსახლეობენ.

დგება საკითხი ზემოთ ჩამოთვლილი გვარების სადაურობის შესახებ. ისინი ერწო-თიანეთის ოდინდელი მკვიდრნი არიან, თუ მოსული არიან სხვა კუთხიდან, მაგალითად, მთიდან? ქისტაურების შესახებ ნათელია, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან, კერძოდ ფშავიდან და ხევსურეთიდან, არიან ერწოში მოსულები. რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა გვარებს, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ისინი ძველ ერწო-თიანელებს უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ მთის მოსახლეობის მიგრაციაზე საერთო დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ ერწო-თიანეთში მთიელთა მიგრაციულ პროცესებს ადრეც უნდა ჰქონოდა ადგილი.

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ ერწო-თიანეთიდან მოსახლეობის ინტენსიური გადასახლება მიმდინარეობდა XVII ს-დან კახეთისაკენ, კერძოდ, ძირითადად ახმეტასა და მის მიდამოებში. ეს პროცესი ამ მიმართულებით, მართლაც, რომ ინტენსიური იყო, ჩანს შემდეგიდან: XVIII ს. I მეოთხედის ერწოს მოსახლეობის აღწერას თუ შევადარებთ 1801—1802 წწ. კახეთის მოსახლეობის აღწერას, აღმოჩნდება, რომ მთელი რიგი გვარები თითქმის მთლიანად აყრილან დაახლ. 75 წლის განმავლობაში (1725 წლიდან XIX ს. დასაწყისამდე) და კახეთში დაფუძნებულან. მაგალითად, **ქავაზაურები** მოიხსენიებოდნენ რა XVIII ს. I მეოთხედში ერწოში [110, გვ. 48], ეს გვარი აქ უკვე აღარაა XIX ს. დასაწყისისათვის. მათ გადასახლებულებს ვხვდებით კახეთში, სოფ. მატანში [26, გვ. 149].

ყალურში XIX ს. დასაწყისში მოიხსენიება გვარი **შლაპიაშვილი** [26, გვ. 152], რომლებიც XVIII ს. I მეოთხედში ერწოს მოსახლენი იყვნენ [110, გვ. 48].

XVIII ს. I მეოთხედში ერწოში მოსახლე **სუხიტაშვილები** [110, გვ. 48] გარე კახეთის სოფ. ნორიოში გადასახლებულან, რომლებიც 1801—1802 წწ. ნორიოს მოსახლეობის აღწერაში, ისევე როგორც ძველ საცხოვრისში, რუსთაველის ყმად მოიხსენიებიან [26, გვ. 133].

ერწოდან გარე კახეთში მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელია ეთნოგრაფიული მასალა: „ერწოდან ხალხი სვიაზე დადიოდა

უჯარმაში. ბეწინიკა ქისტაური (გარდაიცვალა 10 წლის წინ, 80 წლის ასაკში), როცა ძალიან პატარა ყოფილიყო, უფროსებს სვიაზე გაყოლია უჯარმაში, სადაც ერთ ბერიკაცს უთქვამს: „მე პატარა ვიყავი, როცა ერწოდან უჯარმაში გადმოვსახლდითო“ (ნ. ც. არაბული, 85 წლის, სოფ. გუდანელები, 1974 წ.).

ერწოში რუსთველის საეპისკოპოსო ყმად XVIII ს. I მეოთხედში სამი კომლი **ძარღვაშვილი** მოიხსენიება [110, გვ. 46]. ამ პერიოდში ძარღვაშვილები ბარში, კახეთის სოფ. ყალურში გადასახლებულან [26, გვ. 152]. ძარღვაშვილების კახეთში გადასახლებაზე მიუთითებს ერწოს სოფ. ნაქალაქარში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა: „თელთუბან წმ. გიორგიზე სალოცავად მოდიან კახეთიდან. აქ კახეთიდან მოსულ მლოცველებს ძარღვანთ ეძახიან. ხატში ერთი თასია ვერცხლისა ძარღვაანთ შეწირული“.

ერწოდან აყრილან და ყალურში დამკვიდრებულან **ნეურები** და **მაზნიაშვილები** [110, გვ. 49; 26, 152]; ახმეტაში — ერთგულაშვილები; უტოში — **ხახუნიშვილები**. ამასთანავე, XVIII ს. I მეოთხედში ერწოში ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლილი გვარები თითქმის მთლიანად იმავე თანამიმდევრობით იხსენიება 1801—1802 წ. კახეთის აღწერაში, რაც უდავოდ საგულისხმო ფაქტია!

მოსახლეობის აღწერის მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ კახეთში გადასახლებულან ერწოს სოფ. თრანის მკვიდრნი, მაგალითად, **ჯავახიშვილები**, **ანდრაშვილები‖ანდრიაშვილები** [110: გვ. 48; 26, გვ. 152]. XIX ს. დასაწყისში ანდრაშვილები ყვარლის მცხოვრებთა შორისაც არიან [110, გვ. 48; 26, გვ. 152].

XVIII ს. დასაწყისში ერწოს სოფ. მაგრანეთი მთავარეპისკოპოსის ყმებით იყო დასახლებული. აღნიშნული დროის აღწერის დავთარში აქ მოხსენიებულია გვარი **ფილაშვილი** [110, გვ. 47] (ფილაშვილები დღეს ზემო თიანეთში მოსახლე, XVII ს. ხევსურეთის სოფ. ხახმატიდან გადმოსახლებული ფილაურების განაყრები არიან). XIX ს. დამდეგს ფილაშვილები უკვე ახმეტის მკვიდრები არიან [26, გვ. 151], რომლებიც აქ 1843 წ. 5 კომლი იყვნენ [1, № 2042]. ფილაშვილების ხევსურულ წარმოშობაზე აშკარად მიანიშნებს ისიც, რომ ამ გვარს გადმოსახლებისთანავე ახმეტაში გადმოუტანია სალოცავის **ხახმატის** ნიში. ამასთანავე, მათი მიგრაცია მაჩვენებელია მთიელთა ბარში ჩამოსახლების საფეხურებრივი ხასიათისა (ხევსურეთი→ერწო→კახეთი).

XVIII ს. I მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში მაგრანეთში მოხსენიებულია გვარი **ქინქლაძე** [110, გვ. 47]. ერწოში სოფელიც არსებობდა — ქინქლაძენი. ქინქლაძეები სხვა ერწოელების მსგავსად კახეთში, სოფ. ახმეტაში, გადასახლებულან. [26, გვ. 151; 1, № 2042].

მაგრანეთიდან XVIII ს. ასევე ახმეტაში ჩასახლებულან **ტიკიშვილები** [110, გვ. 46; 26, გვ. 151], **ნადირაშვილები** და **ტურაშვილები** — არგოხსა და ბახტრიონში [110, გვ. 46; 26, გვ. 151].

ამრიგად, ჩანს, რომ ერწოს სოფ. მაგრანეთის თითქმის მთელი მოსახლეობა XVIII ს. და XIX ს. I ნახევარში კახეთში გადასახლებულა.

კახეთში, ახმეტაში, მთლიანად გადასახლებულან XVIII ს-ში ჟალეთის მცხოვრებნიც. XIX ს. I ნახევარში ახმეტაში მოიხსენიებიან **გონდაურები** (ბოლო დრომდე ჟალეთის „ქვეყანაში" ამ სახელწოდების სოფელიც არსებობდა), **ჩეკურიშვილები**, **ლომიაშვილები**, **ბაგრაშვილები**, **კუპრიაშვილები**... [110, გვ. 46; 26, გვ. 153, 1, № 2042], რომლებიც XVIII ს. I მეოთხედში ჟალეთში მოსახლეობდნენ.

XVIII ს. და XIX ს. I ნახევარში ერწოს სოფ. ახალკალოდან ახმეტაში გადასახლდნენ შემდეგი გვარები: **კახიაშვილი**, **მახატლიშვილი**, **გილაძიშვილი**, **ხიხორაშვილი**, **შერმაზანაშვილი** [110, გვ. 45; 26; გვ. 153—154; 1, № 2042]. იმავე პერიოდში ახმეტაში ერწოს სოფ. წიაბეთიდან საცხოვრებლად გადმოვიდნენ **პუპულიშვილები**, სოფ. ჩეკურიდან — **ჩეკურიშვილები** და **მაღალაშვილები** [იქვე].

ჯიჯეთელი **იარაჯულები** XVIII ს. და XIX ს. დასაწყისში ბახტრიონში დასახლებულან, თუმცა ეს გვარი, რომელიც ხევსურული წარმოშობისაა, დღესაც მოსახლეობს ზემო თიანეთში. XVIII ს. იულთასა და ბაბადიშში გადასახლდნენ ზემოთიანელი **ჯანგირაშვილები**; ფშაველსა და ლალისყურში — **ჩიტაშვილები**. აქვე ძაგნაკორელი **თარხანაულები**; ართანასა და ლალისყურში — ერწოს სოფ. კვერნაულადან **ღარიბაშვილები**. კახეთის სოფ. ფშაველში XIX ს. დასაწყისში მოსახლეობს ერწოველი **ღარიბაშვილი თამაზი** [26, გვ. 162].

XVIII ს. თიანეთიდან ახმეტაში ჩასახლებულან **ღვინაძეურები**, **ბასილაშვილები**, ქაშოდან — **ნათელაურები**. იმავე პერიოდში შილდაში გადასახლებულან თიანელი **სალირიშვილები**.

XVIII ს. I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში თიანეთის სოფელ თანგანთკარში მოიხსენიებიან **პაპიპაშვილები** [110, გვ. 41]. ჩანს პაპიპაშვილებიც ბარში — კახეთში, გადასახლდნენ. 1801—1802 წწ. ლალისყურში მოხსენიებულია ვინმე „პაპიპანთ სეხნია" [26; გვ. 160]. ამ პერიოდში ეს გვარი თიანეთში საერთოდ აღარ გვხვდება.

თიანეთის სოფ. ქაშოს მცხოვრებლებად XVIII ს. I მეოთხედში დასახელებული არიან **ახალაურები**, რომლებიც XIX ს. დასაწყისისათვის უკვე ახმეტაში გადასახლებულებად გვევლინებიან.

თიანეთიდანვე უნდა იყვნენ გარე კახეთის სოფ. ანთოკსა და გლდანში გადასახლებული **თარიმანაშვილები**. თარიმანაშვილები, რო-

მლებიც XVIII ს. დასაწყისში თიანეთში მოსახლეობდნენ, მომდევნო პერიოდებში უკვე აქ აღარ გვხვდებიან.

XVIII ს. I მეოთხედში თიანეთის სოფ. არხალში (დღევანდელი დულუზაურები) მოიხსენიება გვარი ჩანკაშვილი||ჩანგაშვილი (6 კომლი) [110, გვ. 42]. იმავე პერიოდში ორი კომლი ჩანგაშვილი უკვე გადასახლებულია კახეთის სოფ. უტოში [110, გვ. 73]. ჩანგაშვილებიდან XIX ს. დასაწყისში აღარავინ ცხოვრობდა თიანეთში. საგულისხმოა, რომ დღევანდელი სოფ. დულუზაურების ბოლოზე არის სალოცავი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "ჩანგანთ ხატს" უწოდებს. ჩანგაშვილების თიანეთის სოფ. არხლიდან გადასახლებაზე ახმეტასა და ზემო ხოდაშენში მიუთითებენ ამ გვარის როგორც ძველ, ისე ახალ საცხოვრისში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები. ამრიგად, თიანელი ჩანგაშვილები კახეთში XVII—XVIII სს. გადასახლებულან. შესაძლოა ჩანგაშვილთა ქიზიყში გადასახლების მიმანიშნებელი იყოს სოფლის სახელი „ჩანკანთ საყდარი“ [18, გვ. 356]. დღეს ტოპონიმი „ჩანკაანი“ დასტურდება წითელწყაროს რაიონში, აზერბაიჯანის საზღვართან (ზ. ნანობაშვილის ცნობა).

როგორც ჩანს, კახეთის ბარის დასახლება არაგვის ხეობის მთისწინეთიდანაც ხდებოდა. ერთი ცნობის თანახმად, გარე კახეთის სოფ. პატარძეულისათვის საფუძველი ჩაუყრიათ XVIII ს. დამდეგს ბაზალეთიდან გადმოსახლებულ რამდენიმე გვარს. ეს გვარებია: **ყუშიტაშვილი, მამუჩაშვილი, პარუნაშვილი, ლაფერაშვილი** (ძველად თევდორაშვილის გვარი უტარებიათ), **უტიაშვილები** და **უნაფქოშვილები** [12, გვ. 94]. ზ. გიუნაშვილის მიერ მოწოდებული ეთნოგრაფიული მონაცემებით კი ყუშიტაშვილები ფშავიდან არიან გადმოსახლებული და ამ გვარისთვის ფშავიდან გადმოსახლებულ ვინმე ყუშიტას დაუდია საფუძველი. ყუშიტაშვილები ეხლაც თავიანთ სალოცავად ლაშარის ჯვარსა და კოპალას თვლიან. თავდაპირველად ყუშიტაშვილების წინაპრებს სალოცავად უვლიათ ფშავში, შემდეგ კი ნიში გადმოუტანიათ პატარძეულში. ვფიქრობთ, ყუშიტაშვილების ფშავიდან გადმოსახლება XVII ს-ში უნდა მომხდარიყო, რის საფუძველსაც XVIII ს. I მეოთხედში აქ მოსახლე ყუშიტაშვილების ოთხი კომლი უნდა იძლეოდეს [110, გვ. 31, 33]. ეთნოგრაფიული მასალა გვავარაუდებინებს, აგრეთვე, რომ პატარძეულელი **ელერდაშვილებიც** ფშავიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებული (პატარძეულში კოპალას ნიშთან არსებულ სასაფლაოზე ყუშიტაშვილებთან ერთად მხოლოდ ელერდაშვილები იკრძალებოდნენ).

იყალთოელი **ჭიბილაშვილების** წინაპრები ერწო-თიანეთიდან მოსულან. მათი ადრინდელი გვარი სამხარაული ყოფილა. ისინი თიანეთში

კოპალეს ლოცულობდნენ. იყალთოშივე მოსახლე ბოტკოველები ერწოს სოფ. ბოტკოდან არიან გადმოსახლებულები (XVIII ს. დასაწყისში იყალთოში ორი კომლი ბოტკოველი მოსახლეობდა) [110, გვ. 93].

ერწო-თიანეთიდან კახეთში, განსაკუთრებით ახმეტის სანახებში, მოსახლეობის მიგრაციის დამადასტურებელი მრავალი სხვა საბუთიც მოგვეპოვება; მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ზემოთ არაერთგზის მითითებული 1801—1802 წწ. მოსახლეობის აღწერა, რომელშიც ერწო-თიანეთში მოსახლე ოჯახებს ხშირად მიწერილი აქვთ: **„ახმეტას მყოფი", „მატანს მსახლობელი", „მატანს არს"**. ერწო-თიანეთის მცხოვრებლებს შორის 1801—1802 წწ. აღწერის მიხედვით 46 ოჯახი იყო „ახმეტას მყოფი".

ერწო-თიანელთა ახმეტის მიდამოებში გადასახლება ფიქსირებულია რამდენიმე იურიდიულ დოკუმენტშიც. მოვიტანთ ამონაწერებს მხოლოდ ზოგიერთი მათგანიდან. 1785 წ. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში ნათქვამია: „თითონ ერწოელნი დღეს ახმეტას სახლობენ; საკუთარი კათალიკოზის ყმანი და სამწყსონიც კათალიკოზისანი არიან" [81—ბ, გვ. 957]. 1800 წ. საეკლესიო საბუთიდან: „ჩვენ ეს, დია. დამტკიცებით ვიცით, რომ არას დროს კათალიკოსს ახმეტაში საყდარი არ ჰქონია, არ სამწყსო ჰყოლია მათ მსახლობელ ერწოელებს გარდა" [81—ბ, გვ. 1056]. 1765 წ. საბუთიდან: „ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხის მეფის ძის, ანტონის იმედნო, ვინცა ვინ ჩვენი ყმანი ხართ და ან სამწყსონი ან თიანეთისა და ერწოელნი ახმეტასა" [81—ბ, გვ. 860]. 1784 წ. საბუთიდან: „ჟამთა ვითარებისაგან სხვის სამწყსონი მოსულან და ჩვენს სამწყსოში სახლობენ: ბოდავიდან ბოდაველნი, თიანეთსა და ერწოდამ ერწოელნი, ახმეტას და სხვანიც იმყოფებიან აქავე; იქიდამვე მოსდევენ და დღესაც უჭირავს" [81—დ, გვ. 614].

ამრიგად, ზემოთ მიმოხილულიდან აშკარად ჩანს ერწო-თიანეთის ადრინდელი მოსახლეობის ბარში, კერძოდ კახეთში, ჩასახლების ინტენსიურობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა არ შეიცავს ცნობებს ერწო-თიანეთიდან კახეთში გადასახლებული გვარების თავის დროზე ერწო-თიანეთში მოსულობისა ანდა მათი აქ ოდითგანვე მოსახლეობის შესახებ.

## § 2. ფშავ-ხევსურთა კახეთში გადასახლებები XIX ს. წინარე ხანაში

ფშავ-ხევსურთა XIX ს. წინარე ხანაში კახეთში მიგრაციის საკითხები უფრო დაწვრილებით ძირითადად განხილული იქნება ქვემოთ ტოპონიმიკური მასალებითა და ადგილშეცვლილი სამლოცველოებით. ახლა კი ამ საკითხს განვიხილავთ ხალხის აღწერის დავთრებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით.

სოფ. ქისტაურის მკვიდრთაგან ძირად მთიელებად თვლიან თავს **ხოსიაშვილები, დათუაშვილები, პეტროზაშვილები. ფარემუზაშვილები, მაილაშვილები, ბუზალაძეები, ბერიაშვილები, ირემაულები, იობაშვილები, ზანქაიძეები, ადამაშვილები, ვედიაშვილები, ბლაგუაშვილები, შლაპაშვილები, ჯაბანიშვილები, ყლარტიაულები.**

XVIII ს. I მეოთხედის ქისტაურის აღწერაში 25 კომლი საერთო გვარით — „ქისტაურები" არის მოხსენიებული. ამას გარდა, აქვე ჩამოთვლილია ისეთი გვარები, რომელთა მთური წარმოშობა ეჭვს არ იწვევს: **ბეწუკელი, ბერი ხანდაური, ტალაურიშვილი, ყლარტაულის შვილი, ხუცურაული, ბერელაურის შვილი, დათვიაური, ბერნახაული, ტალიური, ჭიაურელი** [110, გვ. 79]. ამასთანავე, ქისტაურში აღწერილი ბევრი საკუთარი სახელი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გვხვდებოდა: **ციხელა, შვაგური, შუშანა, მგელა, ცაბური, ბაცაცა, ნადირა, ჩიტია, ცისკარა, ქავთარა, გულბათ, ბეწუნა, შერმაზან...**

ქისტაურში დამკვიდრებული მოსახლეობა ძირითად ფშავის ქისტაურთ სათემო სოფელ შუაფხოდანაა, ოღონდ ისინი უშუალოდ როდი გადმოსახლებულან მთიდან. ფშავიდან წამოსული ქისტაურები ჯერ ერწოში, სოფ. ბოჭორმის მახლობლად, დამკვიდრებულან, დაუფუძნებიათ სოფ. ქისტაური და შემდეგ აქედან გადასულან კახეთში და აქაც სოფლისთვის კვლავ ქისტაური დაურქმევიათ. კახეთში ქისტაურის წარმოქმნა XVIII ს. დასაწყისისათვის ფაქტია. ერწოში კი, ბოჭორმის სიახლოვეს, დღესაც დასტურდება ტოპონიმი ქისტაური.

ძირად ხევსურები ყოფილან იყალთოელი **მრელაშვილები**, რომელთა ძირი-გვარია ბუჩუკური. XVIII ს. I მეოთხედში მრელაშვილები უკვე იყალთოში მოსახლეობდნენ [110, გვ. 95], რაც მათ უფრო ადრე, დაახლ. XVII ს. II ნახევარში გადმოსახლებას გვაფიქრებინებს. მთიდან, კერძოდ ფშავიდან, გადმოსახლებულან იყალთოელი **ბაჩიაშვილების** წინაპრებიც. მრელაშვილების მსგავსად ბაჩიაშვილებიც, როგორც ირკვევა, XVII ს-ში მოსულან ფშავიდან იყალთოში. XVIII ს. I მეოთხედში ისინი აქ ორი კომლის რაოდენობით მოსახლეობდნენ [110, გვ. 94].

კახეთის სოფ. ვაჩნაძიანში (დღევანდელი შრომა) მოსახლე **ძამცაშვილების** (იგივე ცამციშვილების) წინაპარი ხევსური ფიცხელაური ყოფილა თიანეთიდან გადმოსახლებული [96, გვ. 1—2].

საკმაოდ არიან ძირად მთიელები სოფ. ახშანში (ახმეტის რ.). მაგალითად, აქ მოსახლეობენ **დუდაურები**, რომლებიც გადმოსახლებულან დღევანდელი დუშეთის რაიონის სოფ. დუდაურთკარიდან. XVIII ს. დასაწყისში ახშანში დუდაურების სამი ოჯახი მოსახლეობდა [110, გვ. 95].

ახმანში მოსახლეობენ გარჯაკაულები, რომლებიც მთიელებად თვლიან თავს, მაგრამ თუ რომელი კუთხიდან, ეს დავიწყებასაა მიცემული. მათ ფშაურ ან ხევსურულ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს სალოცავი კოპალა, რომელიც გარჯაკაულების სალოცავი იყო. XVIII ს. დასაწყისში გარჯაკაულები სოფ. უტოს (დღევანდელი ქ. ახმეტის ერთ-ერთი უბანი) მოსახლენი იყვნენ [110, გვ. 95].

ახმანში მოსახლეობენ ისეთი გვარები, რომელთა ფშავ-ხევსურეთიდან მიგრაცია ეჭვს არ იწვევს; **ფიცხელაური, შუშანაშვილი, ბეწუკელი, წითელაური, გოგოჭური.** XVIII ს. დასაწყისში ახმანში მოსახლეობდნენ: **ჯაბჯაურები, ქისტაურები** [110, გვ. 91], რომლებიც ასევე მთიდან იყვნენ გადმოსახლებული.

XVIII ს. I მეოთხედის ახმანის მოსახლეობის აღწერაში მოხსენებული გვარი **აკუშელიშვილი** [110, გვ. 92] უთუოდ მთიდან, სოფ. აკუშოდან, უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ნაწარმოებია აკუშო-ზე დართული -ელ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსით და შემდეგ ქართული გვარების მაწარმოებელი „შვილის“ დართვით (აკუშ-ელი-შვილი).

კახეთის სოფ. ზემო ხოდაშენში დღეს მოსახლე გვარებიდან ძირად მთიელები არიან: **ფიცხელაური, ჩურუხაული, ხუზაური, წითელაური, ჩანგაშვილი, ჭიჭიაშვილი, ქეშიკაშვილი...** პირველი ორი გვარი ძირად ხევსურეთიდან არის. ჩამოთვლილი გვარების უმეტესობა ძირითადად XVII—XVIII ს. დასახლებულა ზემო ხოდაშენში [110, გვ. 92]. ჩურუხაულები XVIII ს. I მეოთხედში გრემშიც მოსახლეობდნენ [110, გვ. 62]. საგულისხმოა, რომ ჩურუხაულები (ჩორხაულები) ზემო ხოდაშენში კოპალას სალოცავის მუდმივი დასტურები ყოფილან. მათი წინაპარი კახეთის დასახელებულ სოფელში ფშავის სოფ. უძილაურთიდან გადმოსახლებულა, უძილაურთაში კი ისინი ხევსურეთიდან იყვნენ მოსული. ქეშიკაშვილები ზემო ხოდაშენში XX ს. 40-იან წლებში დასახლებულან, რომელთა წინაპარი ფშავის სოფ. ჭიჩოდან ივრის ხეობის სოფ. არტანში ჩამოსახლებულა, XX ს. 10-იან წლებში კახეთში გადასულან და ზემო ხოდაშნის მახლობლად, სოფ. კალოთანაში, დამკვიდრებულან.

სოფ. ხორხელში მოსახლე **მამულაშვილებს** ადრე ჯაბჯაურის გვარი უტარებიათ. ჯაბჯაურები მართლაც მოიხსენებიან XVIII ს. I მეოთხედში მეზობელ სოფ. ახმანში. იმავე დროის აღწერაში ხორხელში შემდეგი მთური გვარები გვხვდებიან: **წიკვლაური, ხისვაური...** (110, გვ. 74—75). ხორხელში XIX ს. შუა ხანებში მოსახლეობდა გვარი **ჭავჭაური.**

მატან-მარილისელთა ფშაურ წარმომავლობაზე ქვემოთაც გვექნე-

ბა საუბარი, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთი გვარის მთიდან მოსულობას (XVI—XVII სს.): **ზურაბაშვილები** — ფშავის სოფ. შუაფხოდან; **აბულაშვილები** — გოგოლაურთიდან; **ხოხობაშვილები** — ელიაგზიდან, **ასათაშვილები** — ნაკვალესავიდან (ადრინდელი გვარია წელაური); **ჯუგაშვილები** და მათი განაყარი **ტურაშვილები** და **ზარვანდაშვილები** — ახადიდან; **ბათურიშვილები** და **ლომიაშვილები** ყვარადან გადმოსახლებული ძირად გაბიდაურთ გვარის ფშავლები არიან; **სიმონიშვილები**, **გოდერძიშვილები** და **შავერდაშვილები** უკანაფშავიდან ჩამოსახლებულან, და ერთი მამისგან მომდინარეობდნენ; უკანაფშავიდან არიან მოსული **გარშაულიშვილების** წინაპრებიც. ფშავიდან არიან მოსული **შათირიშვილები** და მათი განაყარი **პუნიაშვილები**. ამავე სოფელში მოსახლე **ოტიაშვილები** და **პიპიაშვილები** კი ძირად ხევსურობას ამბობენ; მათი ადრინდელი გვარი პინჯარაული ყოფილა.

XVIII ს. მატან-მარელისში დასახელებულია ისეთი გვარები, რომელთა მთური წარმოშობა-წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს: **კორხელაური**, **წითელაური**, ლაშარის ჯვრის მეზვრე, **სადირაული**, **წოწკორაული**, **ახალაური**, **ნათელაური**, **გოგილაური**, **ზვიადაური**, **ჯალაბაური**, **მახაური**, **მათხიაური**... [110, გვ. 70—72, 77].

გრემში ერწოელთა გადასახლების აშკარა მიმანიშნებელია XVIII ს. I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში მოხსენებული **გონდაურის** გვარი [110, გვ. 57]. აქვე ყურადღებას იქცევს გვარი **იპირაული**. მთური გვარები გვხვდებიან გრემის მეზობელი სოფლის შილდის იმავე დროის აღწერაში: **კირაული**, **გაფრინდაული** (იქვე), **ჩახტაური** (13 ოჯახი) [110, გვ. 58].

სოფ. საბუეში XVIII ს. I მეოთხედის აღწერაში გვხვდება: **კარიპაული**, იულთაში — **ვერძაული**, **კაპკაპაური**, **კევსურის შვილი**; ართანაში — **მუცელაური**, **სინდაური**; ფიჩხოვანში — **გოგოთური**, **წიკვლაური**; მაღრანში — **ბესაური**, **ქისტაური**, **იარაჯული**; პანკისში—**წითელაური**, **აგიდაური**, **იარაღული**, **ბალათური**; კუწახტაში — **კორხაველი**, **მუცოლაური**, **პუხური**, **შუშაური**; უტოში — **გაჯაკაური**, **ლაპაური**, **ფიცხელაური**, **ვეყანაური**, **ქოჩიაური**; კონდოლში — **ყინვალელი**, **ბუჩუკური**, **პიაურელი**; ნასომხარში — **ფიცხელაური**; წინანდალში — **კოკაური**, **ჩალაური**, იყალთოში — **ზამთარაული**, **რაიბული**, **გაბიდაური**, **ბუჩუკური**; არტოზანში — **გოგოპურის შვილი**, **გოგოლაურის შვილი**; გულგულაში — **გაბიდაურიშვილი**; თელავში — **მუმლაური**; კისისხევში — **ბოტკოვლიშვილი**, **ფხოვლიშვილი** [110, გვ. 58—104]. 1712 წ. ერთი საეკლესიო საბუთის მიხედვით გარე კახეთის სოფ. თვალში (დღევანდელი საგარეჯო) მოსახლეობდნენ: **ლასურაულები** და **კვირიკაულები** [81—ბ, გვ. 689].

წნორში მოსახლე ფხოველიშვილები ფშავ-ხევსურეთიდან გადმოსახლებულებად თვლიან თავს, მაშნაარელი ხანდოლიშვილების წინაპარი ხანდოს ხეობიდან გადმოსახლებულა [67, გვ. 323].

მსგავსი მაგალითები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ კახეთის ბარის ვრცელ ტერიტორიაზე ფშავ-ხევსურთა გადმოსახლებაზე XVII—XVIII სს., შეიძლებოდა კიდევ ბევრი მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ აღნიშნულიც საკმარისია.

## § 3. ფშავ-ხევსურეთიდან და ერწო-თიანეთიდან მოსახლეობის კახეთში მიგრაცია XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში

ერწო-თიანეთიდან და ივრის ხეობის ზემო წელიდან მოსახლეობის კახეთში მიგრაცია მხოლოდ XVII—XVIII სს. და XIX ს. I ნახევრისათვის როდი იყო დამახასიათებელი. როგორც აღინიშნა, XIX ს. II ნახევარში ქართველმა მთიელებმა ინტენსიური გადასახლება დაიწყეს დაბლობში. XIX ს. II ნახევარში ივრის ხეობიდან გარკვეული ხნის წინ აქ მიგრირებული მთიელებისათვის მიგრაციის მიმართულება ძირითადად კვლავ კახეთის ბარისაკენ რჩებოდა. XIX ს. II ნახევრიდან ერწო-თიანეთიდან და ივრის ხეობის ზემო წელიდან კახეთში გადმოსახლებულები ძირითადად ეტანებოდნენ შიგნით კახეთის უფრო მაღლობ, მთისწინა ზოლს: ილტოსა და პანკისის ხეობებს, ახმეტისა და ნაწილობრივ თელავის სანახებს.

ილტოს ხეობაში ივრის ხეობიდან ჩამოსახლებულ ფშავ-ხევსურთა მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან. ილტოს ხეობის დასახლება ქართველი მთიელი მთისწინელებით ჯერ მისი უფრო მაღლობი ადგილებიდან დაიწყო და შემდეგ ქვევით და ქვევით ჩამონაცვლებით მიმდინარეობდა. დღეისათვის ეს ადგილები ძირითადად მხოლოდ ნასახლარ-ნასოფლარების სახითაა არის შემორჩენილი, ხოლო აქ მოსახლენი უკვე კახეთის ბარში, განსაკუთრებით ახმეტის მიდამოებში, არიან გადმოსახლებულნი, თუ არ ჩავთვლით სოფლებს: შახვეტილასა და ჭართალას, რომლებიც ილტოს ხეობის დავაკებაზე მდებარეობდნენ.

ილტოს ხეობის მოსახლეობის შესახებ ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა 1913 წლის მდგომარეობას ასახავს. სოფ. ბუხრებში მოსახლეობდნენ ყეინიშვილები, თიაყაშვილები, ლვინიაშვილები, ხვლეურები, ჯერვალიძეები. თიაყაშვილები ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. ყვარადან გადმოსახლებული გაბიდაურთ თემის ფშავლები არიან, რომელთა თავდაპირველი საცხოვრისი ფშავის სოფ. ხოშარა იყო. ყეინიშვილები და ჯერვალიძეები სოფ. ხეობიდან იყვნენ მოსული,

სადაც მათი წინაპრები ფშავის სოფ. შუაფხოდან გადმოსახლებულან. ღვინიაშვილები ზემო თიანეთის სოფ. საკრეჭიოდან ჩამოსახლებულან.

სოფ ჩაფართაში მოსახლეობდნენ **უძილაურები, გედეხაურები, ალბუთაშვილები, პატარაშვილები, ღვინიაშვილები, ლავერაშვილები (||უძილაურები)**. ყველა ჩამოთვლილი გვარი გადმოსახლებულია ფშავიდან — როგორც ივრის ხეობის ზემო წელიდან, ისე თვით ფშავიდან. გვიან, XX ს. 30-იანი წლების ბოლოს, ჩაფართელები სოფ. შახვეტილაში ჩამოვიდნენ.

სოფ. **ჭართალაში** XIX ს. II ნახევრიდან დასახლებული იყვნენ შემდეგი გვარები: გოგოჭურთ თემის ფშავლები **მჭედლურები**—სოფ. მიგრიაულთიდან; **ბოძაშვილები** (ძირიგვარი ევედრაული) — შარახევიდან, გაბიდაურთ თემის ფშავლები **ფეტვიაშვილები** და **ახალაურები**; ხორხის ხეობის სოფ. კომშიანიდან — **ტოხიშვილები** და ხევსური **ხორნაულები** და **არაბულები**. ხორნაულებს მიგრაციის საკმაოდ გრძელი და რთული გზა გაუვლიათ; XIX ს. II ნახევარში ისინი ჯერ ჩამოსახლებულან ივრის ხეობის სოფ. ბაჩალში, აქედან თიანეთის სოფელ ჩაბანოში და ჩაბანოდან — ჭართალაში.

ილტოს ხეობის სოფ. **საფუტკრეში** თიანეთიდან გადმოსახლებული **კაცელაშვილები, ლანიშაშვილები** და **გუშკაშვილები** მოსახლეობდნენ. სამივე გვარი ამ რამდენიმე წლის წინ ახმეტაში გადავიდა საცხოვრებლად და სოფელი მთლიანად დაიცალა. ეს პროცესი საერთოდ დამახასიათებელია უკანასკნელი სამი ათეული წლისათვის. გარკვეულმა ტერიტორიულმა ერთეულმა მეურნეობის წარმოებისათვის მუშახელი დაკარგა. ასევე დაემართა უკანასკნელ პერიოდში ილტოს ხეობის სოფლებს: ჩაფართასა და ბუხრებს. ბუხრებიდან მოსახლეობა პანკისის ხეობის დაბლობ ნაწილში, საკობიანოში, გადავიდა.

XIX ს. 60-იან წლებში უძილაურთ თემის ფშავლებს დაუფუძნებიათ სოფ. შახვეტილა. 1863 წ. ფშავის სოფ. უძილაურთიდან შახვეტილაში 11 კომლი გადმოსახლდა [4, № 2700]. უძილაურების აქ მოსვლა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. უძილაურების 3 კომლი 1890 წ. დუშეთის მაზრის სოფელ წიფრანიდანაც მოსულა. 1872 წ. შახვეტილაში თიანეთიდან საცხოვრებლად მოსულან ძირად უძილაური **თეგერაშვილები**. XIX ს. II ნახევარში აქვე დასახლებულან თიანელი **გოჯიაშვილები** და **აბრამიშვილები** (4, № 2700). საგულისხმოა, რომ შახვეტილაში გადმოსახლებულ უძილაურებს ფშავიდან გადმოუტანიათ სალოცავის — კოპალას, ნიში.

პანკისის ხეობის დაბლობ ნაწილში ფშაველთა ინტენსიური გადასახლებანი XIX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი ასეთი სოფელი, სადაც კომპაქტურად დასახლდნენ ფშავლები, ყვარელწყალი

იყო. 1862 წ. ფშავის სოფ. ახადიდან ყვარელწყალში დასახლებულან: **კულალაღაშვილი** და **პოლიკიშვილი** (ორ--ორი კომლი), **გულბათაშვილი, სალირიშვილი, თედოშვილი, ბურკვაშვილი, გამიაშვილი, ტილაური** (თითო კომლი) (4, № 2700). ყვარელწყალში ახადელი ფშავლების გარდა საცხოვრებლად მოსულან უკანაფშაველებიც: **მანგიაშვილი** და **ქაჩლიშვილი** (1863 წ.), **ტალაშვილი** და **გორელაშვილი** (1869 წ.), **როხტევანიშვილი** და **ჩეკურაშვილი** (1867 წ.), **წელაური** და **ბებინაშვილი** (1860 წ.), **კარატიული** და **ბუტულაშვილი** (1870 წ.). უშუალოდ ფშავს გარდა, 1860—1870-იან წლებში ყვარელწყალში გადმოსახლებულან ერწო-თიანეთის სოფლებიდანაც: ვეძათხევიდან — **ჩეკურიშვილი**; პიოტაანთკარიდან — **გულბათაშვილი, პაპიაშვილი, ხიცვაშვილი**; არტნიდან — **პაპიაშვილი**, ზენამხარიდან — **ამარზაშვილი**... (იქვე).

ზემოთ ჩამოთვლილ გვარებს გარდა XIX ს. II ნახევარში ყვარელწყალში ჩამოსახლდნენ **ციგროშვილი** (ნაკვალესავიდან), **დადალაური** (კორსავიდან), **კვირიკაშვილი** (ძირად ხევსური, გაფშაველებული), **ზურაბაული** და **ალბუთაშვილი** (თიანეთიდან). **ჯაბაშვილი, აპრილაშვილი** და **ბუწაშვილი** (უკანაფშავიდან), **მოკვერაშვილი, გამრეკელაშვილი** და **ქურციკაშვილი** (ახადიდან).

პანკისის ხეობის სოფ. ზემო ხალაწანში ფშავლები (ძირითადად გოდერძაულთ თემისანი) გადმოსახლებულან თიანეთის სოფ. ალოტიდან. XIX ს. შუა ხანებში ალოტში დასახლებული მთიელები უკვე XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ბარში, ზემოთ დასახელებულ სოფელში, გადმოდიან, რაც ერთი ნათელი მაგალითია მთის მოსახლეობის ბარში გადასახლების შუალედური რგოლის, საფეხურის გავლისა. ზემო ხალაწანში ალოტიდან შემდეგი გვარები მოსულან: **ჩოფიკაშვილები** (ძირად მოხევეები გადმოსახლებულნი ხევსურეთში, ხევსურეთიდან — ალოტში); **სამუკაშვილები** (გოდერძაულთ თემის ფშავლები), **ჩიტოშვილები** (ძირად ხევსურები, არდოტიდან); **თილილაურები** (გოდერძაულთ თემის ფშავლები; ალოტში გადმოსახლებული იყვნენ ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. მგელათციხიდან); **ბაჩანაშვილები** (წითელაურთ თემის ფშავლები, ზემო თიანეთის სოფ. წიკლიანთკარიდან); **პატარაშვილები** (გოდერძაულთ თემის ფშავლები, რომლებიც ალოტში მგელათციხიდან იყვნენ მოსული)...

XIX ს. II ნახევარში ზემო ხალაწნის მეზობელ სოფ. **დედიფერულში** ჩამოსახლდნენ მთიელები: **ბურკოშვილები** და **დედიაშვილები** (გოდერძაულთ თემის ფშავლები, გადმოსახლდნენ ივრის ხეობის ზემო წელიდან); **ჯველაურები** და **გონელაშვილები** (უკანაფშავიდან); **ქეშიკაშვილები** (პიჩოელი ფშავლები, არტნიდან); **თორღვაშვილები** (ალოტიდან. ძირად არდოტელი ხევსურები).

ფშავლებმა დააფუძნეს, აგრეთვე, პანკისის ხეობის დაბლობის სოფ. **ბაყილოვანი**, სადაც პირველად თიანეთის სოფ. ხაიშოდან გადმოსახლებულა წოწკორაულთ თემის ფშაველი ვინმე **ლუბიანური იოსები**. ბაყილოვანში მოსახლეობენ **მურღვაშვილები**, რომლებიც უკანაფშავიდან ჯერ დასახლებულან პანკისის ხეობის მთაგორიან ნაწილში, სოფ. ხადორში, საიდანაც ბაყილოვანში ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში გადმოვიდნენ. ხადორიდანვე გადმოვიდნენ ბაყილოვანში ძირად უკანაფშაველი **წიწუაშვილები**. უკანაფშავიდან აქვე XX ს. 10-იან წლებში ჩამოსახლდნენ **წელაურები**. თიანეთის სოფ. ჩეკურაანთგორიდან გადმოსახლებულან ახადელი ფშავლები **გორელაშვილები** და **კულალაღაშვილები**. ბაყილოვანში ჰიჩოელი **ტვირთაშვილები** არტნიდან გადმოსულან. XX ს. 40-იან წლებში ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. ყვარიდან ბაყილოვანში საცხოვრებლად მოვიდნენ გაბიდაურთ თემის ფშავლები: **ციხელაშვილები** და **კოჭლაშვილები**.

ახმეტის რ-ის სოფ. საკობიანოში დღევანდელი მოსახლეობა XX ს. 20-იან წლებში გადმოსახლდა, პანკისის ხეობის ზემო წელის სოფლებიდან: **ძიბახევიდან**, **ხადორიდან** და **ბაწარადან**, სადაც ფშავიდან XIX ს. 60—70-იან წლებში იყვნენ მოსული. საკობიანოში დღეს მოსახლე უკანაფშაველი **ჯველაურები** ძიბახევიდან არიან გადმოსულნი; **ბეკურაულები** და **გამიაშვილები** — ბაწარადან და ხადორიდან. **ბაიდაურები** საკობიანოში ხადორიდან გადმოსახლდნენ, ხადორში კი მოსული იყვნენ ფშავის სოფელ ნაკვალესავიდან. გოდერძაულთ თემის ფშავლები არიან **სოხურაშვილები**, **ბურკაშვილები** და **მაშვენიაშვილები**, რომლებიც საკობიანოში ბაწარადან და ხადორიდან არიან გადმოსულნი, აქ კი ივრის ხეობის ზემო წელის სოფ. ყაფრიდან გადმოსახლებულან. როგორც ცნობილია, ყაფარში მათი წინაპრები ახადიდან იყვნენ მოსული. ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ ბაბხისხევიდან გადმოსახლებულან საკობიანოში **გარაშვილები**. ყაფრიდან ხადორში გადასახლებულან XIX ს. 70-იან წლებში **ცხვირაშვილები**, რომლებიც XX ს-ის 20-იან წლებში საკობიანოში გადავიდნენ.

გოგოლაურთ თემის ფშავლები **მგელიაშვილები** ზემო თიანეთის სოფ. ლახატოდან გადმოსახლდნენ XIX ს. 70-იან წლებში დღევანდელი ახმეტის რ-ის სოფ. **ხევისჭალაში** (სოფ. მატანთან), ახადიდან კი **პატარაშვილები**. ხევისჭალადან ეს გვარები საკობიანოში გავიდნენ. ასევე ხევისჭალადან გასულან საცხოვრებლად საკობიანოში გოდერძაულთ თემის ფშავლები **ხავაზურაშვილები**. ხევისჭალაში კი ისინი მიგრირებულნი იყვნენ ივრის ხეობის ზემო წელიდან (სოფლები: ყაფარი და მგელათციხე). საკობიანოში მოსვლამდე (1924) **ლაგაზაურებმა** გადასახლების შემდეგი გზა გაიარეს: ახადი (ფშავი)→ყაფარი (ივრის

ხეობის ზემო წელი)—ბაწარა (პანკისის ხეობის ზემო წელი)—საკობიანო (პანკისის ხეობის ბარი). აღწერილი დროისათვის საკობიანოს პირველი მოსახლე ეს უკანასკნელი გვარი ყოფილა.

ამრიგად, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, კახეთის სოფ. საკობიანოში ძირითადად გოდერძაულთ და უკანაფშაველთ თემების ფშავლები მოსახლეობენ, რომლებიც აქ დასახლდნენ 1924 წლის შემდეგ, ძირითადად პანკისის ხეობის ზემო წელის სოფლებიდან (ბაწარა, ხადორი, ძიბახევა). აქ კი ფშავლები მოსული იყვნენ XIX ს. 60—70-იან წლებში როგორც ფშავიდან, ისე ივრის ხეობის ზემო წელიდან. აშკარად ჩანს, თუ თანდათან როგორ იუმჯობესებდნენ მთიელები საცხოვრებელ პირობებს.

გადმოსახლებამდე ფშავლები პანკისის ხეობის ზემო წელში (მთისძირი) მთაბარობდნენ: ზამთარში ცხვარ-ძროხას აქ აბინავებდნენ, ზაფხულში კი უკან, მთაში, მიდიოდნენ. ზამთარში ხადორსა და სხვა სოფლებში ყოფნის დროს აკეთებდნენ კოდებს. „მერმე ამ მომთაბარეობაში ფესვი გაიდგეს და დასახლდნენ".

XIX ს. II ნახ. ფშავლები კახეთის სოფ. ხევისჭალაში დასახლდნენ. აქ გადმოსახლებულ ფშაველთაგან შეიძლება შემდეგი გვარები დავასახელოთ: **დავითაშვილები, ცხვირაშვილები, გარაშვილები** (ახადიდან); **აფშინაშვილები** (ყაფრიდან); **ფოცხვერაშვილები, მჭედლურები, ხუცურაულები** (ქისტაურთ თემისანი) და **ხადილაშვილები** (წოწკორაულთ თემისანი).

XX ს. 10-იან წლებში დასახლდნენ მთიელები ახმეტის რაიონის სოფ. ვეძებში. პირველი მოსახლენი ზემო თიანეთის სოფ. ზენამხრიდან გადმოსახლებული **თურქიაშვილები** იყვნენ. ადგილის სივიწროვისა და სიმწირის გამო ზენამხრიდან გადმოსახლებულ თურქიაშვილებს თავად ჩოლოყაშვილისაგან უყიდიათ ადგილი და ტყე. ვეძებში თურქიაშვილებს გარდა დასახლებულან: **ქისტაშვილები** (არტნიდან); **გუშკაშვილები** (ზენამხრიდან); **ბადრიშვილები** (შუაფხოდან); **ყაყიდაშვილები** (ქუშხევიდან, 1918 წ.); **კაჭაროზაშვილები** (ხომიდან 1933 წ.); **ჯერვალიძეები** (ხორხიდან 1920-იან წლებში).

კახეთში, დღევანდელი ახმეტის რაიონში, XIX ს. II ნახევრიდან ჩამოსახლებულან ხევსურებიც. ხევსურები დასახლებულან: **იფნისგორში, ბუღაანში, კვერნაულაში, ბაკანაში, ვაშლოვანში, ნაკალოვარში, საკევრეში, ქორუბანში, ჩაჩხრიალაში, ჩაფჩიაურში, ახხაბარში.** ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ სოფელში ხევსურები ფშავლებთან ერთად მოსახლეობდნენ, მაგალითად, **იფნისგორში, ბუღაანში.**

ახმეტის რ-ის დასახელებულ სოფლებში გადმოსახლებული ხევსურებისათვის ერთგვარი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა სოფ.

კვერნაული, სადაც მათ სალოცავების ნიშები ჰქონდათ გადმოტანილი. კვერნაულში ხევსურეთიდან XX ს. დასაწყისიდან ძირითადად შემდეგი გვარები იყვნენ გადმოსახლებული:

**ციskარაული, არაბული, ნაროზაული, შეთეკაური, ჭინჭარაული, გიგაური, ალუდაური.**

აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან და მთისწინეთიდან მოსულები XIX ს. II ნახევარში მოსახლეობდნენ, აგრეთვე, კახეთის სოფლებში **ხორბალოსა (უძილაური, ხოხობაშვილი, ალიაშვილი, მისრიაშვილი, გონჯილაშვილი)** და **ბახტრიონში.** ორივე ეს სოფელი ჯერ კიდევ XVII ს. ნაბოძები ჰქონდათ მეფეთაგან ქართველ მთიელებს, რასაც, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეეწყო მათი აქ ჩამოსახლება-დამკვიდრებისათვის.

XIX ს. II ნახევარსა და — XX ს. პირველი ორი ათეული წლის მონაკვეთში დამკვიდრებულან ხევსურები კახეთის სოფ. თეთრწყლებში [124, გვ. 11].

ქართველი მთიელები და მთისწინელები XIX ს. II ნახევრიდან გარე კახეთში სახლდებოდნენ. ისეთ სოფლებად, სადაც ფშავლები მოსახლეობენ, აქ შეიძლება დავასახელოთ **ბოტკო, კოჭბაანი, ვაშლიანი, გომბორი...** ბოტკოში 1863 და 1866 წლებში ხორხიდან გადმოსახლებული ქისტაურთ თემის ფშავლები **(ჩარბოდაშვილები და ხუზაურები)** მოსახლეობენ, კოჭბაანსა და ვაშლიანში კი არტნიდან მოსული ჭიჩოელთ თემის ფშავლები.

ფშავ-ხევსურთა მთიდან და მთისწინეთიდან ბარში, კახეთში, XIX ს. II ნახევრიდან ჩამოსახლების კიდევ სხვა მაგალითებიც შეიძლებოდა მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც ნათელს ჰფენს, თუ რაოდენ ინტენსიურად მოიწევდნენ ქართველი მთიელები (ფშავ-ხევსურები) ბარისაკენ. XIX ს. II ნახევარში მიმდინარე მიგრაციული პროცესები უშუალო გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ადრე (XVII—XVIII სს. და XIX ს. I ნახ.) მიმდინარე მთიელთა ბარში გადასახლების პროცესისა.

დაბოლოს, კახეთის ბარში ქართველ მთიელთა გადასახლების შესახებ შეიძლება ისიც ითქვას, რომ ისინი ძირითადად სახლდებოდნენ დღევანდელი ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, ყვარლის რაიონებში. ერიდებოდნენ სასაზღვრო ზოლში (დღევანდელი ლაგოდეხისა და წითელწყაროს რაიონები) ჩასახლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარეც მოსახლეობის ნაკლებობას, სიმცირეს განიცდიდა. ამ შემთხვევაში, ქართველი მთიელების მიერ ჰერეთისა და ქიზიყის რეგიონებში ჩასახლებისაგან თავის შეკავება გამოწვეული იყო იმით, რომ აქ მტერთა თავდასხმებისაგან თავდაცვა უფრო ძნელი იყო.

XX ს. დასაწყისში ფშავიდან კახეთის მიმართულებით — შირაქის ველზე — დაიძრა გადასახლებულთა ნაკადი. აქ შეიქმნა ფშაველთა ახალი კომპაქტური დასახლება (სოფ. ქვემო ქედი). მოგვიანებით შირაქში დასახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელები (მთიულ-გუდამაყრელები, ხევსურები, ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის ქართველი მოსახლეობა), რომლებმაც შექმნეს სოფლები ზემო ქედი და არხილოსკალო.

შირაქის ველზე ფშაველთა გადმოსახლება დაიწყო 1900 წლიდან, ინტენსიურად კი ეს პროცესი 1905—1913 წლებში მიმდინარეობდა, თუმცა მთიდან მოსახლეობის აქ გადმოსახლება მომდევნო წლებშიც ხდებოდა და მეტ-ნაკლებად უკანასკნელ ხანებამდე გრძელდებოდა.

შირაქის ველი ქართველი მთიელების (თუშ-ფშავ-მთიულების) მიერ ადრევე იყო გამოყენებული საზამთრო საძოვრებად. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, კახეთის მეფე ლევან II-ს (1520—1574) აღუთქვამს ქართველი მთიელებისათვის, რომ მათი ცხვარი ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე გამოიზამთრებდა კახეთში [42, გვ. 573].

ჩვენს მიერ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა ყოველმხრივ ადასტურებს იმას, რომ ფშავლებს შირაქში ჩამოსახლებისაკენ უბიძგა იმ ეკონომიურმა გაჭირვებამ, რომელიც მთაში იყო. მთხრობელი ს. პ. ცაბაურაშვილი (60 წლის, 1972 წ.) გადმოგვცემს, რომ „ქედში მოსავალი მოდიოდა და იქ იმას წამოვიდნენ", „მთაში სახნავ-სათესი მიწები ცოტა გვქონდა, აქ კი ბევრი დასამუშავებელი მიწა იყო" (ი. ნ. რაზიკაშვილი, 68 წლის, 1972 წ.); „რახან საქონლის და ცხვარძროხის პატრონი ხალხი ცოლ-შვილით მოდიოდა, ნელ-ნელა ადგნენ და ქედში დასახლება დაიწყეს" (მ. მ. ჯლუთაშვილი, 87 წლის, 1972 წ.).

ფშაველ მეცხვარეებს ხშირად უხდებოდათ, ცოლ-შვილით სტუმრებოდნენ შირაქის ველს და იცნობდნენ ახალ გარემოს. ასეთ პირობებში მათ თანდათან დაიწყეს შირაქში საცხოვრებლად დარჩენა. გადმოდიოდნენ რა შირაქში ცოლ-შვილით, ზოგიერთებს გაუჩნდათ სურვილი აქვე ეწარმოებინათ ხვნა-თესვა, მითუმეტეს, რომ მთაში მოწეული ჭირნახული ვერ უზრუნველყოფდა მთელი წელიწადის განმავლობაში ოჯახის გამოკვებას. ველზე მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალას ყოველმხრივ ადასტურებს საარქივო დოკუმენტი. აი, რას წერდა თბილისის გუბერნატორი მეფის ნაცვლის კანცელარიას 1910 წ. 3 თებერვალს: «За наимением скота эти горцы пришли к мысли эксплуатировать пастбища, им отводенные, другим путем, а именно: занялисъ хлебопашеством, сначала без переселения, а толъко временными приходами за сотни

верс, толъко для распашки и для снятия урожая, а с 1900 года некоторые начали строитъ землиянки и устроиватъ в степи; признавая неудобым и непосилъным движения в год два раза из Тианетского и Душетского уездов в Ширакскую степъ и обратно. С 1904 и в особенности 1905 года число выселившихся увеличилосъ и на Широкской степи появиласъ наряду с беднотой и имеющие право на пастъбу“ [86].

თავდაპირველად სოფ. ქვემო ქედში ფშაველთა 10 ოჯახი დასახლებულა. პირველი მაცხოვრებელი ერწოდან გადმოსულა — დავით ურჯუკაშვილი, რომელსაც მოჰყოლიან ილალო გურასპაული, ვასილ ჩარბოდაშვილი, გლახა ყაყეჩაშვილი, მარცვალა კარატიელი, თანდილა ხალხელაური... მაგრამ მეფის მთავრობა ნაციონალისტური პოლიტიკის გამო წინ აღუდგა მთიელთა შირაქში გადმოსახლებას და ყოველმხრივ ცდილობდა, შეეჩერებინა ფშაველთა მთიდან ბარში ადგილგადანაცვლების პროცესი.

ჯერ კიდევ ადრე, 1862 წ., მეფის მთავრობამ მთიელთა ოდითგანვე თავისუფალ სარგებლობაში მყოფ შირაქის მიწებს დაადო გადასახადი — დესეტინაზე ორი შაური [86, გვ. 370]. მიუხედავად ამისა, მთიელებმა მაინც ხელი როდი აიღეს შირაქის ნაყოფიერ მიწებზე და განაგრძობდნენ ცხვრის საძოვრებად ზამთარში მის გამოყენებას; „რადგან მათ ერთადერთ წყაროს ის შეადგენდა, ყოველთვის ცდილობდნენ მის შენარჩუნებას“ [იქვე]. სამაგიეროდ, მეფის რუსეთი აქ ასახლებდა შიგა გუბერნიებიდან მოსულებს (მან რუსების აქ დასახლება ჯერ კიდევ 1899 წელს დაიწყო), აგრეთვე შირაქში დაბანაკებული ჯარის ნაწილის ჯარისკაცებს სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, რის დამადასტურებელია ის, რომ დღეს აქ მცხოვრებ რუსებს ქართველები „ასტავნოის“ („отставной“) უწოდებენ.

1904—1905 წლებიდან მთავრობამ მთიელთა შირაქში გადასახლება შეაჩერა, გადმოსახლებულთ კი უკან დაბრუნება დაუპირა, რაც კარგად აისახა იმდროინდელ პრესაში. მთიელებს დამცველად მოევლინა ვაჟა-ფშაველა, რომლის მეცადინეობის შედეგად მთავრობამ შეცვალა და უკან წაიღო თავისი განზრახვა. ვაჟა-ფშაველა „ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საკითხის მოგვარებას და ზოგიერთთა დახმარებით მიზანსაც მიაღწია, ქედელები ისევ თავიანთ ახალ ბინაზე დატოვეს“ (იქვე).

1904 წ. 30 ნოემბერს გაზ. „ცნობის ფურცელში“ ვაჟამ გამოაქვეყნა შემდეგი სახის წერილი: „ერთი ჩემი მეგობარი ჩობანი შირაქიდან ძალიან გულდაწყვეტილი მწერდა: „ჩვენი მთის ხალხის ცხოვრება მორჩომილია, კარგად იცი, ფშავლებს და თუშებს შირაქიდან

გვიდგა სული, მთის ცხოვრება იქ მეკვემურობაა, ალბათ არ იყო წინადაც, როგორც დღეს არ არის ხელსაყრელი, რომ ჩვენ მამა-პაპას, ვინ იცის, როდის, რა ჟამს ჩაუჭიდია ხელი შირაქისათვის, თვითეულს გაუმართავს თავისთვის ბინა, გაუჩენია ცხვარი, ძროხა და უძოვებია შირაქში, თუ ვინმე შესცილებია, განუდევნია და თითონა სჭერიათ და უსარგებლიათ ცოლშვილით აქედან, შირაქის მადლით და ამაგით ურჩენიათ. საქონელს რასაც გამოადნობდა — ყველი, ერბო, მატყლი და სხვა ფულად უქცევია, იმით სულადი უყიდნია და უჭმევია ცოლ-შვილისათვის, რადგან მთაში იმდენი პური არ მოვა, თუ კაცმა ბარიდან არ მოიტანა, არ მიიშველია, არ შეუძლიან ოჯახობა გამოკვებოს. თუ ძველად ასე იყო, დღეს უფრო უარესობაც არის: მთა გაღარიბდა, ნიადაგს, დედამიწას აღარა აქვს ღონე და ველარც მოჰყავს წინანდებურად მოსავალი, როგორც ვხედავთ, ეს შირაქიც გვერთმის, რადგან აქ სხვა ხალხი სახლდება, მეკვემურობას ჰმართავს და ჩვენ კი ჩვენის ცხვარ-ძროხით ვრჩებით როგორც მდინარესაგან გარიყული თევზები. სწავლა და გამოცდილება ჩვენ არა გვაქვს, რომ თავს მოვუაროთ, ვუპატრონოთ; ვართ ასე ორ წყალ-შუა მომწყვდეულნი. აღარ ვიცით, ვის რა დავუშავეთ, შესატანი ფული ყოველ წელს უკლებლად შეგვაქვს, ასე რომ „ნედოინკა" კაპეიკიც არ არის ჩვენზედ. მაშ ეს რა ამბავია, რა ღვთის რისხვაა ჩვენს თავსა?! ვისაც რა გესმით, ვისაც ცოტა რამე გისწავლიათ, რატომ არ გვპატრონობთ, ჩვენ კი თქვენი ძმები არა ვართ? თუ კი ათას მთის იქიდან მოსულს ეკუთვნის შირაქი საცხოვრებლად, ჩვენ რატომ აღარ, მით უმეტეს, რომ ადამის ჟამიდან აქა ვცხოვრობთ და აქა ვბინადრობთ?! არა, არა გვყავს პატრონი, თორემ ასე უდიერად არავინ მოგვეპყრობოდა, ჩვენ ვითომ ქრისტიანები არა ვართ და ვინც ახლად მოდის დასასახლებლად, იმათებრ პირჯვარს ვიწერთ. თუ ყაჩაღებს არ ვდევნით, ჩვენ არ ვყაჩაღობთ, ესეც ყველამ კარგად იცის. აღარ ვიცით, რად არის ჩვენ თავს ეს უბედურება?!"

ამ წერილმა მეც ძალიან დამაფიქრა და კიდევაც იმიტომ მოვინდომე მისი შინაარსი თქვენთვის გამეზიარებინა, მკითხველო".

ვაჟა-ფშაველა სიტყვითაც და საქმითაც გვერდში ედგა მთიელებს. რომლებიც მას ასე სთხოვდნენ დახმარებას, მაგრამ მეფის მთავრობა მაინც ცდილობდა, გაეტარებინა თავისი რუსიფიკატორული ზრახვები და ვაჟას აღნიშნული წერილის საწინააღმდეგოდ გაზეთმა «Кавказ»-მა 1905 წ. 6 მარტის ნომერში გამოაქვეყნა სტატია: «По поводу слухов о лишении грузиногорцев пастбищ в Ширакской степи», რომლის ავტორიც უარყოფდა ფშავლების მიერ ადრე შირაქის ცხვრის საძოვრად გამოყენებას და რომ ვითომცდა მათ ცხვრის ძოვება პირველად შირაქის სტეპებში დაიწყეს მას შემდეგ, რაც რუსები დამკვიდრდნენ საქართველოში.

იმავე წლის 20 აპრილის გაზეთ «Новое обозрение»-ში Д. К.-ს ფსევდონიმით გამოქვეყნდა საპასუხო წერილი, რომლის ავტორიც ამტკიცებდა ყოველგვარ უფლებას მთიელებისა შირაქის ველზე და მიუთითებდა, რომ გარდა შირაქისა, ქართველ მთიელებს ბარად სხვა ბევრი ადგილიც ეკუთვნოდათ ისტორიულად.

ასე თუ ისე, ვაჟა-ფშაველას და სხვების მოღვაწეობით, მთავრობამ უარი თქვა ჩამოსახლებული ფშავლების (და სხვა მთიელების) უკან აყრაზე და 1906 წ. ვაჟა-ფშაველამ გაზეთის საშუალებით მიმართა მთიელებს, რომ „ვისაც აქვს სურვილი, შეუძლიან დასახლდეს შირაქში, დამშლელი არავინ არ არის" [38—ბ, გვ. 75].

ცარიზმი ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და რუსების ჩამოსახლებას იმპერიის სხვა განაპირა მხარეებშიც ეწეოდა. რუსებს გარდა. ცარიზმი ქართულ მიწა-წყალზე თითქმის თავისუფლად ასახლებდა ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან მოსულ კოლონისტებს [61]. ამავე დროს კი ქართველი გლეხები (განსაკუთრებით მთიელები) მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ. მათ ხელს უშლიდნენ თავისუფალ მიწებზე დასახლებაში. ამ საკითხს შეეხო ვ. ი. ლენინი წერილში „გადასახლების შესახებ". იგი იმოწმებს რა სათათბიროში დეპუტატების კ. ჩხეიძისა და ი. წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, წერს: „გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა (იგულისხმება კავკასია, საქართველო, რ. თ.) საადგილმამულო უფლებების ალმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო, რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის" „კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპებისათვის". შემდეგ: „დეპუტატმა ჩხეიძემ მოიყვანა აგრეთვე ოფიციალური წყაროებიდან მთელი რიგი მონაცემები, თუ როგორ ერეკებიან ადგილობრივ მკვიდრთა მთელ სოფლებს თავიანთი მამაპაპისეულ ადგილებიდან მიწის საკოლონიზაციო ფონდის შექმნის ინტერესებისათვის" [11, გვ. 101].

მაგრამ მთავრობამ ახლა, 1907 წლიდან, იარაღად მდიდარი მეცხვარე ქართველები გამოიყენა, რომ ჩამოსახლებულთა აყრა თუ არა, ხელი შეეშალათ იმ მთიელებისათვის, რომლებიც აპირებდნენ გადასახლებას შირაქში. ცნობილია, რომ ამ დროს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას შედეგად მოჰყვა კულაკობის ზრდა. სწორედ ამ დროს შირაქში ფართოდ მოიკიდეს ფეხი მდიდარმა ქართველმა მეცხვარეებმა, მათ კი, რა თქმა უნდა, არ აწყობდათ ფშავლების მიერ ქედის დაკავება, რადგან საძოვრების არე მცირდებოდა.

ფშაველთა და მდიდარ ქართველ მთიელ მეცხვარეთა დავაში კვლავ აქტიურად ჩაერია ვაჟა-ფშაველა; ის როგორც სიტყვით, ისე საქმით ეხმარებოდა ჩამოსახლებულ მთიელებს მოძალადეებთან ბრძო-

ლაში. „შირაქში წინათ თითქმის სულ მდიდარი მთიელი მეცხვარეები იყვნენ გაბატონებული და ფშავლებს დასახლების საშუალებას არ აძლევდნენ. ხალხმა კი, ამის გამო, ბიძაჩემს — ვაჟა-ფშაველას სთხოვა, დახმარება გაგვიწიეო" — გადმოგვცემს მთხრობელი ივ. რაზიკაშვილი.

1907 წ. დაწყებული დავა შემდეგაც გრძელდებოდა. 1913 წლით დათარიღებული წერილით „ქართველთა ახალშენი შირაქში" ვაჟა-ფშაველა კვლავ დაუღალავად და დიდი მონდომებით იღწვის შირაქის ახალშენის მოწყობისათვის: „ამ 12—13 წლის წინათ მთის ქართველობა მიაწყდა შირაქს, რადგან იქ ბევრია თავისუფალი ალაგი, გადაქცეული უმცირესობის ფარების, ნახირის და ჯოგების საძოვრად და დაესახლნენ. შირაქი ასთერთმეტი ათასი დესეტინაა და აქვს მოზომილი საძოვრად მთიელ ქართველებს ცხვარ-ძროხისათვის, ვინ არიან ეს მთიელი ქართველები? — ესენი არიან: ფშავლები, თუშები, გუდამაყრელები, მთიულები, ხევსურები და მოხევეები, — საზოგადოდ თიანეთისა და დუშეთის მაზრის მთებში მოსახლკარე ქართველობა. მთაში სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ ხალხს მასპინძლად გულუხვი ბუნება და ნაყოფიერი დედამიწა დაუხვდათ შირაქში. ქართველ მოახალშენეთ არავისათვის ნებართვა დასახლებისა არ უთხოვიათ, იმ იმედით, რომ თუ მთავრობა საქონლის ძოვებას არ გვიშლის, შირაქი ჩვენად ითვლება, მაშასადამე, დასახლებას, ხვნა-თესვას რაღა დაგვიშლისო. ამ იმედით გადმოსახლებულებმა დაიჭირეს ჩრდილო ნაწილი შირაქისა, ე. წ. „ქედი" და მათ შუაზე ახილოსკალო" [38—ბ, გვ. 30]. იქვე ვაჟა კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებს მათ, ვისაც ჩამოსახლებულთა შევიწროება და აყრა მოუწადინებია და აფრთხილებს თანამოძმეთ, რომ ამასობაში „შირაქი ადრე თუ გვიან სხვას დარჩება".

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას მეცადინეობით ჩამოსახლებული მთიელები შირაქში დატოვეს და 1913 წლისათვის ისინი უკვე საკმაოდ და მყარად იყვნენ დაფუძნებულნი ახალ საცხოვრისში 400 კომლის რაოდენობით [იქვე], მაგრამ შემდეგაც ხდებოდა შეჯახება. ვაჟა კვლავ მხარში ედგა გლეხებს და მრავალჯერ ჩადიოდა ქედში ამ საქმეზე. მისი მრავალი წერილი, გამოქვეყნებული იმდროინდელ პრესაში, მიძღვნილია შირაქელი მთიელებისადმი, მათი ავ-კარგისადმი, რასაც მთელი არსებით განიცდიდა.

აღვნიშნეთ რა ვაჟა-ფშაველას დიდი დამსახურება და ღვაწლი შირაქის ახალშენის მოწყობის საქმეში, აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თითქოს ფშაველთა შირაქში გადასახლების უშუალო ინიციატორი, ორგანიზატორი იყო ვაჟა-ფშაველა. ეს აზრი გატარებულია ს. ყუბანეიშვილის, ვ. ჯაოშვილის, პ. გუგუშვილის, მ. იოსებაშვილის ნაშრომებში. ს. ყუბა-

ნეიშვილი წიგნში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ წერს, რომ ვაჟა „იყო შირაქში ფშავლების დასახლების ინიციატორი“ [87, გვ. 155 ]. პ. გუგუშვილი: „მისი მეთაურობით 1901—1902 წწ. მთა აიყარა და შირაქის ველ-მინდორს მოაწყდა“ [36, გვ. 325 ]. ვ. ჯაოშვილი: «Один из инициаторов переселения горцев в Шираки был выдающийся грузинский писатель Важа-Пшавела» [127, გვ. 119 ]. მ. იოსებაშვილი: შირაქში „მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან ჩაეყარა საფუძველი მთიელთა დასახლებას, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ვაჟა-ფშაველა“ [48 ].

ჩვენი მხრით აღვნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველას წერილებში, რომლებიც მიძღვნილია შირაქის ამბებისადმი, არსად არ ჩანს, რომ ის იყო უშუალო ინიციატორი მთიელთა ბარად ჩამოსახლებისა. მას არც საარქივო მასალები მოწმობენ. მთიელებმა მხოლოდ თვითნებურად, თავიანთი ნებით დაიწყეს შირაქში ჩასახლება, იცნობდნენ რა კარგად ახალ სამოსახლო გარემოს. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი ცხადყოფს, რომ მანამ, სანამ მთიელები გადმოსახლებას დაიწყებდნენ შირაქის ველზე, მათ დაიწყეს ხვნა-თესვა, დარწმუნდნენ რა ახალი გარემოს ვარგისიანობა-ნაყოფიერებაში ნელ-ნელა, ერთმანეთის მიხედულობით შეუდგნენ მიწურების მშენებლობას სამუდამოდ საცხოვრებლად [86].

ველზე მუშაობამ ცხადყო, რომ მთიელები თავისი ნებით ჩამოსახლდნენ და რომ მთიდან ბარად საცხოვრებლად გადმოსვლა აიძულა სავარგულების სიმცირემ და, საერთოდ, იმ ეკონომიურმა გაჭირვებამ, რომელიც მთაში სუფევდა. მთხრობელი გადმოგვცემს: „ხალხი თავისი ნებით მოდიოდა. ერთი რომ ჩამოვიდოდა, მას შემდეგ ქედში ნათესავი ინახულებდა, გაიგებდა, რომ აქ ცხოვრება შედარებით ადვილი იყო და თვითონაც ჩამოვიდოდა. როცა ჩამოვსახლდით ვაჟა-ფშაველა დაგვეხმარა, როცა ჩვენი შევიწროვება დაიწყეს მდიდარმა მეცხვარეებმა“ (ნ. ე. ჩიტოშვილი-ღუბინაური, 61 წლის, 1972 წ.).

მთიელები ერმანეთის მიხედულებით რომ სახლდებოდნენ, ამას მოწმობს ივ. რაზიკაშვილის მონათხრობი: „ჩემი დედიძმა ჩამოვიდა აქედან ჩარგალში და თქვა, რომ იქ ცხოვრება უკეთესი და ადვილიაო. ქედში მანქანებიაო. მამაჩემმა (იგულისხმება პოეტი ბაჩანა) ბევრი იფიქრა, მთა არ ეთმობოდა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა ჩამოსვლა და 1920 წელს ჩამოსახლდა“.

კიდევ: „იმით გადმოვსახლდით, ბიძაშვილები მყვანდნენ აქა და მათთან წამოვედი. მთაში ადგილი არ ვარგოდა; ზოვი იცოდა. ჩემი მამა-ბიძანი სამნი იყვნენ. ორნი წინ-წინ წამოვიდნენ აქ და მერე მე წამოვედი. ერთი-მეორე ნათესავებმა გამოიყოლეს. ეს ადგილი წინავ ფშავლებზე, თუშებზე და მთიულებზე იყო გამოსული. ფშავლები

უფრო ადრე ჩამოვიდნენ შირაქში. ჯერ პატარა ვიყავი, როცა თქვეს, რომ ფშავლები შირაქში დასასახლებლად მიდიანო. მთის ხალხი აქ თავისი ნებით ჩამოსახლდა და მერე კი დახმარება გაუწია ვაჟა-ფშაველამ და თქვა: მინამ მე ცოცხალი ვარ ქედელებს ვერავინ ვერ აყრისო, ჩვენმა მამა-პაპამ იბრძოლა და ეს ხმლითა აქვთ აღებულიო" (გ. ს. ქავთარაძე, 85 წლის, სოფ. ზემო ქედი, 1974 წ.).

ფშაველთა შირაქში სტიქიური ჩამოსახლება ველზე მუშაობისას დაუმოწმებია ენათმეცნიერ გ. ცოცანიძეს [98, გვ. 7—8].

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველა იყო უშუალო ინიციატორი მთიელთა შირაქში ჩამოსახლებისა, არაა გასაზიარებელი, რადგან: 1) ავტორები არ ეყრდნობიან რაიმე კონკრეტულ წყაროს; 2) ამას ვაჟა-ფშაველას არც ერთი წერილი არ ადასტურებს, მიძღვნილი შირაქის ამბებისადმი; 3) არ ადასტურებს არც საარქივო მასალა და 4) არც ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები. მთიელებმა შირაქში გადმოსახლება თავიანთი ნებით დაიწყეს, რაც საქართველოს მთიელთათვის ტრადიციულად მოქმედი კანონზომიერების გამოხატულება ჩანს. თუმცა ვაჟა-ფშაველას დიდი ღვაწლი მიუძღვის მთიელთა შირაქში მოწყობის საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ მათ იურიდიულ დამცველად მოგვევლინა, როცა ჩამოსახლებულ მთიელებს უკან აყრა-გადასახლებას უპირებდნენ მეფის მთავრობა და მდიდარი ქართველი მეცხვარეები.

საერთოდ, მთისა და ბარის ურთიერთობის აღნიშნულ საკითხს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. საქართველოს მთა და ბარი მისთვის ერთიანი, ურთიერმოუწყვეტავი იყო და მათი ცალ-ცალკე არსებობა წარმოუდგენლად მიაჩნდა. პოეტი წერდა: „თავდაპირველად მშობელი დედა და აკვანი მთისა ბარი იყო, დროთა ვითარებისა და ისტორიული მიზეზების გამო მთასაც ბევრჯერ ჰხვდა წილად დედობა და აკვნობა გაეწია ბარისათვის, მტრისაგან დაწიოკებულნი, შევიწროებულნი ბარელნი ხშირად ილტვოდნენ მთებში, როგორც ციხე-სიმაგრეში თავის დასაფარავად; ეგრეთვე მთიდან ეკონომიკური პირობების გამო იძულებულნი აფარებდნენ თავს ბარის მდიდარ და უხვ კალთას"[38—ა, გვ. 234].

მთიელთა შირაქში დასახლება საფეხურებრივი ხასიათის იყო. გადმოსახლებულთა ნაწილმა გაიარა ადგილგადანაცვლების შუალედური რგოლი.

მთიდან გადმოსახლებული მოსახლეობის მიერ შუალედური რგოლის გავლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ითვალისწინებდნენ მთური მეურნეობის თავისებურებას და ცდილობდნენ მათი მეურნეობის ძირითადი დარგი შეჰგუებოდა ახალ გარემოს — ასეთი გარემო კი

მთისწინეთი იყო. მეორე მიზეზი იყო ის, რომ მიგრანტები, მოხვდებოდნენ რა უცბად ახალ გარემოში (მთიდან — ბარში), ჰავის შეცვლის გამო ავადდებოდნენ. ფშავში მუშაობისას ჩვენ საკმაოდ შევხვდნენ ამ მიზეზით თავის დროზე შირაქიდან უკან, ფშავში, დაბრუნებულები. მაგალითად, სოფ. ქალილოში მცხოვრები თევდორე ნაყეური (92 წლის, 1972 წ.) გადმოგვცემს, რომ „მე შირაქში 9 წელი ვცხოვრობდი. ავად გავხდი. გულიც აქეთკენ მამიწევდა და უკან დავბრუნდი". ამავე მიზეზით პანკისის ხეობიდან დაბრუნებულა უკან სოფ. გომეწარში მცხოვრები ღვთისო ფარნაოზაშვილი (77 წლის, 1972 წ.): „იქ სულ ავად ვიყავ ერთავად. აქ რომ მოვედი, ვთქვი: მეორედ დავიბადე".

შირაქში თერთმეტივე ფშაური თემის წარმომადგენლები ძრიან გადმოსახლებული. ამ მხრივ საინტერესოა ერთი გარემოება: გადმოსახლებისთანავე ფშავლებმა ახალ გარემოში გადმოიტანეს თერთმეტი ფშაური თემის ხატ-სალოცავის ნიში. მიუხედავად ამისა, სოფ. ქვემო ქედში ჩამოსახლებულებს არ გაუწყვეტიათ კავშირი ძველ საცხოვრისთან სწორედ მთაში სალოცავად სიარულის თვალსაზრისით.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ ფშაველთა მიერ შირაქში „მეკვემურობის გამართვა" საქართველოს მთის მოსახლეობის ბარში მიგრაციის ობიექტური პროცესის გამოხატულებაა; ამასთანავე, ეს მოვლენა თავისი ხასიათით, ფორმით და მასშტაბით საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების დამახასიათებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად: 1. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ერწო-თიანეთში თითქმის არ დაიძებნება ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობა. ირკვევა, რომ ისინი, ვინც აქ გადაურჩა შაჰ-აბასის ურდოებს და ირანში ტყვედ წაყვანას, XVIII ს. ბარში, კერძოდ, კახეთში გადასახლებულან.

2. ფშავ-ხევსურთა კახეთში გადასახლებები პერმანენტული ყოფილა XVII—XVIII—XIX სს. და XX ს. პირველი ორი ათეული წლის მანძილზე.

3. მეორე თავში მიმოხილული მასალა აშკარად მიუთითებს ფშავხევსურთა ბარში გადასახლების საფეხურებრივ ხასიათზე.

4. ფშაველთა შირაქში კომპაქტურად ჩასახლება XX ს-ის დასაწყისში საერთოდ მათი ბარში გადასახლების პროცესის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა, მაგრამ იგი თავისი მასშტაბურობით საქართველოში კაპიტალისტური პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

## თავი III

# ფშავ-ხევსურთა არაგვის ხეობაში გადასახლების ისტორიისათვის

### § 1. ფშაველთა დღევანდელ ე. წ. წინაფშავში გადასახლების ისტორიიდან ანუ ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავის ლოკალიზაციისათვის

ფშაველთა და ხევსურთა გადასახლებები კახეთის მთისწინეთისა და ბარის გარდა დასტურდება არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარ-ში. აღნიშნული ხეობა განსაკუთრებულ ინტერესს იპყრობს მთიდან მთისწინეთსა და ბარში მოსახლეობის ჩამოსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ამ ხეობას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაში ადრიდანვე მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ფშავლები გადა-სახლებული არიან ე. წ. წინაფშავში, ანუ დღევანდელი მაღაროსკა-რის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე დაახლ. XV—XVI სს. ისტო-რიულ-გეოგრაფიული ფშავიდან, ანუ — როგორც დღეს იწოდება იგი — უკანაფშავიდან. აღნიშნულს ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მოწმობს წერილობითი წყაროები, კერძოდ, 1789 წელს „დასტურლა-მალის" ერთ-ერთ ხელნაწერზე მიწერილი ფშავის სოფლების სია, რო-მელშიც ფშავის არაგვის ხეობის (უკანაფშავის) მხოლოდ 11 სათემო სოფელია ჩამოთვლილი: უკანაფშავი, ახადი, წითელაურთა, ხოშარა, წიჩო, მუქუ, მათურა, გოგოლაურთა, უძილაურთა, ცაბაურთა, შუაფხო [56, გვ. 5].

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, დღეს წინაფშავში მოსახლე ფშავლები თავის დროზე ფშავის ხეობიდან (უკანაფშავიდან) არიან გადმოსახლებული და აქ მოსვლის შემდეგ 8—9 თაობას ითვლიან. ე. წ. წინაფშავში გადმოსახლებულ ფშავლებს სოფლები თავიანთი თემე-ბის მიხედვით დაუფუძნებიათ. ერთ სოფელში მხოლოდ ერთი თემის ფშავლები მოსახლეობენ — გადმოსახლებულნი ფშავის ხევის შესა-ბამისი სათემო სოფლიდან. სხვა მრავალთან ერთად წინაფშავში უკანა-ფშავიდან მოსახლეობის მიგრაციის მაუწყებელია მათი ხატ-სალოცა-ვებთან დამოკიდებულებაც: წინაფშაველი ფშავლები სალოცავად

უკანაფშავში, სათემო სოფლებში, დადიოდნენ ანდა ზოგიერთს ნიში ჰქონდა გადმოტანილი.

არაგვის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთში, ე. წ. წინაფშავში (დღევანდელი მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია), ფშავის ხევიდან ძირითადად გოგოლაურთ თემის ფშავლები იყვნენ გადმოსახლებული, რომლებსაც აქ შემდეგი სოფლები ჰქონდათ დაფუძნებული: **გომეწარი, ყოფჩა, ქალილო, მაღაროსკარი, გუდრუხი, კუდო, ხომი...** გოგოჰურთ თემის ფშავლები სოფელ ცაბაურთიდან დაფუძნებულან **მიგრიაულთაში, ჩარგალში, აფშოში, ქუთხში.** ...წოწკორაულთ თემისანი — **არბაჩხანში.** წოწკორაულებს წინაფშავს გარდა სოფლები დაუფუძნებიათ არაგვის ხეობის მთისწინეთში (**ნოჯა, ფიჭვიანი, ხეობა**).

წინაფშავში ფშავიდან მოსახლეობა უნდა ჩამოსახლებულიყო XV—XVI სს., მას შემდეგ, რაც ეს რეგიონი მთლიანად გაპარტახდა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად.

აღნიშნულის შემდეგ საგულისხმოა ფშავის (ადრინდელი ფხოვის) ლოკალიზაციის საკითხი. მთის მოსახლეობის მიგრაციასა და გვართა სადაურობა-წარმომავლობაზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები ამ საკითხსაც ეხმიანება. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა მით უფრო საჭიროდ ვცანით, რომ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ერთი წერილის ავტორები მრავალ უზუსტობას იჩენენ ფშავის ლოკალიზაციის შესახებ [13]. ისინი „ცდილობენ", დააზუსტონ აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის ტერიტორია, როგორიცაა ფშავი და ფშავად თვით ფშავს გარდა მიიჩნიონ ერწოთიანეთი. თავიანთი წერილის დასაწყისში აცხადებენ, რომ „სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ, ლიტერატურულ წყაროებში ფშავს ან არაგვის ხეობაში მიუთითებენ, ან ივრისაში, ან ორივეში ერთად. ეს გაუგებრობა თავს იჩენს საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოებშიც, და ახლა, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ამ საკითხზე დღეს გარკვეული პასუხის გაცემა შეეძლოს" [13, გვ. 72]. ნუთუ, მართლა, დღეს საისტორიო გეოგრაფიის სპეციალისტებს ვერ განუსაზღვრავთ ფშავი ტერიტორიულად?!

მიუხედავად იმისა, რომ ავტორებს თავიანთ წერილში მოჰყავთ ციტატები ვახუშტი ბაგრატიონის, ს. მაკალათიას, გ. თევდორაძის ნაშრომებიდან, რომლებშიაც ფშავი ყოველგვარი ეჭვის გარეშე არაგვის ხეობაშია წარმოდგენილი (თუმცა მათაც არასწორი წარმოდგენა აქვთ მის სამხრეთ საზღვარზე), ისინი არ ერწმუნებიან მათ და იმოწმებენ გ. რადეს «Хевсурия и хевсури» რომელშიც დასახელებულია მხოლოდ ფშაველთა იმ დროის საცხოვრებელი ადგილები—არაგვისა და ივრის ხეობები, და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას, სადაც წერია: «Пшавы этногра-

фическая группа Грузии, живут гл. об. в горской местности, в верховьях реки Иори».

პირველის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ გ. რადე გვამცნობს ფშავლებით დასახლებულ ადგილებს და არა ფშავს, მეორეში კი აშკარა შეცდომაა.

ავტორები აღნიშნულს როდი სჯერდებიან, იმოწმებენ ვაჟა-ფშაველას და წერენ: „დიდი ვაჟა ამ საკითხს, ჩვენი ღრმა რწმენით, უფრო სწორად წყვეტდა" და შემდეგ აგრძელებენ: „ვაჟა არ ცნობდა ფშავს ივრის ხეობის გარეშე. იგი თავის კორესპონდენციებსა და სხვა სახის ნაშრომებში ივრის ხეობის სოფლებს — ლიშოს, ბოდახევას, არტანს, სხლოვანს, ყვარას, ბაჩალს და სხვებს მკითხველებს ფშავის სოფლებად აცნობდა", რომ ვაჟა „ერწოსაც ფშავს უწოდებდა, მის განუყოფელ ნაწილად თვლიდა" [13, გვ. 74].

ჩვენი მხრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაჟა-ფშაველა ერწო-თიანეთსა და ივრის ხეობის ზემო წელს სრულიადაც არ თვლიდა ფშავად, არამედ ფშავლებით დასახლებულად. იმას, რომ ერწო-თიანეთს ვაჟა ფშავად არ თვლიდა და რომ ფშავლები (სხვა მთიელებთან ერთად) აქ მოსული იყვნენ, თვით ვაჟას ნაწერებში ვნახულობთ. მხოლოდ ორი ციტატის მოტანით დავკმაყოფილდებით. ვაჟა-ფშაველა წერს, რომ „ფშაველებმა საუკეთესო ადგილები შეიძინეს ერწო-თიანეთსა და კახეთ-კუხეთის მიდამოებში და კვლავაც ცდილობენ შეძენას" [38—ა, გვ. 232]. სხვა წერილში კი ვკითხულობთ: „უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ადგილებიდან შევიწროებული ხალხი მოსწოლია: აჩქარებულა ცული და წერაქვი, შერყეულა ბუნების მყუდროება, აშენებულა სოფლები ფშავლებისა, ქართლელებისა, გუდამაყრელებისა, ხევსურებისა. ამ ადგილის წყალობით დღემდე სული უდგათ აქაურ ხალხს. ამ სოფელს ერთად ჰქვია ერწო" [38—ბ, გვ. 29].

ასე რომ, ერწო-თიანეთს ვაჟა მხოლოდ ფშავლებით დასახლებულად თვლიდა და არა ფშავად.

ავტორთა აზრს სამართლიანად არ იზიარებს გრ. ზარდალიშვილი და მათ მიუთითებს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" მეორე ტომზე, რომ ერწო-თიანეთი კახეთის ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა და, რომ „კახეთ-კუხეთის დასავლეთ საზღვრად არაგვი ითვლებოდა" [13, გვ. 74]. აგრეთვე, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ერწო-თიანეთი სხვა თემი იყო.

გრ. ზარდალიშვილი ბოლოს წერს: „თუ ავიღებთ თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფას, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ისტორიულად ფშავის ტერიტორია დაახლოებით უჭირავს მაღაროსკარისა და უკანაფშავის სასოფლო-საბჭოში მდებარე სოფლებს" [13, გვ. 74].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფშავად იგივე ტერიტორიაა მიჩნეული. აი, რას წერს ნ. ასათიანი: „ფშავის ძირძველ, ისტორიულ ტერიტორიას მდ. ფშავის არაგვის ხეობა შეადგენს, რომელიც იწყება ჟინვალთან და აღწევს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს" [16, 20—38]. როგორც აქ მოტანილი ციტატიდან ჩანს, ფშავის სამხრეთ საზღვრად მიჩნეულია მთისწინეთისა და ბარის მიჯნაზე მდებარე სოფელი ჟინვანი. ზოგიერთს ფშავის სამხრეთი საზღვარი ოდნავ ჩრდილოეთით გადააქვს. მაგალითად, ს. მაკალათია ასეთ პუნქტად შარახევს მიიჩნევს [56, გვ. 5], გ. ჯალაბაძე კი გუდრუხს [112, გვ. 5].

ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ თავდაპირველი ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავი მოიცავდა მხოლოდ დღევანდელი შუაფხოს (უკანაფშავის) სასოფლო საბჭოს ტერიტორიას, რომ ფშაველთა თავდაპირველი საცხოვრისი ის იყო და აქედან მოხდა ფშაველთა მიგრაცია, როგორც ივრის ხეობის სათავესა (ძველი წყაროების მიხედვით „ყუარელთა ქვეყანაში") და ერწო-თიანეთში, ისე არაგვის ხეობის შედარებით დაბლობ ნაწილში, კერძოდ, დღევანდელი მაღაროსკარისა და ჟინვანის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებსა და მის სამხრეთითაც. აღნიშნულს ეხმიანება ზემოთ მიმოხილული მასალაც. მას შემდეგ, რაც თემურლენგისა (XIV—XV სს. მიჯნაზე) და შაჰ-აბასის (XVII ს. დასაწყისში) ურდოებმა მთლიანად მოაოხრეს და მოსახლეობა გაწყვიტეს არაგვისა და ივრის ხეობების მთისწინეთში (მარტო ერწო-თიანეთიდან შაჰ-აბასმა 30 000 ტყვე და 40000 სული მსხვილფეხა საქონელი გაიყვანა [76—გ, გვ. 265], მთის (ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი) ნამატმა მოსახლეობამ ნელ-ნელა იწყო უფრო დაბლობში ჩამოსახლება, რასაც ხელს უწყობდა მთის ეკონომიურ-გეოგრაფიული პირობები. როგორც არაგვის ხეობის დღევანდელი მაღაროსკარისა და ჟინვანის სასოფლო საბჭოებში შემავალი მოსახლეობა, ისე ივრის ხეობის ზემო წელისა და ერწო-თიანეთისა თავს გადმოსახლებულად თვლის დღევანდელი შუაფხოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან. არაგვის ხეობის მთისწინეთიდან და ერწო-თიანეთიდან მოსახლეობა სალოცავად ფშავის არაგვის ხეობაში დაიარებოდა, ანდა ნიში ჰქონდა იქიდან გადმოტანილი თავის ახალ საცხოვრისში.

აღნიშნული ვითარების ყველაზე დიდი დამადასტურებელი არის ის ისტორიული წყარო, რომელიც „დასტურლამაზეა" მიწერილი და რომელი თერთმეტი სოფელიც ზემოთ გვქონდა ჩამოთვლილი. ეს სოფლები მხოლოდ უკანაფშავის სასოფლო საბჭოს ტერიტორიას მოიცავს და სწორედ აქედან მოხდა ფშაველთა გადასახლება არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ერწო-თიანეთში. ეს ტერიტორიები კი წარმოადგენდნენ შუალედურ რგოლს მთის მოსახლეობის (და მათ შორის, ფშაველთა) უფრო დაბლობში გადასასახლებლად.

დღევანდელი შუაფხოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიას, ანუ ფშავის ხევის ხეობას, მიიჩნევდა ე. წ. „ძირითად ფშავად“ ვ. ბარდაველიძე [20].

კვლავ ვუბრუნდებით ფშავის ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიის საკითხს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფ. მაკალათიას მიერ შემოთავაზებული საზღვრები. იგი წერს: „სავარაუდოა, რომ ეს საზღვრები მოიცავს ორწყლის ზემო ტერიტორიას არაგვის ხეობის ფშავისას“ [60, გვ. 22]. იგივე ტერიტორიას მიიჩნევენ ფშაველთა ადრინდელ და თავდაპირველ საცხოვრისად გ. ჯალაბაძე [112, გვ. 5], გ. ცოცანიძე [98, გვ. 6].

ვფიქრობთ, რომ ფშავის (ადრინდელი ფხოვის) ისტორიული ტერიტორიის სამხრეთი საზღვარი შეიძლებოდა მხოლოდ კართანამდე გაგრძელებულიყო, რაზედაც თვით ეს ტოპონიმი („კართანა“) მიუთითებს. კართანასთან ძლიერ ვიწროვდება არაგვის ხეობა და ბუნებრივი ჩამკეტი კარი იქმნება. აქვე ჩრდილოეთით მდებარეობს ნასოფლარი წინკარი, რომელშიც XIX ს. II ნახ. ცაბაურთიდან გადმოსახლებული გოგოჭურთ თემის ფშავლები მოსახლეობდნენ. აღნიშნული ორი ტოპონიმის (კართანა, წინკარი) ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო ისტორიული ფხოვის, შემდეგდროინდელი ფშავის სამხრეთი საზღვარი.

დღევანდელი მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილი, ე. წ. წინაფშავი, რომ ფშაველთა თავდაპირველი საცხოვრებელი არ უნდა ყოფილიყო, ამას უნდა მოწმობდეს ერთი ფშაური ლექსი:

„ქალო, რომელნი გირჩევ ქმარი:
გირჩევ მშაველი, ჩარგლელი?
მშაველი გაჭმევს იფქლის პურსა,
ნადირს მოგიკლავს ჩარგლელი“ [88, გვ. 293].

აღნიშნული ლექსიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჩარგალი ისტორიული ფშავის ტერიტორია არ იყო. ამაზე ზემომოყვანილ ლექსთან დაკავშირებით მართებულად მიუთითებს აკ. შანიძე, რომელიც წერს, რომ „დღეს ასეთი დაპირისპირება უცნაურად მოგვეჩვენება, რადგანაც ჩარგალი ფშავში შედის, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ლექსი წარმოშობილა, ჩარგალი, როგორც ჩანს, არ ყოფილა ფშავის ნაწილი, თორემ მათი დაპირისპირება არ იქნებოდა“ [88, გვ. 645]. თავის უფრო ადრინდელ ნაშრომებში კი ა. შანიძე მოსახლეობაში შეკრებილი მასალების საფუძველზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ზემო ფშავი ბუდეა მთელი ფშავისა: თორმეტივე თემი ანუ გვარი ფშავლებისა აქ სახლებულა და შემდეგ ჩამოუნაცვლიათ ქვემოთ

[89, გვ. 7—8, 10]. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფ. ჩარგალი (ე. ი. „წინაფშავი) იოანე ბატონიშვილს ფშავში კი არა აქვს შეტანილი, არამედ თიანეთში [18, გვ. 354].

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა არქეოლოგ გ. რჩეულიშვილის დაკვირვება, რომელიც ძველი ქართული საისტორიო წყაროს „წილკნელთა" ლოკალიზებას ახდენს არაგვის ხეობის იმ მონაკვეთში, რომელსაც დღეს წინაფშავს უწოდებენ. ავტორი ეყრდნობა როგორც ტოპონიმიკური, ისე ისტორიული წყაროების ანალიზს, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სწორედ კართანასა და წინკარს ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ტერიტორიები მატერიალური კულტურის თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა მათი საერთო ელემენტებიც საკმაოდ დაიძებნება [72].

ერწო-თიანეთი, ივრის „კუდები" კი, ისტორიული კახეთის ტერიტორია იყო და ერთ დროს კახეთის ცენტრს თიანეთი წარმოადგენდა [24-ა, გვ. 176—184 ]. ამას გარდა, გვიანდელი ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია აღნიშნულ გეოგრაფიულ ერთეულებს ზემო კახეთად მიიჩნევდა. აქ შეიძლება გაგვეხსენებინა ვახუშტის შემდეგი სიტყვები, როცა იგი კახეთის მცირეწლოვანი უფლისწულის ლევანის დამალვაზე საუბრობს: „ხოლო გარსევან წარიყვანა ლევან ციხესა შინა ოჩანისასა არამედ შემდგომად მოსვლისა შაჰ-ისმაილ ყეენისასა ქ˝სა ჩ˝ფიO, ქარ.!ს˝ვ გამოიყვანეს ლევან ოჩანის ციხიდან ზემოურთა კახთა და ჩამოიყვანეს კახეთს. მაშინ მიერთუნენ ყოველნი კახნი და დაიპყრა კახეთი" [42, გვ. 570 ]. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ოჩანის ციხე ივრის ხეობის ზემო წელში ლოკალიზდება.

მაშ რაღას წარმოადგენდნენ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში დასახელებული „ერწოელნი", „თიანელნი" და „ყუარელნი"? ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად ისინი ივრის ხეობის თემები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში, გვიან კახეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ და როგორც პოლიტიკური, ისე კუთხურ-თემობრივი თვალსაზრისით კახეთის მიკრორეგიონებად იქცნენ.

ამრიგად, ფშაველთა ერწო-თიანეთში, ივრის ხეობის ზემო წელში, ე. წ. წინაფშავში საცხოვრებლად მოსვლა, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, „მეკომურობის" გამართვა ფაქტია, ხოლო ერწო-თიანეთის ფშავად მიჩნევა სრული უზუსტობაა.

ასე ეხმაურება მთის მოსახლეობის მიგრაციასა და გვართა წარმომავლობა-სადაურობაზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავის ლოკალიზაციის საკითხს და შესაძლებლობა გვეძლევა დადგინდეს აღნიშნული გეოგრაფიული ერთეულის საზღვრები, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი საზღვარი.

## § 2. ფშავ-ხევსურთა არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში გადასახლების ისტორიისათვის

ფშავ-ხევსურები კახეთის მთისწინეთისა და ბარის გარდა ინტენსიურად გადასახლდებოდნენ ქართლში, განსაკუთრებით შიდა ქართლში — არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში.

ისევე როგორც ერწო-თიანეთსა და კახეთში, ამჯერადაც ჩვენი კვლევის დრო არ სცილდება XVII ს-ის წინარე ხანას, მაგრამ სხვაგვარი დაკვირვებანი ასეთ პროცესს აქ უფრო ადრეც გვავარაუდებინებს.

მივმართოთ უშუალოდ კონკრეტულ მონაცემებს. ხორხის ხეობაში ფშავიდან ყველაზე მეტი რაოდენობით გადასახლებულან ქისტაურთ თემის ფშავლები სოფ. შუაფხოდან და ვანხევიდან: ხუცურაულები, ქისტაურები, კოდალაშვილები და ჯერვალიძეები. XIX ს. II ნახევრამდე მათი ხორხის ხეობაში გადმოსახლება ფაქტია (ხუცურაულებს გარდა) — ისინი აქ დიდი რაოდენობით მოსახლეობდნენ 1873 წლისათვის, მაგალითად, ქისტაურები 16 კომლი იყვნენ [3, № 273]. ვანხევიდან გადმოსახლებული ხუცურაულები ხორხში დაფუძნების შემდეგ 3—4 თაობას ითვლიან. 1873 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად შუაფხოდან 1861 წელს 6 ოჯახი კინიშვილი გადმოსახლებულა [იქვე]. ხორხის ხეობაში ქისტაურთ თემის ფშავლების მიგრაციამ სოფელს (ზემო ხორხი), სადაც ისინი მოსახლეობდნენ, სახელიც კი უცვალა და ოფიციალურ დოკუმენტებში ქისტაურის სახელითაც იხსენიებოდა.

ხორხის ხეობაში სხვა თემის ფშავლებიც გადმოსახლებულან; მაგალითად სოფელ ბზიკურთაში მათურიდან გადმოსახლებული ქისტაურის გვარის ფშავლები მოსახლეობენ; წიფრანში — უძილაურთ თემის ფშავლები მადურაშვილები, ლაშქარაშვილები, ბულალაურები, პაპიაშვილები, უძილაურები. ფშავლები დასახლებულან არაგვის ხეობის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში, რასაც ქვემოთ კვლავ შევეხებით.

ხორხის ხეობაში მოსახლეობენ ძირად ხევსურები; მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ლაუშელი ბეწუაშვილები და პაპკიაურები. პაპკიაურები შატილის ხეობის სოფ. ჰეჰყეთიდან არიან გადმოსახლებული, რომელთა ხევსურეთიდან გადმოსახლებული წინაპარი ვინმე თურქა ჰინჭარაული ყოფილა. პაპკიაურების ხორხის ხეობაში გადმოსახლება XVIII ს. I ნახევარში უკვე მომხდარი ფაქტია. 1774 წლის საბუთში „მორიგეს ნუსხა ჟინვანიდან და არანისიდან" დასახელებულია „ჟინვანიდან ბოგანო ლაუშელი პაპკიაური ხახიაშვილი თამაზა" [111, გვ. 118] ე. ი. ამ დროისათვის ერთი კომლი პაპკიაური ლაუშიდან უკვე ჟინვანში არის გადასახლებული. იგივე პიროვნება გვხვდება 1781 წ. მოსახლეობის აღწერაში ჟინვანში: „ბოგანო პაპკაური ხა-

ხისშვილი თამაზა“ და აგრეთვე, „ბოგანო პაპკაური თვარელა“ [110, გვ. 123].

სონდისველაში მოსახლე **ბუბუნაურების** ერთი შტო (მარტიანი) ძირად ხევსურობას „იჩემებს“, რომელთა წინაპარი არხოტიდან გადმოსახლებულა გუდამაყრის სოფ. ბოსელში, სადაც ბუბუნაურებს უცხოვრიათ და მათი გვარი მიუღიათ*. შემდეგ კი ისინი ხორხის ხეობის სოფელ სონდისველაში გადმოსახლებულან. ბუბუნაურები მთიდან ჩამოსახლების შემდეგ 7—8 თაობას ითვლიან. სონდისველაში XIX ს. II ნახევარში **ჰინჭარაულები** დასახლებულან ხევსურეთის სოფ. ბარისახოდან.

სოფ. ნეძიხში მოსახლე **გულმაგარაშვილები** ბაცალიგოდან ჩამოსახლებულან; რომელთა ძირი-გვარია არაბული (სალოცავი — პირქუში). ამავე სოფელში მოსახლე **ცაბაურაშვილები** კი ფშავის სოფელ ცაბაურთიდან ჩამოსულან [101].

საკანაფის ხეობის სოფ. ვარცლაში კაწალხევიდან გადმოსახლებულან **გორთამაშვილები, ცხორაგაულები, ზარიძეები, ჩხუტიაშვილები;** სოფ. დოლოშაში კი ძირად ხევსური **ცალუღელაშვილები, იარაჯულები, პაპკიაურები, გორთამაშვილები, მიჯახტაშვილები.** ეს უკანასკნელი გვარი ხევსურეთის სოფ. ბლოდან მოსულა (ძირი-გვარი გიგაური).

ჟინვანში მოსახლეობენ ძირად როგორც ხევსურები, ისე ფშავლები და მთიულები. ხევსურობას ამბობენ **ჯარიაშვილები, ხახიაშვილები,** რომლებიც პირიქით ხევსურეთის სოფელ ჰეჰყეთიდან გადმოსახლებული პაპკიაურებისაგან [103, გვ. 22] გამოსულან (შდრ. ზემო 1774 წ. დოკუმენტში ჟინვანში ნახსენები „ბოგანო ლაუშელი პაპკიაური ხახიაშვილი თამაზა“), **ჯაბნიაშვილები,** რომლებიც არხოტელი გაბუურყოფილები არიან. ჯაბნიაშვილები 1774 წ. უკვე ჟინვანის მკვიდრნი იყვნენ. აქ მოხსენებულია ვინმე „ჯაბნიაური ქურციკისშვილი გელია“ [111, გვ. 118]. იგივე გვარი 1781 წლის ჟინვანის აღწერაშიც გვხვდება: „ჯაბნიაშვილი როსებ, გიორგი“ [110, გვ. 122]. ამავე წელს ჟინვანში მოსახლეობდნენ ზემოთ დასახელებული ჯარიაშვილებიც [იქვე].

გუდრუხის პირველმოსახლენი არიან **წოწკორაულები** და **გიგაურები** [101]. პირველი გვარი სოფელ მუქუდანაა მოსული, მეორე კი ხევსურეთის სოფ. ბლოდან.

XVII—XVIII სს. გადმოსახლებულან მთიელები არანისში. ძირად ხევსურები არიან არანისელი **თეთრუაშვილები,** რომელთა ძირი-გვარი

---

* შეიძლება გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული წესჩვეულებანი „ხარ-ქვაბით შეყრა“ და „ამანათობა“, რითაც ერთი გვარი მეორე გვარში შედიოდა და მის გვარს იღებდა [იხ. 102, გვ. 192—195; 129, გვ. 293—298].

არის ბუჩუკური, თუმცა მათი წინაპარი ბუჩუკურები ჯერ მთიულეთში გადმოსახლებულან; **ხიტალიშვილები** (სოფ. ხიტალედან, ძირი-გვარია „არაბული); **პინჭარაშვილები** (ადრინდელი გვარი — პინჭარაული, გადმოსახლებულან სოფ. გუდანიდან); **უთურგაშვილები** (გადმოსახლებულან შატილიდან). ჩამოთვლილი გვარებიდან 1774 წელს არანისის მცხოვრებლებად მოიხსენიებიან ხიტალიშვილები (მაშინ ხიტალიძეები), უთურგაშვილები (მაშინ უთურგაძეები), პინჭარაშვილები (მაშინ პინჭარაძეები) [111, გვ. 120]. 1781 წ. არანისის აღწერაში 2 კომლი თეთრუაშვილი გვხვდება [110, გვ. 124].

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, არანისის მეზობელ სოფელ ეთვალისში უცხოვრიათ **ჩხუტიაშვილებს**, რომლებიც XIX ს. სოფ. საკრამულში გადასულან. ჩხუტიაშვილები, მართლაც, მოიხსენიებიან (2 კომლი) 1781 წ. ეთვალისის აღწერაში [110, გვ. 125]. ჩხუტიაშვილების ადრინდელი გვარი პინჭარაული ყოფილა და მათი წინაპარი ხევსურეთიდან გადმოსახლებულა. პინჭარაულობას ამბობენ აგრეთვე ავენისელი **კოჩორაშვილები** და **პრელაშვილები**.

ძირად ფშავლები არიან ბაზალეთელი **ნათელაშვილები**. როგორც ვ. ბარდაველიძეს დაუმოწმებია: „ნათელაშვილები ფშავლები არიან, გვარად უძილაურნი. მაგრამ თავდაპირველად ხევსურეთის სოფელ უკანახოდან ფშავში წამოსულან სამი ძმანი: გელანა, ბაგრატა და დათიკო. იქიდან ჯერ ჟინვანის მახლობლად, სოფელ ავენისში გადასახლებულან, ხოლო შემდეგ ბაზალეთში გადმოსულან". [120, გვ. 96]. აღნიშნულ ეთნოგრაფიულ მასალას სრულიად ამოწმებს 1781 წლის მოსახლეობის აღწერა. ავენისში, მართლაც, მოიხსენიებიან ნათელაშვილები (მაშინ ნათელაძეები) [110, გვ. 121]. ბაზალეთში ნათელაშვილები 1781 წ. შემდეგ უნდა იყვნენ გადმოსახლებული. 1873 წ. ბაზალეთში ნათელაშვილები 7 კომლი იყვნენ [3, № 257]. ნათელაშვილებს ბაზალეთში მკვიდრი სალოცავის — ლაშარის ჯვრის — ნიში გადმოუტანიათ. ამავე დროს ბაზალეთელი ნათელაშვილები სოფ. ავენისშიც დადიოდნენ სალოცავად, სადაც მათი მოგვარეები დღესაც მოსახლეობენ. ავენისელ ნათელაშვილებში ორ შტოს გამოყოფენ: ერთნი, რომლებიც ნამდვილი ნათელაშვილები (თავდაპირველად ნათელაურები) არიან და მეორე შტო, რომელთა ადრინდელი გვარია **გარსევანიშვილი**. გარსევანიშვილების წინაპარიც ავენისში ფშავიდან (ჩარგლიდან) მოსულა.

ძირად ხევსურობას ამბობენ არაგვისპირელი **ჯიქურაულები**, რომელთა ადრინდელი გვარი გიგაური ყოფილა. 1781 წ. ჯიქურაულები არაგვისპირის მკვიდრებად იხსენიებიან [110, გვ. 126].

არაგვის ხეობის ზეგანსა და ბარში მრავლად მოსახლეობენ ისეთი გვარები, რომელთა ადრინდელი გვარი გიგაური ყოფილა და გადმო-

სახლებული არიან ჰართლიდან. ჰართალში კი, როგორც ლიტერატურიდან ცნობილია, გიგაურები ხევსურეთის სოფლებიდან: გველეთიდან, მოწმაოდან, დათვისიდან იყვნენ გადმოსახლებული და აქ ისინი უკანასკნელ ხანებამდე სალოცავადაც კი დადიოდნენ [68, გვ. 14]. ჰართლიდან გადმოსახლებული გიგაურყოფილები არიან: **მელიწკაურები** (სოფელი ეთვალისი; ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ეთვალისში XVIII ს. დასასრულს უნდა იყვნენ გადმოსახლებული); **ციხელაშვილები** (სოფ. მეზვრიანთკარი, XVIII ს-ის I ნახევარი); **ქადაგიშვილები** (სოფელ ბიჩინგაურთკარი, გადმოსახლებული არიან XVIII ს. პირველ ნახევარში); **ბაბულაშვილები** (ქაისხევი; XVIII საუკუნის პირველი ნახევარი. სალოცავად უვლიათ ხევსურეთში — „ფუძის ანგელოზი"); **პირმისაშვილები** (სოფელი პირმისაანთკარი; 1781 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარში მოიხსენიებიან ზენდუშეთსა და ბაზალეთში); **ქაფიაშვილები** (სოფელი ვეძათხევი), **ფერხულები** (სოფელი აში, გადმოსახლებულან XVIII—XIX სს. მიჯნაზე. XX ს. 20-იან წლებში ფერხულების ნაწილი ჰოპორტში გადასახლდა); **ჯიქურები** (სოფ. არღუნი); **ჯანგირაშვილები** (სოფ. არღუნი; 1781 წელს აქ ოთხი კომლი ჯანგირაშვილი მოსახლეობდა); **ლანიაშვილები** (სოფ. ეთვალისი; გადმოსახლებულან XVIII ს. პირველ ნახევარში); **თათიკაშვილები** (სოფ. არაგვისპირი; გადმოსახლებულან XVIII ს. I ნახევარში); **ფრიდონაშვილები** (სოფ. ეთვალისი; გადმოსახლებულან XVIII ს. I ნახევარში); **საღირაშვილები** (სოფ. ყვავილი; გადმოსახლებულან XVIII ს. II ნახევარში); **ჩანადირები** (სოფელი ჩანადირები; აქ 1873 წლის კამერალური აღწერის თანახმად 10 კომლი ჩანადირი მოსახლეობდა); **ყარსიმაშვილები** (ყარსიმაანთკარი, XVIII ს. I ნახევარში); **მახარაშვილები** (სოფ. მისაქციელი); **მერაბაშვილები** (სოფ. არღუნი); **ნამგალაურები** (ქაისხევი); **ლოხიშვილები** (ქსოვრისი) და სხვა.

ქაისხევსა და დუშეთში მოსახლე **სინჯარაძეები** ძირად ხევსურობას ამბობენ, რომელთა ადრინდელი გვარი ჰინჭარაული ყოფილა. ჰინჭარაულები ყოფილან, აგრეთვე, სოფ. გრემისხეველი **ხევსურიშვილები.**

სოფ. პავლეურის მკვიდრი გვარები: **ფოცხვერაშვილი, პეტრიაშვილი, ჯაბანაშვილი, ხოსიაშვილი, ბალიაშვილი, ჩოლიაშვილი** ძირად ხევსურები არიან. არაგვის ხეობის დაბლობში თავიანთი წინაპრების გადმოსახლებას ზურაბ არაგვის ერისთავის პერიოდს უკავშირებენ. მთხრობელის სიტყვით, პავლეურის ეს გვარები „ზოგი ჰინჭარაულობას ამბობს, ზოგ ლაშქარაულობას". ასევე ძირად ხევსურობას ამბობენ პავლეურის მეზობელ სოფელ ციხისძირში მოსახლე **გოზიტაშვილები.** მათი დედაგვარია არაბული და გადმოსახლებულან ხევსურებით დასახლებული გუდამაყრის სოფელ ბაკურხევიდან. 97 წლის ლადო მო-

სეს ძე გოზიტაშვილის გადმოცემით, გოზიტაშვილები ებიძაშვილებიან პავლეურელ **ხოსიაშვილებსა** და ციხისძირელ **გულაშვილებს**. ამ სამ გვარს ხევსურეთიდან გადმოსახლებულმა სამმა ძმამ დაუდო საფუძველი. ყველა ეს გვარი XVIII ს. მკვიდრად მოსახლეობდა არაგვის ხეობის მთისწინა ზოლში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გულაშვილები მაშინ **გულაურების** გვარს ატარებდნენ. ისიც საყურადღებოა, რომ გულაშვილები ეყმობოდნენ სალოცავს **„აფხავ წმ. გიორგის“**, რომელიც არაგვის ხეობის ბარში ხევსურეთიდანაცაა გადმოტანილი.

ჭოპორტელი და ბიწმენდელი **ბეკურაშვილების** წინაპარი სოფ. კაწალხევიდან გადმოსახლებულა. მათი ადრინდელი გვარია ზარიძე, ხოლო გრემისხეველი **ბეკურაშვილები** კი ძირად ხევსური სამხარაულები არიან.

ზემოთ ჩამოთვლილი გვარების მსგავსად ხევსურეთიდან არიან თავიანთი წარმომავლობით ქაისხეველი **ჯაბანაშვილები**, ტონჩელი: **ღარიბაშვილები**, **ლაგაზაშვილები**, **შალიკაშვილები**, **ბუჩუნტელები**. მათი წინაპარი ბუჩუკურები ჯერ მთიულეთში გადმოსახლებულან, სოფ. გვიდაქეში, გვიდაქედან კი ტონჩაში. ასევე ითქმის დღეს სოფ. ჩინთში მოსახლე **ბუჩუკურებზე**, რომლებიც აქ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასახლებულან.

არაგვის ხეობის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში საკმაოდ მოსახლეობენ ხანდოდან გადმოსახლებული **ვეშაგურები**, რომლებიც ძირად ხევსურები არიან; მათი დედაგვარი არაბული ყოფილა.

არაბულები ყოფილან, აგრეთვე, **ბიჩინგაურების** (სოფ. ბიჩინგაურთკარი; გადმოსახლებულან XVIII ს. პირველ ნახევარში), **კარიაულების** (სოფ. კარიაულთკარი; ეს გვარი ხუთი ოჯახის რაოდენობით მოიხსენიება ზენდუშეთის 1781 წლის აღწერაში), **ახალაშვილების** (სოფ. ზემო აში), **თოთელების** (**თოთიაურების**, სოფ. მლაშე) ხევსურეთიდან გადმოსახლებული წინაპრები.

ძირად ხევსურობას ამბობენ: **მანგიაშვილები** (ზენდუშეთს მოსახლეობდნენ უკვე 1781 წელს); **ოქრუაშვილები** (სოფ. ვეძათხევი), **ჭიაბრიშვილები*** (სოფელი ქერანა; XVII ს. მათი აქ მოსახლეობა უკვე საგულვებელია), **ბანცურები** (ქაისხევი, XVII ს., ძირად — ჭინჭარაული), **ინაშვილები** (ქაისხევი), **ხულუზაურები** (ქაისხევი), **ზავარდაშვილები** (ქვემო აში) და **ვარსიმაშვილების** (სოფელი ვარსიმაანთკარი), **ხოსრიაშვილების** (სოფ. აში) ნაწილი.

შიდა ქართლში, სოფ. გრემისხევში, მოსახლე **გოძიაშვილები** და

* ჭიაბრიშვილების განაყრები არიან ახმეტელი ფ ა ქ ი ზ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, რომელთა წინაპარიც დუშეთიდან გადმოსახლებულა. ფაქიზიშვილები ბოლო დრომდე დუშეთის მახლობლად, სოფელ არღუნში, სალოცავ „ცეცხლიჯვარში“ დადიოდნენ.

ტოტიკაშვილები ძირად სისაურები არიან, რომელთა წინაპრები აქ ხევსურეთიდან გადმოსახლებულან. ეთნოგრაფიული მასალებით, საერთო წარმომავლობა აქვთ გრემისხეველ და გარე კახეთის სოფელ მარტყოფში მოსახლე ტოტიკაშვილებს. ოღონდ პირველად ისინი მკვიდრობდნენ არა მარტყოფში, არამედ მარტყოფის მეზობელ სოფელ ჰოტორში (დღეს ნასოფლარი). მართლაც, XVIII ს. პირველ მეოთხედში ჰოტორში ოთხი კომლი ტოტიკაშვილი მოსახლეობდა. წილკნელი ლაშაურების წინაპრები ფშავიდან გადმოსახლებულან. მათი ძირიგვარი გიგაური იყო. ძირად გიგაურები არიან შიდა ქართლის გაღმა მხარის სოფ. ნოსტესა და ახალციხეში მოსახლე ჯლანტიაშვილები. ხევსურეთიდან გადმოსახლებულან სოფ. ნიაბსა და აღაიანში მოსახლე გელხაურები, ფშავიდან — დოესელი ბაიდაურები.

არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში ფშავ-ხევსურთა ჩამოსახლება XIX ს. II ნახევარშიც მიმდინარეობდა.

სოფელ ნოჯიკეთში ხევსურები 1850-იან წლებში გადმოსახლდნენ. უმეტესად აქ ჰარბობდნენ სოფელ წინხადუდან და დათვისიდან გადმოსახლებული არაბულები (15 კომლი). იმავე პერიოდში ბლოდან გადმოსახლებულან გიგაურები (ხუთი კომლი), ხიტალედან — 3 კომლი, ხახაბოდან, ჰორმეშადან, კალოთანადან — თითო კომლი. მცირე რაოდენობით გადმოსახლებულან ხევსურები ნოჯაში, ხეობაში, თეძამში [2, № 248].

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ფშავლები დასახლდნენ სოფლებში: ვარცალში, ფუძნარში, ნოჯაში (წოწკორაულთ თემის ფშავლები), მკევლიანში (ახადიდან, მათურიდან), ხეობაში (წოწკორაულთ თემის ფშავლები გადმოსახლდნენ ბუდე-ფშავის სოფელ მუქუდან), ჰილანთკარში... საერთოდ, მოტანილი მასალები აშკარად ნათელყოფს არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში ქართველ მთიელთა ჩამოსახლების ინტენსიურობას, რასაც კარგად მიესადაგება ერთი მთხრობელის სიტყვები, რომ „აქ ისეა ხალხი აქერჰრელებული, რა ვიცი, ვინ ვინაა".

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, ინტენსიური ყოფილა ფშავ-ხევსურთა არაგვის ხეობის ზეგანსა და ბარში გადასახლებანი. ვვარაუდობთ, რომ არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში ადრინდელი მოსახლეობის შეთხელება უნდა გამოეწვია თემურლენგის (XIV—XV სს. მიჯნა) შემოსევებს. ცნობილია, რომ ამ შემოსევებს მეურნეობრივად განვითარებული ადგილების გაუკაცრიელება მოჰყვა შედეგად [52]. აღნიშნული კი მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ საუკეთესო ნიადაგს ქმნიდა ხალხთა ახალი გადანაწილებისა-

თვის და, კერძოდ, ჩვენ შემთხვევაში მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლებისათვის.

ქართლისაკენ, არაგვის ხეობის მთისწინეთისა და ბარის გარდა, მთიელები, როგორც ირკვევა, სხვა ხეობებშიც გადასახლდებოდნენ. ერთ-ერთ ასეთ რეგიონად შეიძლება დავასახელოთ ატენის ხეობა, სადაც საკმაოდ მოსახლეობდნენ ქსნისა და არაგვის ხეობების მთიანი ნაწილიდან მოსულები [58, გვ. 27]. ქსნისა და არაგვის ხეობების მთიდან ყოფილან, მაგალითად, ატენის ხეობის სოფელ ბობნევში XIX საუკუნის დასაწყისში გადმოსახლებული თინიკაშვილები, გიგაურები, ქოქაშვილები, თოფჩიშვილები... [58, გვ. 106]. ამ უკანასკნელი გვარის ძირი-გვარი, კი, როგორც გადმოგვცემენ, წიკლაური ყოფილა. ძირად ფშავ-ხევსურები მოსახლეობენ, აგრეთვე, ქსნის ხეობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ფშავ-ხევსურეთიდან მოსულებს ძირად მთიულ-გუდამაყრელები სჭარბობენ (რა თქმა უნდა, გამოვრიცხავთ XV საუკუნიდან ამ ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულ არაქართულ ეთნიკურ ერთეულს, კერძოდ, ოსებს). წინასწარი დაკვირვებით, ქსნის ხეობა მთიულეთ-გუდამაყრისათვის მოსახლეობის ბარში გადასახლების ისეთივე შუალედური რგოლი, საფეხური უნდა ყოფილიყო, როგორც ფშავ-ხევსურეთისათვის ერწო-თიანეთი და ორივე მთიანი კუთხისათვის თანაბრად არაგვის ხეობის მთისწინეთი და ბარი. ფშავიდან გადმოსახლებულა ქსნის ხეობის ჯერ სოფელ თინიკაანთუბანსა და შემდეგ ბალაანთაში მცხოვრები ბალაშვილების წინაპარი. ბალაშვილების ძირი-გვარია გაბიდაური. ქსნის ხეობის სოფელ ქურთაში მოსახლე ჯაბანიშვილებიც ფშავიდან მოსულან [114, გვ. 18].

მთიელთა ქართლისაკენ მიგრაცია ზოგიერთ ადრინდელ დოკუმენტშიცაა მითითებული, თუმცა არაპირდაპირ. აღნიშნულს უნდა მიუთითებდეს 1616 წლის ერთ საეკლესიო დოკუმენტში სოფელ ქორდში ვინმე „ჭევსური საგინას" და „მუჭაური გამიხარდის" მოხსენიება [81—ბ, გვ. 482]. იმავე ქორდში 1789 წლის საბუთის მიხედვით მოსახლეობს „ხევსური პაპუნა", აღაიანში კი „ზარიძე ივანე" [81—ბ, 482]; ზარიძეები ხეკორძის მცხოვრებლებადაც ჩანან XVIII ს. 30-იანი წლების დოკუმენტით, მცხეთისა — სისაურები [81—ბ, გვ. 784—786] და სხვა. მცხეთის მახლობლად, სოფ. კარსანში, 1863 წელს დასახლდნენ ფშაველი მჭედლურები (4 ოჯახი) ფშავის სოფ. აფშოდან.

სოფელ დიღომში არაგვის ხეობიდან გადმოსახლებულა თეთრაშვილების ნაწილი. აქვე მთიდან გადმოსახლებულან მარიამულები (მათი განაყარი ყანადაშვილები), კოლოტაურები, გილაურები, ოღონდ მთის რომელი კუთხიდან, ეთნოგრაფიული მასალებით ამის დადგენა ვეღარ ხერხდება. სოფელ დიღომში მოსახლე ალიმბარაშვილების ადრინდელი გვარი ზარიძე (ხევსურეთიდან) — ყოფილა [77, გვ. 85, 94 —

95, 118]. ჩამოთვლილი გვარებიდან XVIII ს. ყველა უკვე დილომში მოსახლე იყო. ზემოთ ნახსენები მარიამულები და გილაურები ხევსურეთიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებული. ხევსურული ანდრეზები და ხალხური პოეზიის ნიმუშები მიუთითებენ ამ გვარების ხევსურეთში ოდესღაც მოსახლეობის შესახებ.

დასასრულს ხაზი უნდა გაესვას შემდეგ მომენტს; ხშირ შემთხვევაში ვადგენთ რა მთის მოსახლეობის ბარისაკენ მიგრაციის ისტორიულად არსებულ საფეხურებრივ ხასიათს, შუალედური რგოლის გავლას, აღვნიშნავთ, რომ გადმოსახლებულს გადმოსახლების დროს და შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში გააზრებული როდი ჰქონოდა, რომ თვით ან მისი შთამომავალი მთისწინეთიდან ბარში გადასულიყო საცხოვრებლად. მხოლოდ გარკვეული ხნით აქ ცხოვრების შემდეგ მთიდან მთისწინეთში ჩამოსახლებული მოსახლეობის ნაწილი ბარში გადადიოდა საცხოვრებლად, ნახავდა რა აქ დასახლკარების მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ და შესაბამის პირობებს.

მესამე თავის დასკვნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავი მოიცავდა შედარებით მცირე ტერიტორიას და მისი სამხრეთი საზღვარი სამხრეთით ადგილ კართანასა და სოფელ წინაკარამდე გრძელდებოდა. ფშაველთა თავდაპირველი საცხოვრისი კი ორწყლის ზემო ტერიტორიაა ფშავის არაგვის ხეობაში.

2. წინაფშავში (დღევანდელი მაღაროსკარის სასოფლო საბჭო) ფშავლები შედარებით გვიან, XV—XVI სს., არიან მოსული.

3. ფშავ-ხევსურები ინტენსიურად გადმოსახლდებოდნენ არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში. მათი აქ გადმოსახლების სურათის უშუალოდ აღდგენის შესაძლებლობა გვეძლევა XVII—XVIII სს. მიჯნიდან.

4. ისევე როგორც ერწო-თიანეთში, არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლებული მთიელები ძირითადად შეცვლილი გვარებით გვევლინებიან და ასეთ გვარებს ეპონიმად უმეტესად მამის სახელი უდევს საფუძვლად.

5. არაგვის ხეობის მთიდან მოსახლეობა ქართლის სხვა კუთხეებშიც გადადიოდა საცხოვრებლად. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ქსნის ხეობის მთისწინა და ბარის ზოლზე, ატენის ხეობასა და სხვ.

## თავი IV

# მთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის სხვა წყაროები

### § 1. ტოპონიმები

ტოპონიმებს, რომლებსაც მეცნიერების რამდენიმე დარგი — ლინგვისტიკა, გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია სწავლობს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული წარსულის შესასწავლად [135; 134; 29; 47; 24 — ა, გვ. 358—359; 126, გვ. 24—52; 137]. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მიწისზედა, თუ წიაღისეულ მატერიალური ხასიათის ნაშთებს გარდა ჩვენ წინაშეა აურაცხელი მასალა, რომელიც თავისი ხარისხით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა რიგის წყაროებს. ეს არის ადგილთა სახელები (ტოპონიმიკა). მრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო, ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუნჯებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდანვე მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა, — მეტყველი და უტყუარი, სატომო სახელები, ტომთა განსახლება, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა, მისი რელიგიური ცხოვრება, ომი თუ გართობა და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა ცხოვლადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს" [24—ა, გვ. 358]. შემდეგ: „ეს ხომ ზღვა მასალა იქნება ჩვენში წარსული ცხოვრების მეცნიერულად აღსადგენად. იგულისხმება, რა თქმა უნდა, რომ ამ მასალის ისტორიულად შესწავლაში ჩვენ ისტორიკოსებს ქართული ენათმეცნიერება წამოგვეშველება" ... [24—ა, გვ. 358].

ამდენად, ფრიად ფასეულია, როდესაც ამა თუ იმ ტოპონიმის შესწავლა ხდება ერთდროულად ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებების, განსაკუთრებით ისტორიის, ეთნოგრაფიის და ენათმეცნიერების მეთოდთა საშუალებით. მაგრამ ასეთი სახის გამოკვლევები ტოპონიმებზე ჯერჯერობით ცოტაა არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ საერთოდ.

ტოპონიმები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად — გადასახლებულ მოსახლეობას ხშირად თან მიჰქონდა თავისი ადრინდელი საცხოვრისის სახელწოდება ახალ საცხოვრისში. ჯერ კიდევ ფ. ენგელსმა შეაფასა ტოპონიმების მნიშვნელობა აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად, წარმოაჩინა მათი, როგორც ძვირფასი ისტორიული წყაროს როლი [9, გვ. 22—77].

ქართველ მთიელთა დაბლობში ჩასახლების ერთი სურათი ტოპონიმისა და ეთნოგრაფიული მასალის საშუალებით აღადგინა ვ. ბარდაველიძემ [19, გვ. 102—103]. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. მუსხელიშვილის ტოპონიმიკური ძიებანი. მან ე. წ. სეხნია, მსგავსი, ტოპონიმების ათეული წყვილი წარმოგვიდგინა, რომლებიც ერთდროულად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთასა, მთისწინეთსა და ბარში და სრულიად სამართლიანად ისინი მთიელთა დაბლობში მიგრაციის შედეგად წარმოშობილად მიიჩნია [65, გვ. 39—41], ოღონდ სათუოა ავტორის მიერ ჩამოთვლილი ყველა ტოპონიმის მეორეული გაჩენის დროდ მისი საკვლევი პერიოდი მივიჩნიოთ.

ამგვარად, ტოპონიმებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც სხვა რიგის მასალები ამ მხრივ საერთოდ არ მოიპოვება და ტოპონიმი ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ არაერთგზის იყო ნაჩვენები, ეთნოგრაფიული და საარქივო მასალებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დაბლობში მიგრაცია ხელშესახებად დასტურდება XVII საუკუნიდან. მიმდინარეობდა თუ არა XVII საუკუნის წინარე ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის დაბლობში ჩასახლება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ გეოგრაფიული სახელები — ტოპონიმები.

შიგნით კახეთში მდებარეობს სოფ. **ხორხელი**, რომელიც ყველაზე ადრე 1670 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული [81—ბ, გვ. 566—568]. ენობრივი ანალიზი პირდაპირ მიუთითებს კახეთის ხორხელის მოსახლეობის ხორხიდან გადმოსახლებაზე. ამ სოფლის სახელი „ხორხელი“ ნაწარმოებია სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით. ხორხიდან გადმოსახლებულებს და მათ სოფელს ხალხმა (რა თქმა უნდა, დამხვდურმა) **ხორხ-ელი** უწოდა. ასეთი მაგალითები, როდესაც ახალი ოიკონიმი იქმნება სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით, ჩვენ სხვებიც ვიცით.

ხორხიდან ხორხელთა მიგრაციის დამადასტურებელია ეთნოგრაფიული მასალაც. მთხრობელი ს. გ. ჩანგაშვილი გადმოგვცემს: „ხორხლელები ხორხიდან არიან ჩამოსულები. მამაჩემის დედიძმა იყო მიხა

იმერლიშვილი და ის ამბობდა: „ხორხლელები ხორხიდან ვართ. პირველად ცოტანი ყოფილიყვნენ და მერე შემატებოდნენ სხვა გვარები".

ხორხლელები დღესაც მიუთითებენ წინაპართა მთიდან მოსულობასა და იქიდან სალოცავის **მთავარმოწამის**, გადმოტანაზე. ხორხის ხეობაში, მართლაც, დასტურდება სალოცავი **ხმალა მთავარმოწამე**, სადაც ადრე ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა კახეთის ბარიდან.

სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით კახეთში ვახუშტის, იოანე ბაგრატიონსა და გიულდენშტედტს ნახსენები აქვთ სოფელი **მუქუელი** [41, გვ. 207; 35, გვ. 261; 18, გვ. 357]. ჩანს, სოფელი მუქუელი კახეთში ფშავის სოფელ მუქუდან გადმოსახლებულებმა დააფუძნეს. ასეთი გეოგრაფიული სახელით სოფელი ახლა აღარაა; ეთნოგრაფიული მასალებით ცხადი ხდება, რომ **მუქუელი სოფ. ქისტაურის ადრინდელი სახელწოდება ყოფილა.**

ამრიგად, სოფელს სახელი შეეცვალა და ოიკონიმ მუქუელის// მუქუეთის ნაცვლად მივიღეთ **ქისტაური**. რას უნდა გამოეწვია ეს გარემოება? როგორც ბეჟან ერისთავის (რაფიელ ერისთავის პაპის მამის) მთავარმართებელ ერმოლოვისადმი წარდგენილი მოხსენებიდან ჩანს [40, გვ. 16], მუქუელები ლეკებს უოხრებიათ და უტყვევნიათ. ლეკიანობა, ეს საგარეო ფაქტორი, გამხდარა მიზეზი სოფლის ადრინდელი, მთიელთა მიგრაციის შედეგად შექმნილი, სახელის ამოვარდნისა. მეორე სახელწოდება — ქისტაურიც მოსახლეობის გადმოსახლებას უკავშირდება. ბეჟან ერისთავის მოხსენიებასა და ანდერძში ისიცაა აღნიშნული, რომ აქ მზითვში მოყოლილი გლეხებიც დაფუძნებულან. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „15 კომლი ბეჟანის ცოლს მოყოლია ივრის ხეობიდან, სადაც ყოფილა ქისტაური და იქიდან გადმოუტანიათ სოფლის სახელი. ეხლაც არიან ხალხი, რომლებსაც აქ ბოპორმელებს ეძახიან: მაილაშვილები, ბუზალაძეები, იმერლიშვილები, ვედიაშვილები, იქა ქისტაური ერქვა და აქ დაარქვეს სოფელს სახელი" (ხოსიაშვილი ს. ზ. 64 წლის, სოფ. ქისტაური, ახმეტის რ. — 1976 წ.), ქისტაურთა ბოპორმიდან კახეთის ბარში გადასახლების დამადასტურებელი საბუთი: 1781 წ. „არზა ოპანა ბეგიჯანაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით" — „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს ყაზახის კოლპელს მათს ყმას **ბეგიჯანაშვილს ოპანას**. ჩვენ კახეთში აქა-იქ სოფლებში გახლდით. მამაჩემი ხორხელში ჰირის სანაცვლოდ გაგიხდათ და მე **ქისტაურში მოველ და ბოპორმელებთან გავიზარდე და შარშან ხოდაშენს თქვენს მამულში მიველ. ბეჟან-ბეგმა ამყარა, ქისტაურში მიმიყვანა, ბოპორმელი ხარ, აქ უნდა იდგეო** (ხაზი ჩვენია — რ. თ.). ჴელმწიფემაც მი-

ბოძა ოქმი, თქვენც მიბოძეთ ოქმი ბეჟან-ბეგზედ, მაგრამ არ მომეშვა"... [81-დ, გვ. 497].

ამრიგად, დღევანდელი კახეთის სოფელ ქისტაურში მთიდან გადმოსახლებული მოსახლეობის ორი ფენა გამოიყოფა: ერთი, ადრინდელი, მუქუდან გადმოსახლებული ფშავლები, რომლებიც ბეჟან ერისთავმა უკაცრიელქმნილ სოფელში დაიხსნა ლეკთაგან („ხუთმეტი სული ლეკთაგან დამიხსნია") და, მეორე, ბოჰორმის მიდამოების სოფელ ქისტაურიდან მზითევში მოყოლილნი, რომლებმაც ახალ საცხოვრისში სალოცავის — ბოჰორმის წმინდა გიორგის ნიშიც კი გადმოიტანეს. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ქისტაურიდან მოსული მოსახლეობა აქ თავის დროზე ფშავიდან ან ხევსურეთიდან (თუნდაც, ჩავთვალოთ ფხოვიდან) უნდა ყოფილიყო მოსული, რასაც, უეჭველად, მიუთითებს გვარი ქისტაური და აქ ქისტაურთა გვარის სალოცავის — **„იახსარის" ნიშის** არსებობა; ე. ი. მათ გადასახლების საფეხურებრივი გზა გაიარეს: მთა (ფშავი ანდა ხევსურეთი)→მთისწინეთი (ერწო, ბოჰორმის მიდამოები)→ბარი (კახეთი).

ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონს გალმამხარში კიდევ ერთი სოფელი აქვთ დასახელებული სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსით: **ახადელი** [41, გვ. 208; 18, გვ. 357]. აშკარაა, რომ კახეთის გალმამხარში სოფ. ახადელი ფშავის სოფელ ახადიდან მიგრირებულებმა დააფუძნეს. XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალებში სოფელი ახადელი გაიგივებულია ბაბანეურთან. შემდეგ კი თანდათან დაიკარგა თავდაპირველი ტოპონიმი და დარჩა ბაბანეური. ეთნოგრაფიული მასალები სრულიად ადასტურებენ იმას, რომ ბაბანეურის ადრინდელი სახელწოდება ახადელი იყო. ეს ისტორიული მომენტი ბაბანეურის ერთ საფლავის ქვაზედაც არის ასახული. სოფელი ახადელი ივრის ხეობის სათავეშიც ყოფილა [21, გვ. 74]. ჩვენი მასალებით ახადელი ივრის ხეობაში რამდენიმე სოფლის (მგელათციხე, ხატხეორხი, ხილიანა, ყაფარი, ჯაბლევი) საერთო სახელწოდება იყო, სადაც ფშავის სოფელ ახადიდან გადმოსახლებულები მოსახლეობდნენ.

დ. მუსხელიშვილს მთიელთა მიგრაციების შედეგად წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელებს შორის დასახელებული აქვს **ფხოველი** და **ფშაველი**. ამ სოფლების აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიერ დაფუძნება ეჭვს არ იწვევს: მათ აწარმოებს სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი -ელ. ამასთანავე ცხადია, რომ პირველი მათგანი უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი, ვიდრე მეორე. სოფ. ფხოველი პირველად ნახსენებია ლაკბეს ხევზე კახეთში 1579 წლის გუჯარში [74, გვ. 11]. სოფ. ფშაველი საკმაოდ მოზრდილ სოფლად უკვე დასახელებულია XVIII ს. I მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარში, სა-

დაც ჩამოთვლილია ისეთი გვარები, — რაიბული, ლასურაული, კვირიკაული (110, გვ. 63—64), რომლებიც აშკარად მათ მთურ წარმოშობაზე მიუთითებენ.

საყურადღებოა, რომ ფშავიდან კახეთში, სოფელ ფშაველში, მიგრირებულებს გადმოუტანიათ ფშაური ერთ-ერთი თემის სალოცავი ხატის ნიში — **წყაროსთავი**. „გიორგი წყაროსთაულის“ ხატი უკანაფშავის თემის სალოცავი იყო ფშავში [20, გვ. 192], ე. ი. კახეთის სოფელ ფშაველში გადმოსახლებულნი უნდა იყვნენ უკანაფშავის თემისანი. საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ უკანასკნელ ხანებამდე „წყაროსთაულს სოფ. ფშაველში ჰქონდა ვენახი“. სოფ. ფშაველი ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი. ეთნოგრაფიული მასალა: „წმინდა გიორგის ჰქონდა მამულები და ვენახები კახეთში მეფეებისაგან მიცემული. როცა თათრებს ებრძოდნენ ჩვენი ძველები, მაშინ წყაროსთაულის დროშასაც უვლია იქა და ხალხსაც საბრძოლველად. მტერი რომ დაუმარცხებიათ, მეფეს შაუწირავს ერთი მამული ლალისყურში და ერთი ფშაველში“ (20, გვ. 202). სოფელი ფშაველი პირველად 1691 წლის დოკუმენტში მოიხსენიება (74, გვ. 170). სოფ. ფშაველის თავში მდებარე **წყაროსთავის** დღეობაზე სალოცავად მოდიოდნენ თელავიდან, იყალთოდან, რუისპირიდან, ახატლიდან, შილდიდან, ყვარლიდან, ართანიდან („წყაროსთავში დიდი დღეობა იცის“). ეს უკანასკნელიც (სოფელი ართანა) დ. მუსხელიშვილს მიგრაციათა შედეგად წარმოშობილად მიაჩნია და ადარებს მას ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ არტანს. აღნიშნულ მოსაზრებას კვლავ მხარს უჭერს ეთნოგრაფიული მასალა: 1) ართანელები ფშავლის თავზე ლოცულობდნენ ფშავიდან გადმოტანილი სალოცავის — წყაროსთავის ნიშთან და 2) ართანელები ლოცულობდნენ, აგრეთვე, მატანში ლაშარის ნიშზე. ართანას მოსახლეობის ფშაურ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს, აგრეთვე, ზოგიერთი გვარი XVIII ს. პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში (მუცელაური, სინდაური და სხვ.) [110, გვ. 63].

ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონს კახეთში მოხსენიებული აქვს სოფელი **მთიული** [42, გვ. 207]. იმავე სახელწოდებით სოფელი XVIII ს. I მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარშიც გვხვდება. აქ მოიხსენიებიან ისეთი გვარები, რომლებიც აშკარა მთური წარმოშობისანი არიან: გიგაურიშვილი, იარაჯული, რატული [111, გვ. 91]. დღეისათვის კახეთში ასეთი სახელწოდებით სოფელი აღარაა. ის არც XIX ს. არსებობდა. შესაძლებელი გახდა ამ ნასოფლარის ადგილ-სამყოფელის დადგენა. ახმეტის მოსახლეობა დღეს **მთიულს** უწოდებს ადგილს ახმეტის სამხრეთით. ეს ადგილი ნამდვილად ძველი სოფლის — მთიულის — ადგილსამყოფელი უნდა იყოს, რის დამადასტურებელიცაა შემდეგი: აქ

დღესაც „ცოცხალ" მოწმედ არის მთიულთა საერთო სალოცავის — **ლომისას ნიში.**

XVII საუკუნის დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ერთობით მთიულებმა პირობა დადეს, რომ აღკვეთდნენ მარხვის ჭამას, ხოლო ცდუნების შემთხვევაში გაუმხელდნენ (ალავერდელს)" [62, გვ. 148]. აქ საინტერესოა ერთი დეტალი: საქართველოში XVII ს. რატომ უნდა მდგარიყო საკითხი მარხვის დაჭერა-არდაჭერის შესახებ? ტოპონიმი „მთიულეთი" აშკარად მიუთითებს ამ შემთხვევაში კახეთში მთიულეთიდან მოსახლეობის მიგრაციაზე. ეს რომ დანამდვილებით ასე უნდა ყოფილიყო, ამას უნდა მოწმობდეს სწორედ მარხვის არდაჭერა მთიულების მხრივ. ახლად გადმოსახლებული, ნახევრად წარმართი, მთიულები, ალბათ, ურჩობდნენ ყველა ქრისტიანული წესის შესრულებას. ვგონებ, აღნიშნულ XVII ს. დოკუმენტში კახეთში მოხსენიებული „მთიულეთი" შემდეგდროინდელი სოფელი **მთიული** უნდა იყოს.

სოფელი **მთიული** სხვაგანაც გვხვდება. კერძოდ, ხორხის ხეობის სოფ. ხორხის ზედა უბანს **„მთიულებს"** უწოდებენ, სადაც მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულები მოსახლეობენ და სადაც **ლომისასი** და **პირიმზე ფუძის ანგელოზის** ნიშებია. ასევე საინტერესოა გარემოება: ხორხის ხეობის სოფ. კომშიანას **ფშაველსაც** უწოდებენ. თეძმის ხეობის ერთ სოფელს, ნოსტეს აღმოსავლეთით, **მთიულთუბანი** ჰქვია, სადაც არაგვის ხეობიდან გადმოსახლებული მთიულები მოსახლეობენ XIX ს-დან [59, გვ. 20].

კახეთში -ელ სუფიქსიანი ოიკონიმების რიცხვს მიეკუთვნება **ყვარელიც.** სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან ცნობილია **ყვარასა და ყვარელის** მიმართება. ვ. ბარდაველიძის ნაშრომიდან ცნობილია, რომ კახეთის ყვარლიდან (და სხვა სოფლებიდან) ხალხი სალოცავად დადის ივრის ხეობის ლაშარობაზე. იგი სამართლიანად ასკვნის, რომ ყვარლელები იმიტომ დადიან სალოცავად ივრის ხეობაში, რომ თავის დროზე ისინი აქედან (ყვარადან) არიან კახეთში გადასახლებულნიო. აი, მის მიერ „ლაშარობაზე" ფიქსირებული მასალა: „ჩვენი მამა-პაპანი აქედან გადმოსახლებულან კახეთში და ამიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდებაო, ამბობენ სოფელ ყვარელის მცხოვრებნი და სხვა აქ დამსწრე კახელებთან ერთად აღნიშნავენ — აქედან წასულები რომ ვართ, იმიტომ გვამიზეზებს აქაური ხატი, ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო" [19, გვ. 102—103; 145, გვ. 181].

ჩვენ მიერ ივრის ხეობის ლაშარში შეკრებილი მასალები ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს. ამასთანავე, ჩანს, რომ დღევანდელი კახეთის სოფელ ყვარლის მცხოვრებნი ძირად ფშავლები (ფხოველები) იყვნენ,

გადმოსახლდნენ რა თავდაპირველად ივრის ხეობის სოფელ ყვარაში და აქ გარკვეული ხნით მოსახლეობის შემდეგ ჩასახლდნენ უფრო დაბლობში, თან გადაიტანეს გეოგრაფიული სახელიც (ყვარა — ყვარელი). ყვარადან ყვარელში მოსახლეობის ჩასახლება XV ს. პირველ ნახევარში მომხდარა. მთიელები თვით მეფეს დაუსახლებია. ბ. ლომინაძე ამ კონკრეტული ფაქტის გამო წერს: „ბარის მოსახლეობის შეთხელების გამო, მაგ., კახეთში ახალმოშენეებად სახელმწიფოს მთიდან ჩამოჰყავს გლეხობა. 1441 წლის საბუთში ალექსანდრე ამბობს: ახალი სოფელი ავაშენე, ყუარელნი და მაღაროელნი დავასახლეო" [75-ბ, გვ. 728]. სოფ. მაღაროელში კი, ალბათ, ქიზიყის სოფელი მაღარო იგულისხმება. შესაძლოა, მაღაროელში მეფემ ასევე მთიელები, ფშავლები, ჩამოასახლა მაღაროსკარიდან. მაღაროელის მსგავსად სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსით იყო ნაწარმოები თიანეთში სოფელი მაღარული [18, გვ. 355]. საერთოდ **მიგვაჩნია, რომ საქართველოში -ელ სუფიქსიანი ზოგიერთი ოიკონიმი მოსახლეობის მიგრაციის შედეგად უნდა იყოს შექმნილი.**

კახეთში სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსიანი კიდევ ერთი ოიკონიმია. ესაა ახმეტის ერთ-ერთი უბანი — **ჟალური**, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი -ელ სუფიქსით როდია ნაწარმოები, არამედ -ურ-ით. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ჟალეთი ივრის ხეობაში, ერწოსა და თიანეთს შორის. სწორედ ჟალეთიდან გადმოსახლებულებმა დააფუძნეს კახეთის სოფელი ჟალური. XVIII და XIX საუკუნეების ხალხის აღწერის დავთრების შედარება მიუთითებს, რომ მთელი რიგი გვარებისა, რომლებიც ადრე ჟალეთში (მთისწინეთი) მოსახლეობდნენ, ბარში — ჟალურში, გადმოსახლებულან და თან გადმოუტანიათ თავიანთი თავდაპირველი საცხოვრისის სახელწოდება ქართული ენის კახური დიალექტისათვის მახასიათებელი სადაურობის -ურ სუფიქსის დართვით [63, გვ. 114].

მთისწინელთა ბარში გადასახლების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა სამი ტოპონიმი **ბუშატი**: ერწოს ბუშატი, კახეთის (თელავის რ.) ბუშატი და ახმეტის ერთ-ერთი უბანი ბუშატი. ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ აღნიშნული ოიკონიმის ერწოდან კახეთში გადანაცვლებას, რაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის მიგრაციას. თელავის რაიონის სოფელ ბუშატიდან უკანასკნელ დრომდე ხალხი სალოცავად დაიარებოდა ერწოს ბუშატში (დღევანდელი ორხევის ერთი უბანი) სალოცავ **წმინდა ზაქარიას** დღეობაზე. კახეთის ეს სოფელი პირველად ალექსანდრე კახთა მეფის 1579 წ. სიგელშია მოხსენიებული [62, გვ. 48].

ერწოელი ბუშატელები ახმეტაშიც ჩასახლებულან. ტოპონიმი **ბუშატი** ახმეტაში მოსახლეობის ერწოს ბუშატიდან გადასახლების შედეგადაა წარმოქმნილი. ერწოს ბუშატიდან ახმეტის ბუშატში თავის დროზე გადასახლებულნი უნდა იყვნენ შაშიაშვილები და ონიაშვილები. მათი მიგრაციის ყოველმხრივი დამადასტურებელი არის, ჯერ ერთი, თვით ტოპონიმი, ასევე წმინდა ზაქარიას სალოცავში სიარული ერწოს სოფელ **ორხევში** (ბუშატში) და წმ. ზაქარიას ნიშის არსებობა ახმეტაში, ბუშატის უბანში, და მისდამი შაშიაშვილებისა და ონიაშვილების ყმობა.

შესაძლებელია, ერწოდან კახეთში მოსახლეობის მიგრაციას უკავშირდებოდეს ტოპონიმი **„მატანი“**, თუ მას შევადარებთ ჯერ კიდევ XII—XIII ს. ერწოში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელს: „ამატანი“ [111, გვ. 206]. მატანი პირველად 1689 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული [62, გვ. 203]. მიგრაციის შედეგად შექმნილ ტოპონიმში პირველი ბგერა დაკარგული უნდა იყოს.

ახმეტაში ერთ-ერთ უბანს ჰქვია **სათიანო**, რაც საგულისხმო ფაქტია ჩვენი კვლევის თვალთახედვით. აქ, სათიანოში, ეკუთვნოდათ მიწები თიანელებს ისტორიულად, სათიანო, ე. ი. თიანელთა ადგილი. ამ შემთხვევაში ჩვენ მოსახლეობის გადაადგილებით მიღებულ ტოპონიმთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ის მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილმდებარეობა თიანელთა კუთვნილებას წარმოადგენდა, სათიანოში დღეისათვის თითქმის მთლიანად თიანეთიდან მოსულები მოსახლეობენ, რომელთა აქ დასახლება-დამკვიდრება დაიწყო შედარებით ადრე და განსაკუთრებით XIX ს-ის ბოლოდან, ინტენსიურად კი მას შემდეგ, რაც თიანელებს აეკრძალათ მიწის ორ ადგილზე — თიანეთსა და ახმეტაში — მფლობელობა, ე. ი. XX ს. 30-იან წლებამდე. ჩანს, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, იყო რა სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით ბარზე დამოკიდებული, დაბლობში, ახმეტის უბან — სათიანოში, ირჩია ცხოვრება. ასე რომ, ახმეტის ერთ-ერთ დიდ უბანში — სათიანოში, თიანეთიდან მიგრირებულნი მოსახლეობენ.

აღნიშნული წყვილი ტოპონიმისათვის (**თიანეთი-სათიანო**) შეიძლებოდა შეგვედარებინა, აგრეთვე, **ძეგვი** და **საძეგური, ცხავატი** (დღევანდელი მთიულეთის ნაწილი) [33, გვ. 195—210] და **საცხავატლო** (არაგვის ხეობის დაბლობში), **კორინთა** და **საკორინთლო**.

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია ქვემო ქართლში სოფელ ერწოს არსებობას და იგი ერწოდან მოსახლეობის გადასახლებას დაუკავშირა, რომლის მოსაზრებას განამტკიცებდა ის, რომ ქვ. ქართლის ერწოში ჩეკურაშვილი მოსახლეობდა [24-ა, გვ. 178]. ჩეკურაშვილები კი ერწო-თიანეთში ძველთაგანვე მოსახლეობდნენ და აქვე იყო სოფ.

ჩეკურიც. ქვ. ქართლის ერწო პირველად 1523 წლის დოკუმენტშია ნახსენები [62, გვ. 78]. ნ. ბერძენიშვილმა აგრეთვე მიუთითა ქართლის სოფ. ფხვენისზე (დღევანდელი გორის რ-ში), რომელსაც ფხოვიდან გადმოსახლებულთა მიერ მოტანილ გეოგრაფიულ სახელად თვლიდა [24-ბ, გვ. 21, 364]. ფხვენისი პირველად 1689 წლის საბუთში გვხვდება. ვფიქრობთ, ფხოვიდან შიდა ქართლში მოსახლეობის მიგრაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული ოიკონიმი **აფხავი** (დუშეთის მახლობლად). ტოპონიმია **ა(?)-ფხავ-ი←ა(?)-ფხოვ-ი** გვხდება 1669 წლის საბუთში [81-ბ, გვ. 553]. ის მოხსენიებულია 1781 წლის არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერაში [110, გვ. 128], რომლის მიხედვით აფხავში ძირითადად ქარაულები მოსახლეობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ქარაულები ხევსურეთიდან არიან გადმოსახლებულები. აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი უნდა იყოს აგრეთვე ის, რომ ამ სოფელში (დღეს ნასოფლარში) არსებული სალოცავი მოიხსენიება ეპითეტით „აფხავ წმ. გიორგი — ხევსურეთიდან მობრძანებული“.

მთის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შეიქმნა ოიკონიმები XIX საუკუნეშიც. კერძოდ, ხევსურეთიდან ერწოში: **როშკა — როშკიონთსოფელი, ხევსურეთი — ხევსურთსოფელი, გუდანი — გუდანელები, ხადუ — ხადუელები; ღული — ღულელები, ბისო — ბისოველები** (სოფ. გონდაურის უბანი).

ამრიგად, გუდანიდან, ხადუდან, ღულიდან მოსახლეობის ერწოში ჩამოსახლების შედეგად ტოპონიმები შეიქმნა კვლავ -ელ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსითა და -ებ მრავლობითობის ნიშნის დართვით (ელ+ებ): **გუდან-ელ-ები, ღულ-ელ-ები, ხადუ-ელ-ები**. სამართლიანად მიუთითებს გ. ბედოშვილი, რომ ერწო-თიანეთის გეოგრაფიულ სახელებში -ებ სუფიქსი შედარებით ახალი მოვლენაა [21, გვ. 22—24]. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში -ებ ფორმანტით მხოლოდ მიგრაციაქმნილი ტოპონიმები როდია ნაწარმოები. ტოპონიმები რომლებიც, მაგალითად, -კარით ბოლოვდებოდა ახლა -ებ სუფიქსს ირთავენ, რაც, რა თქმა უნდა, აქ ასევე მთის მოსახლეობის მიგრაციას უნდა მიეწეროს. ალბათ, აღნიშნულს ნაწილობრივ გულისხმობს გ. ბედოშვილი, როცა წერს, რომ „XVII—XVIII საუკუნეებში ქართველ მთიელთა ბარად „ჩამოწოლის“ პროცესმა ერწო-თიანეთში განაპირობა ფშაური, ხევსურული და საკუთრივ თიანური გეოგრაფიული სახელების შექმნა. სახელებში ასახულია ამ ხალხთა დიალექტური თავისებურებანი. ეს დიალექტობრივი განსხვავება დღევანდელი ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში ხელშესახებია“ [21, გვ. 64]. აღნიშნული სტრიქონების ავტორს

ამ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, თუ რომელია ფშაური, ხევსურული და საკუთრივ თიანური გეოგრაფიული სახელები. ერწო-თიანეთის ტოპონიმების ამ პრინციპით დაყოფა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია და ასეთი დაყოფა, ალბათ, იმ გავლენის შედეგი უნდა იყოს, რომ აქ მართებულად გამოყოფენ ფშაურ, ხევსურულ და საკუთრივ თიანურ დიალექტებს [34, გვ. 144—165; 97].

მთიელთა მიგრაციის შედეგად შექმნილი ოიკონიმების შესახებ უნდა ითქვას, რომ როდესაც მთის ამა თუ იმ კუთხიდან რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი ჩამოსახლდებოდნენ დაბლობში, ასეთ შემთხვევაში ხშირად მიგრანტები ისეთ ტოპონიმებს ქმნიდნენ, რომლებიც ამა თუ იმ კუთხიდან წარმომავლობას ასახავდნენ და არ გადმოჰქონდათ ერთი რომელიმე სოფლის სახელწოდება. ასეთი რიგის ტოპონიმების რიცხვს მიეკუთვნება: **ფხოველი, ფშაველი, ხევსურთსოფელი, მთიული, მთიულთუბანი, თუშთსოფელი** (კახეთში მარილისის, ქაჩალაურის, მატნის და ქორდის ერთობლივი ძველი სახელწოდება) [18, გვ. 358]; **გუდამაყრები** (ტოპონიმი ქვემო ერწოში) [21, გვ. 91].

ერწო-თიანეთში მთის მოსახლეობის მიგრაციის გარდა დასტურდება ბარის მოსახლეობის მიგრაციაც, რასაც უმეტესად კლასთა ბრძოლა განსაზღვრავდა. ეს პროცესი ტოპონიმშიაც აისახა. იქ, სადაც ახლა სიონის წყალსაცავია, არსებობდა სოფ. **დიღმელაური**, რომელიც XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალებშიც მოიხსენიება. აშკარაა, რომ სოფელი დააფუძნეს ბარიდან, თბილისის სანახების სოფ. დიღმიდან, გადმოსახლებულებმა. ერწოში ჯერ კიდევ XVIII ს. პირველი მეოთხედის ხალხის აღწერის დავთარში მოიხსენიება რამდენიმე კომლი **დიღმელი** [110, გვ. 46]. ოიკონიმი ნაწარმოებია სადაურობის მაწარმოებელი ფშაური და კახური დიალექტებისათვის მახასიათებელი -ურ სუფიქსით, ისევე როგორც, მაგალითად, **ჟალური**.

ერწო-თიანეთში მოსახლეობის ადგილგადანაცვლების დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ მრავალი ოიკონიმი XII—XIII საუკუნეებისა უკვე XVIII—XIX საუკუნეებში და დღესაც აღარ გვხვდება, რაც აშკარად მიუთითებს ერწო-თიანეთის ძველი მოსახლეობის გადასახლებასა და ახალი მოსახლეობის მოსვლაზე. XII—XIII ს. ზოგიერთი ოიკონიმის დადგენა ხერხდება. ნაწილი XVIII—XIX სს -მდე არსებობდა და სახელი შეეცვალა სწორედ მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. მაგალითად, **ამატანი დღევანდელი ღულელებია, ბუშატი სოფელ ორხევის ერთი ნაწილია („ბუშატის მაღალი"), წიაბეთი დღევანდელი დორეულებია, რომელიც ჰუჰულიანთკარის სახელსაც ატარებდა XIX ს-ში, პიტლოვანი დღეს ჰქვია ადგილს სოფ. სიმონიანთხევის ჩრდ.-დასავლეთით.**

მოსახლეობის მიგრაციის შედეგადაა შექმნილი ოიკონიმი **დორეულები** ერწოში. დორეულებში გადმოსახლებულნი არიან დორეულები და ძირად დორეული ზამთარაშვილები, სისოშვილები და ზაზაშვილები. აღნიშნული გეოგრაფიული სახელის ერწოში გადმოტანა XIX ს. პირველ წლებში მოხდა. საერთოდ, ქსნის ხეობიდან მოსახლეობის ერწო-თიანეთში მიგრაცია XVIII—XIX სს. საკმაოდ დასტურდება. ჩანს, კახეთში ქსნელებიც სახლდებოდნენ. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ქსნის ხეობის „საგეოგრაფიო სახელები კახეთში მეორდება. ჩანს, დასახლება კახეთისა მარტო თიანეთის მხრიდან არ ხდებოდა" [24-ბ, გვ. 423].

**დორეულები** ერწოში ისეთი ოიკონიმია, რომელიც უშუალოდ მიუთითებს ერთი გვარის მიგრაციას: სოფელი მიგრირებული გვარის სახელს ატარებს. ასეთი სახის ოიკონიმები ერწო-თიანეთში საკმაოდაა, როდესაც მთიდან გადმოსახლებულები ახალ საცხოვრისში სოფელს გვარის სახელს არქმევენ. შეიძლება დავასახელოთ: **ძებნიაურები, ჭურჭელაურები, დულუზაურები, ზარიძეები, იარაჯულები, ჩიტაურები, ტუშურები, ჯერვალიძეები**. ქისტაურად სახელდებოდა XIX ს. II ნახევარში სოფ. ზემო ხორხი, სადაც ფშავის სოფ. შუაფხოდან გადმოსახლებული ქისტაურები მოსახლეობდნენ.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით მთასა და ბარში მრავალი სოფლის სახელწოდება ერთმანეთს ემთხვევა, რაც შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ასახავდეს სწორედ მოსახლეობის მიგრაციას, თუმცა სეხნია ტოპონიმების დამოუკიდებლივ წარმოშობაც არაა გამორიცხული. ასეთი რიგის სეხნია და მსგავს ტოპონიმებად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, **ხევსურეთის სოფელ არხოტისა** და **ქართლის სოფ. არხოტის** სახელწოდებანი. უკანასკნელი პირველად სიმონ მეფის 1559 წლის სიგელშია მოხსენიებული [62, გვ. 35]; ერწოს სოფელი **ბეწენწურები** და 1616 წ. დოკუმენტში ნახსენები კახეთის სოფ. **ბეწეწური** [62, გვ. 41]; თუშეთის **ბოჭორმა** და ერწოს **ბოჭორმა**; **წიფორი** (მთიულეთში) — **წიფორი** (ქართლში, ქვეშის ხეობაში); **იწრია** (ბაზალეთის მიდამოებში) და **იწრია** (ქვემო ქართლში, ქვეშის ხეობაში) [19, გვ. 348 და 374]; **ლოშო** (ვახუშტისეული ივრის ხეობაში; შემდეგდროინდელი **ლიშო**) — **ლიშო** (თრიალეთში) — **ლოშო** (ბაზალეთის მიდამოებში); **კურტანაძე** (პანკისის ხეობაში და ნეკრესთან); **მერეკანა** (ერწოში და თრიალეთში); სოფ. **იორი** შიდა ქართლში და ჰიდრონიმი **იორი**. სოფელი **არღუნი** (დუშეთის ჩრდ. — დას.). — ჰიდრონიმი **არღუნი** ხევსურეთში; **გომეწარი** (თუშეთსა და ე. წ. წინაფშავში); **მაღრანი** (ხევსურეთში, კახეთის გალმამხარში და არაგვის ხეობის დაბლობში). აღნიშნული სამი ოიკონიმი, შესაძლებელია სრულიად და-

მოუკიდებლადაც იყოს წარმოშობილი. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით, „მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი“. შესაძლებელია ტოპონიმი „მაღრანი“ „რ“ და „ნ“ თანხმოვნების გადაადგილების შედეგად იყოს მიღებული. სოფ. **არხოტი** არსებობდა თიანეთსა და გრდან-საგურამოში. ქართლში არსებობდა სოფელი **ხანდოეთი**. ცნობილია **ხანდო** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ჯავახეთში. შეადარე, აგრეთვე, **ხანდისი** ტანის ხეობაში. სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მთისწინეთში გვხვდება მსგავსი გეოგრაფიული სახელები, რაც საგულისხმო ფაქტი უნდა იყოს. ზემოთ დასახელებულ **ხანდოს (მთიულეთი და ჯავახეთი)** და **ბუშატს (ჯავახეთი, ერწო, კახეთი)** გარდა შეიძლებოდა დაგვესახელებინა **არტაანი (სამხრეთ საქართველო)** და **არტანი (ივრის ხეობა, თიანეთს ზემოთ)**, აგრეთვე, **პანკისი** (კახეთის ჩრდ.-დას. მთისწინეთი) და **პანკისი (სოფელი ძველ ქართულ პროვინცია კოლაში)** [85, გვ. 41]. მესხეთის რამდენიმე გეოგრაფიული (სოფლის) სახელი მეორდება შიდა ქართლში (მაგალითად, ოკამი). შესაძლებელია აღნიშნული ტოპონიმები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოსახლეობის გადმოსახლებას დავუკავშიროთ, თუ სამხრეთ საქართველოს პროვინციების ისტორიულ წარსულს გავიხსენებთ.

სოფელი **დუმაცხო** გუდამაყარსა და დღევანდელ **ხაშურის რაიონში, ალის წყალზე.**

**მანავი** გარე კახეთის გარდა არსებობდა გრდან-საგურამოში. XVIII ს. ქართლში, წილკნის მახლობლად არსებობდა სოფელი „გოგულაური“ [18, გვ. 348]. ყურადსაღები ტოპონიმი უნდა იყოს **„გოგოლაურის ნაფუძარი“** ქვემო ქართლში, რომელიც მოხსენებულია 1657 წლის დოკუმენტში [62, გვ. 56]. გოგოლაური ფშავში საკმაოდ დიდი თემი და გვარია.

სოფელი და მთა **ჰიაური** თიანეთის რ-ში ჩაბანოს აღმოსავლეთით, და სოფ. **ჰიაური** კახეთში: უკანასკნელი პირველად 1583 წლის დოკუმენტში იხსენიება [62, გვ. 264]. თიანეთის რაიონის სოფელ ჰიაურში ხევსურეთის სოფელ ჰიედან ჩამოსახლებულნი მოსახლეობენ. შესაძლებელია კახეთისა და თიანეთის აღნიშნული სეხნია ტოპონიმები (ჰია-ური) დაკავშირებული იყოს ხევსურეთის სოფელ ჰიესთან.

სამუხრანოს სოფელი **წილკანი** მთიელთა ჩამოსახლების შედეგად წარმოშობილად მიიჩნია ჯ. გვასალიამ. იგი წერს: „სავარაუდოა, რომ წილკნის თემის წარმომადგენლებმა დააარსეს ამავე სახელწოდების სოფელი (ჩანს მოსახლეობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობის ტენდენცია)“ [33, გვ. 206].

ეთნოგრაფიული მონაცემებით დილმის ხეობის მთიანი ნაწილიდან — დღევანდელ ნასოფლარ მაჩხაანიდან მოსახლეობა ქიზიყში გა-

დასახლებულა, კერძოდ მაჩხაანში. გრ. ზარდალიშვილი წერს, რომ დიღმის ხეობის მაჩხაანიდან „ძნელბედობის ჟამს მოსახლეობა კახეთში გადასახლებულა და იქ გაუშენებია ორი სოფელი: ქვემო მაჩხაანი და ზემო მაჩხაანი“ [43, გვ. 130]. ჯ. სონღულაშვილის ცნობით, XX ს. 20-იან წლებშიც კი ქიზიყელი მაჩხაანელები სალოცავად დადიოდნენ დიღმის ხეობის ნასოფლარ მაჩხაანში. როდის უნდა გადასახლებულიყვნენ ქართლელი მაჩხაანელები კახეთში? ვახუშტის დიღმის ხევზე ჯერ კიდევ აქვს მოხსენიებული სოფელი მაჩხაანი. ეს სოფელი იხსენიება 1720 წლის ერთ დოკუმენტშიც [25, გვ. 183]. ამრიგად, XVIII ს. დიღმის ხეობის მაჩხაანში, ჩანს, მცირე რაოდენობით კვლავ იყო მოსახლეობა. ქართლელ მაჩხაანელთა კახეთში გადასახლება, ალბათ, იმ დროს უნდა დავუკავშიროთ, როცა ქართლიდან ძნელბედობის ჟამს საკმაოდ იყრებოდა მოსახლეობა და კახეთს ეხიზნებოდა. გლეხების ქართლიდან კახეთში გაქცევა განსაკუთრებით გავრცელდა XVII ს. II ნახევარში [75-გ, გვ. 198]. ვახუშტის სოფ. მაჩხაანი ქიზიყში უკვე მოხსენიებული აქვს. ქართლის მთიანეთის სოფელ მაჩხაანში დღესაც კი საკმაოდ დაიძებნება ინტენსიური მეურნეობის ნაკვალევი [77, გვ 47].

ქართლელთა კახეთისაკენ მიგრაციის დროს უნდა იყვნენ გლდანის მახლობლად დღეს არსებული ნასოფლარის **ვეჟინის** მკვიდრნი კახეთის სოფ. **ვეჯინში** გადასახლებულნი. მიგრირებულებს თან წაუღიათ ტოპონიმი „ვეჟინი“ [43, გვ. 130].

მოსახლეობის მიგრაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) **ტაბარუკი** დიღმის ხეობაში და აგრეთვე ნასოფლარი **ტაბაროკები** [83, გვ. 66] ნიჩბურას ხეობაში. ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონს დიღმის ხეობაში საერთოდ არა აქვთ ნახსენები სოფელი ტაბარუკი, ე. ი. საგულვებელია იმ დროს მისი აქ არარსებობა. აღნიშნულ ხეობაში მთის მოსახლეობის (მთიულეთ-გუდამაყრელთა) ჩამოსახლება-დაფუძნება მხოლოდ XIX ს. დაიწყო [77, გვ. 45—61]. ამავე პერიოდში (XIX ს. II ნახ.) არიან ჩამოსახლებული მთიულ-გუდამაყრელები სოფ. ტაბარუკში. აღნიშნული ოიკონიმის — **ტაბარუკის შექმნა სწორედ მთიულ-გუდამაყრელთა მიგრაციას უკავშირდება.** საბა ორბელიანის განმარტებით, „ტაბარუკი — გლეხი ახალ-მოსული“. აშკარაა ამ ტოპონიმის შინაარსი: იგი შეიქმნა XIX ს. II ნახევარში მთიულეთ-გუდამაყრიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. ასეთივე წარმოშობისა უნდა იყოს ზემოთ ნახსენები ტაბაროკებიც.

მიგრაციაქმნილი ოიკონიმი უნდა იყოს, აგრეთვე **ხიზნები** დღევანდელი დუშეთის რაიონის ლაფანაანთკარის სას. საბჭოში.

უცილობლად მთიელთა ჩამოსახლების მაუწყებელნი არიან შემდეგი ტოპონიმები მცხეთის რაიონში: **ბექაურიანთუბანი** წინამძღვრი-

ანთკარში: გაბიდაურისგორა ბიწმენდთან, ბულალაურთღელე აღდგომელაანთკარში, ზარიძეანთი ხეკორძში, წითელაურის ხევი — ნუხათგვერდთან ერთვის მტკვარს, ფშავლიანთხევი ნიჩბისში [83, გვ. 43—74].

ამრიგად, აშკარაა ტოპონიმების, როგორც ისტორიული წყაროს, დიდი როლი მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად საქართველოს სინამდვილეში. წინამდებარე პარაგრაფში აისახა აღნიშნული ისტორიული წყაროს — გეოგრაფიული სახელების, როლი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის დაბლობში მიმდინარე მიგრაციის შესასწავლად. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაციის შედეგად განსაკუთრებით ბევრ ოიკონიმს უცვლია ადგილი კახეთისაკენ. კახეთში მიგრაციათა შედეგად შექმნილი ოიკონიმები, როგორებიცაა მუქუელი, ახადელი, ხორხელი, მთიული, ბუშატი... ძირითადად უნდა გაჩენილიყო XVI ს. დასაწყისიდან, როდესაც კახეთის სამეფო ყველაზე უფრო დაწინაურებული იყო ეკონომიურად და პოლიტიკურად („XVI საუკუნის კახეთი მჭიდროდ დასახლებული, კულტურული მეურნეობისა და გაცხოველებული ვაჭრობის ქვეყანა იყო. საქართველოს სხვა ნაწილებიდან აყრილი გლეხობა კახეთს აფარებდა თავს და აქვე სახლდებოდა მთელი XVI საუკუნის მანძილზე. კახეთის მოსახლეობა კი არ მცირდებოდა, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, არამედ სწრაფად მატულობდა“ [75-გ, გვ. 160]. თუმცა აღნიშნულით როდი გამოვრიცხავთ ქართველ მთიელთა დაბლობში გადასახლებას და შესაბამისად ტოპონიმების თან გადმოტანას უფრო ადრეულ პერიოდებში, თუგინდ XVI ს. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით ბახტრიონის ბრძოლის დროიდან, რის შედეგადაც ქართველმა მთიელებმა კახეთის ბარში ადრე ბოძებული საძოვრები თუ ვენახები კიდევ უფრო განიმტკიცეს და სხვაც დაუმატეს.

## § 2. საკულტო ძეგლები

მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ეთნოგრაფიულ მასალას, როგორიცაა გვართა სალოცავებისადმი დამოკიდებულება. აღნიშნული ხასიათის მასალების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი. იგი წერდა: „მოსახლეობის მოძრაობის სურათის ძებნა ძირიხატით ყველაზე საიმედო ხერხია და ეს ხერხი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, სანამ გვიან არ არის... „[24-ა, გვ. 235]. თავდაპირველი საცხოვრისიდან გადასახლებული ქართველი გლეხი ტრადიციისამებრ არ ივიწყებდა მამა-პაპათა სალოცავ ჯვარ-ხატს. ახალ საცხოვრისში გადასახლებულებს და მათ შთამომავლებს ან ძირი-სალოცავის ნიში გადაჰქონდათ თან, ან

წინაპართა სალოცავს დროგამოშვებით მიაკითხავდნენ და თუ ეს უკანასკნელი მომენტიც დროთა მსვლელობამ დავიწყებას მისცა, უკიდურეს შემთხვევაში, ბოლო ხანებამდე შემორჩენილი იყო გადმოცემა, თუ რომელი იყო ამ გვარის სალოცავი. აღნიშნული ეთნოგრაფიული მოვლენები განსაკუთრებით კარგად შემოინახა უკანასკნელ დრომდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლებულებში.

ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიგრაციული პროცესების კვლევისას ძირხატ-სალოცავებისადმი დამოკიდებულების ეთნოგრაფიულ მხარეებს ყურადღება მიაქციეს ვ. ბარდაველიძემ და თ. ოჩიაურმა. ვ. ბარდაველიძე წერდა: «По древнему обычаю, грузины во время переселений брали с собой какую-нибудь реликвию своего святилища—горсть земли, небольшой обломок с ниши, либо камушек, священную чашу или что-либо другое и помещали его на культовую «башню», которую выстроивали во имя своего исконного покровителя на новом месте жителства» [118, გვ. 8]. ვ. ბარდაველიძემ და თ. ოჩიაურმა [68, გვ. 61, 64] ხევსურეთიდან თუშეთში გადასახლების სურათი ადგილშეცვლილი საკულტო სალოცავების საშუალებით წარმოადგინეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ზეგანსა და ბარში მოპოვებული აღნიშნული ხასიათის ეთნოგრაფიული მასალით შესაძლებლობა გვეძლევა ქართველ მთიელთა ბარისაკენ გადასახლების სურათი აღვადგინოთ როგორც ჩვენთვის ძირითადად ხელშესახებ XVII—XIX საუკუნეებში, ისე წინარე პერიოდებშიც. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაციის შესწავლას ხატ-სალოცავების საშუალებით აადვილებს ლიტერატურასა და საარქივო ეთნოგრაფიულ მასალებში თითქმის სრული ზედმიწევნით ფიქსირებული საკულტო სამლოცველოები აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა კუთხეში [118, გვ. 7—9; 116, გვ. 12—40; 20].

ამდენად, მთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების ეთნოისტორიული და სოციალურ-კულტურული პრობლემების კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთური საკულტო სამლოცველოების „მოძრავ ბუნებას", ოდესღაც მიგრირებული გვარის „ძირსალოცავთან" დამოკიდებულებას, რომლებიც მეტად ხელშესახებს ხდიან მიგრაციული პროცესების ისტორიას და წარმოაჩენენ არა მარტო გადასახლების მიმართულებას, არამედ ხასიათსაც. აღნიშნული სახის ეთნოგრაფიული მასალა ხშირად ერთადერთ წყაროს წარმოადგენს შესასწავლი პროცესის ოდესღაც მომხდარი ფაქტის, განსაკუთრებით ადრეული პერიოდების სურათის აღსადგენად.

როგორც ზემოთ არაერთგზის იყო აღნიშნული, ქართველი მთიე-

ლები უმეტესწილად მთისწინეთში სახლდებოდნენ და ფშავ-ხევსურებისათვის ერთ-ერთ ასეთ გეოგრაფიულ რეგიონს ერწო-თიანეთი წარმოადგენდა. აქ მთიდან ჩამოსახლებულებს ხშირად თან გადმოჰქონდათ თავიანთი სალოცავების ნიშები. ასეთი ნიშები ერწო-თიანეთში მრავლადაა ადრე არსებული ქრისტიანული ეკლესია-სამლოცველოების გვერდით. ესენი მხოლოდ ნიშებია მთიდან ჩამოტანილი ადგილობრივი სალოცავებისა, განსაკუთრებით უკანასკნელი 3—3, 5 საუკუნის განმავლობაში და არა ძველი, ერწო-თიანეთის ადგილობრივი სალოცავები. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ცხრაკარას“ სამხრეთით, კარგა მოშორებით ამ გზის პირს რაღაც „ჯვარია“ (პატარა სამლოცველო, საუკუნოვანი ხეებით, „ხატის ტყით“ გარშემო). (ნ. ბერძენიშვილს მხედველობაში აქვს ფშავის სოფ. შუაფხოდან გადმოტანილი „იახსრის“ ნიში — რ. თ.). ასეთი „ჯვრები“ თიანეთის მხარეში სწორედ რომ უთვალავია. — ჩანს, აქ კარგად ხარობენ ქრისტიანობის ეს მოქიშპენი. მათი აღწერა-შესწავლა საყურადღებო მასალას მისცემდა ეთნოგრაფ მკვლევარს...“ [24-ა, გვ. 184].

ხშირად „ქრისტიანობის მოქიშპე“ ეს წარმართული ჯვარ-ხატები (ნიშები) ერწო-თიანეთში აგებულია ძველ ქრისტიანულ სასულიერო, თუ საერო ნაგებობათა ნანგრევებზე, რომლის შემქმნელი ძველი მოსახლეობა ისტორიული უკუღმართობის გამო გაწყდა, ან სხვაგან გადასახლდა.

ერწო-თიანეთში ფშავიდან ნამატი მოსახლეობის მიგრაციას მოწმობს აქ ფშაური ხატ-სალოცავების ნიშთა სიმრავლე. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ივრის ხეობაში, არტანსა და ყვარას შორის საერთო ფშაური სალოცავის ლაშარის ჯვრის ნიში, რომელიც, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, გადმოუტანიათ XX ს. დასაწყისში, ვინაიდან ფშავიდან ერწო-თიანეთსა და კახეთში (ყვარელში, შილდაში, ახმეტაში, მატანში...) გადასახლებულებს უძნელდებოდათ ბუდე-ფშავში, „თავლაშარში“ სალოცავად სიარული. კახელების სალოცავად სიარული ივრის ხეობის ლაშარში (ყვარას სიახლოვეს) XX ს. დსაწყისამდე გამორიცხულია აქ სალოცავის არ არსებობის გამო. ივრის ხეობასა (ერწო-თიანეთი) და კახეთში შეკრებილი მასალების თანახმად, XX ს. -მდე კახელები და ერწო-თიანეთის ფშავლობა სალოცავად ფშავის არაგვის ხეობაში დადიოდა, სადაც ივრის ხეობით გადადიოდნენ ხაშრულას ხეობითა (ივრის მარჯვენა შენაკადი) და ფადლაურას მთით. ნ. შ. ციხელაშვილი (83 წლის, სოფ. თეთრახევა, თიანეთის რაიონი, 1973 წ.) გვიამბობს: „ეგ ლაშარი განა აქ იყო, ივრის ხეობაში — არტნის თავზე. ეგეც უკანაფშავში იყო. ხევისბერმა წამოიღო ქვები. მაგის პირველი საბრძანისი ფშავშია, ეგ არის ნიში. როცა ეგ ნიში ლაშარისა ივრის ხეობაში გადმოიტანა მისრიაშვილმა დარჩიამ, მე მა-

შინ 15 წლისა ვიყავი. იქ ვერ გადადიოდნენ პირიქითა, მთებს უკანა და ბძანება არისო, მისრიაშვილმა დარჩიამ თქვა, ეგ ხატი აქ, ივრის ხეობაში უნდა იყოსო. ივრის ლაშრის ნიშის ასაშენებლად კირი სამი ურემი ჩემ მამა-ბიძებმა მისცეს. ხატხევში სახნავ-სათესი იყო მანდაური მცხოვრებლებისა და ხმარობდნენ მაგ ადგილს, მერე ლაშარ-ბატონმა დაიჭირა ეს ადგილი, შეწყვიტეს ხვნა-თესვა და თიბვა. შილდა, მატნის, ყვარლის და ახმეტის ხალხი ადრე, სანამ ივრის ხეობაში ნიშს გადმოიტანდნენ, მოდიოდნენ ყვარამდე ცხენ-ტაჭკებით, სტოვებდნენ ყვარაში, აქვე ქირაობდნენ ცხენებსა და იმათ ცხენებით გადადიოდნენ „თავლაშარში", ფშავის არაგვის ხეობაში. შილდა-ყვარლის ცხენები ნაჩვევი არ იყო და იმ მთებზე ვერ გადადიოდნენ. უკან რომ მოტრიალდებოდნენ, შეაბამდნენ თავის ცხენ-ტაჭკას და წავიდოდნენ. უფრო მაგათი გულისათვის გადმოიტანა ხატის ნიში ხევისბერმა ივრის ხეობაში — არტნის თავზე".

იგივე დაგვიდასტურეს 1976 წ. სოფ. მატანში (ახმეტის რ-ნი), მთხრობელმა ცაგოლა ხოხობაშვილმა (86 წლის): „ივრის ხეობაზე ლაშარი განა მანდ იყო; არაგვის ხეობაში იყო. ჩემს ახალგაზრდობას გადმოიტანეს. ფშავში მთელი კვირა მიდიოდნენ ხოლმე". ფშავის სოფ. შუაფხოში ბიჭურ ბადრიშვილმა (1973 წ.): „ივრის ხეობის ლაშარი ნელად გადატანილია. ჩემობას გადაიტანეს. ადრე იქ სალოცავი არ იყო"; ორხეველმა (თიანეთის რ-ნი) ესტატე მინდოდაურმა (79 წლის, 1973 წ.): „იორის ლაშარი ეს არის გადმოტანილი ნიში. წინათ ყველა არაგვზე დადიოდა. აქ ნიში გადმოიტანეს დარჩია მისრიაშვილმა და დარჩია ჯიმშიტაშვილმა".

საგულისხმოა, რომ ივრის ხეობაში, სოფ. ხატხევში, ლაშარის ჯვრის სალოცავი (ნიში) ნ. ხიზანაშვილს საერთოდ არა აქვს მოხსენიებული (იგულისხმება 1887 წ.). აქ, ამ ტერიტორიაზე ის საუბრობს მხოლოდ ე. წ. „ხატხევის მონასტერზე" (უფრო სწორედ სალოცავზე), რომელიც თამარის სახელს ატარებდა [104, გვ. 96]. მისივე ცნობით, ხატხევში თამარის ხატის ნიში ახალი გადმოტანილი ყოფილა ფშავიდან [104, გვ. 99—100]. ნ. ხიზანაშვილი იმაზედაც უსვამდა ხაზს, რომ „ხატი-ხევის დღეობას (აღდგომის მესამე დღეს იცის) ადგილობრივი ხასიათი აქვს და შედარებით ცოტა ხალხი დაიარება" [104, გვ. 100].

ნ. ხიზანაშვილის ცნობასთან დაკავშირებით ვ. ბარდაველიძე წერს: „ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ავტორი არას ამბობს ხატხევში ლაშარის ნიშის არსებობაზე. ხიზანაშვილის ნაშრომიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მის დროს (წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში) ლაშარის ხატი ხატხევში არ არსებობდა [19, გვ. 122—123]. ლაშარის ჯვრისა და თამარის ხატის შესახებ ვ. ბარდავე-

ლიძესაც ჩაუწერია: „როგორც ხევისბრები გადმოგვცემენ, ხატხევის თამარისა და ლაშარის სალოცავი ძეგლები ერთდროულად ყოფილა აგებული ʼამ 30 წლის წინათ“ [19, გვ. 122].

ეთნოგრაფიული და საარქივო მასალების თანახმად ივრის ხეობის სოფ. ხატხევში ლაშარის ჯვრის ნიშთან შედარებით ადრე გადმოუტანიათ თამარის ხატის ნიში. 1897 წ. მოსახლეობის აღწერის მასალებში სოფ. ხატხევში ლაშარის ჯვრის ნიში არ არის დასახელებული და მითითებულია მხოლოდ თამარის სალოცავი («Молельня в честь грузинской царицы Тамары») [5, № 2422]. ოიკონიმის—თვით ხატ-ხევის შექმნა, ჩვენი აზრით, თამარის ხატის ფშავიდან გადმოტანას უნდა უკავშირდებოდეს, რაც 1860—1873 წლების მონაკვეთში უნდა მომხდარიყო. 1860 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალებში ივრის ხეობის ზემო წელში სოფელი ხატხევი არ არის მოხსენიებული. 1873 წელს კი აქ ეს სოფელი უკვე აღნიშნულია ფშავიდან გადმოსახლებული ორი მაცხოვრებლით [3, № 273]. იმავე საარქივო მასალით ლაშარის ჯვრის ნიშის გადმომტანი ხევისბერი დარჩია მისრიაშვილი ფშავის სოფ. მისრიანთკარიდან ხატხევში 1891 წლის მეორე ნახევარში გადმოსახლებულ- [3, № 273] და მხოლოდ გადმოსახლების შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, გადმოუტანია მას ფშავის ცენტრალური სალოცავის—ლაშარის ჯვრის ნიში და თამარის ხატის ნიშიც ახლიდან გაუმართავს, რაც ფაქტიურად ფშავის ცენტრალური სალოცავის ადგილის შეცვლას წარმოადგენდა, თუმცა ფშავში არსებულ ძირითად სალოცავებს თავისი ფუნქცია არ დაუკარგავთ. ჩანს, თუ ხუთისმსახურნი (ხევისბერები) როგორ ცდილობდნენ უკვე XIX—XX სს. მიჯნაზე შემცირებული მრევლის შენარჩუნებას.

დაბოლოს, ჩვენს მსჯელობას ეხმაურება ა. შანიძის ცნობა, რომელსაც ივრის ხეობის ლაშარში ხალხური ლექსების ჩაწერისას უმუშავია ზემოთ მოხსენიებულ ხევისბერ დარჩია მისრიაშვილთან. მეცნიერი გვაწვდის უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას: „ეს ის დარჩიაა, რომელმაც თამარ ნეფისა და ლაშარის ნიში ჩაიტანა იორზე, რის გამოც მლოცველები დააკლდა (და ამით შემოსავალიც შეუმცირდა) ამ სალოცავებს არაგვის ხეობაში. ამაზეა ნათქვამი:

„ნუმ გასჩენიხარ დედასა, შე მისრიათ დარჩიაო,
თამარ ნეფე და ლაშარი ჩაიტანე ბარჩიაო“ [88, გვ. 580].

ზემოთ აღნიშნული ეთნოგრაფიული მასალით მთის მოსახლეობის ბარში გადასახლების ხასიათის შესახებ შემდეგი გარემოებაც იხსნება: როგორც აღნიშნული გვქონდა, ივრის ხეობის დღევანდელ ნასოფლარ ყვარადან გადასახლებულებს დაუფუძნებიათ კახეთის სოფელი ყვარელი. ვ. ბარდაველიძის ნაშრომიდან ცნობილია, რომ კახეთის ყვარელიდან და სხვა სოფლებიდან ხალხი სალოცავად დადის ივრის

ხეობის ლაშარობაზე. იგი სამართლიანად ასკვნის: „ყვარლელები იმიტომ დადიან სალოცავად ყვარას სიახლოვეს, რომ თავის დროზე ისინი აქედან (ყვარადან) არიან კახეთში გადასახლებულიო: „ჩვენი მამა-პაპანი აქედან გადმოსახლებულან კახეთში და იმიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდებაო", ამბობენ სოფელ ყვარელის მცხოვრებნი და სხვა აქ დამსწრე კახელებთან ერთად აღნიშნავენ—„აქედან წასულები რომ ვართ, იმიტომ გვამიზეზებს აქაური ხატი, ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო" [19, 102—103]. ყვარადან ყვარელში მოსახლეობა ალექსანდრე მეფეს გადაუსახლებია 1441 წ. წინარე ხანაში ბარში მოსახლეობის შეთხელების გამო [75-ბ, გვ. 728].

ყვარელი აშკარად ყვარადან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შექმნილი ოიკონიმია; მაგრამ როგორც ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ივრის ხეობაში, ყვარას სიახლოვეს, XX საუკუნემდე სალოცავის ლაშარის არ არსებობის გამო კახეთიდან მლოცველები ფშავში დადიოდნენ; ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ოდესღაც ყვარადან ყვარელში გადასახლებულების წინაპრები ძირად ფშავლები იყვნენ, გადმოსახლებულნი ფშავიდან ივრის ხეობის სოფელ ყვარაში, ხოლო აქედან შემდეგ კახეთის სოფ. ყვარელში. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მთის მოსახლეობის, კერძოდ, ფშაველების ბარში ჩასახლების საფეხურებრივ ხასიათთან (ფშავი→ივრის ხეობა→კახეთი). იმავე მიგრაციულ ტრასაზე მთიელთა ასეთი საფეხურებრივი გადასახლება გვიან პერიოდშიც დგინდება. იგივე ყვარა XX ს. შუა ხანებამდე დასახლებული იყო ფშავის სოფელ ხოშარიდან გადმოსახლებული გაბიდაურთ თემის ფშავლებით, რომლებიც (საერთოდ ივრის ხეობის ზემო წელში მოსახლენი) კახეთის სხვადასხვა სოფლებში გადასახლდნენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში მოხსენიებულ „ყვარელთა" თემის ლოკალიზაციის საკითხი. აღნიშნულ თხზულებაში ვკითხულობთ: „და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოვება ქრისტესი. ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშთა, რომელნი უკანაისკნელ იპოვნეს" (99, გვ. 88—89). ივ. ჯავახიშვილმა „ყუარელთა" თემი კახეთში დღევანდელი სოფელ ყვარელის ადგილას იგულისხმა. იგი წერდა: „ნეკ-

რესის აღმოსავლეთ-სამხრეთით დევს „ყუარელი“ მქ̄ (ცჲ ქ̄ჲ. 11. 716), რომლის (109, გვ. 47) აღმოსავლეთ-სამხრეთივე არის გავაზნი“ (მტ̄ნე. ქ̄ჲ 450—451, გვ. 228), რაც გაზიარებული და მიღებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა გ. ჩიტაიას მიერ „ყუარელთა“ თემი და „ქვეყანა“ სრულიად სამართლიანად ლოკალიზებულია ივრის ხეობის ზემო წელში [93, გვ. 60—61; 145, გვ. 181], თიანეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც დღესაც მდებარეობს სოფელი (XX ს. 40-იანი წლებიდან ნასოფლარი) ყვარა, რომელიც აღნიშნული „ყუარელთა“ „ქვეყნის“ ცენტრი უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კახეთის ყვარელი შედარებით გვიანდელი წარმოქმნილია ივრის ხეობის ყვარადან გადმოსახლებული ფშავლების მიერ, რომელთა ძირისაცხოვრებელი ფშავში, არაგვის ხეობაში, უნდა ყოფილიყო. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად დავსძენთ, რომ უკანასკნელ ხანს გამოსულ დ. მუსხელიშვილის მონოგრაფიაში „ყვარელნი“ ივრის ხეობის ძველ მოსახლეობად არიან მიჩნეულნი [66, გვ. 183]. ვფიქრობთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ყვარელნის“ ლოკალიზება ივრის ხეობის „კუდებში“ (დაახლ. დღევანდელი სოფ. ლიშოს ზემოთ) გასაზიარებელია.

ერწო-თიანეთში ლაშარის ჯვრის ნიშები სხვა ადგილებშიც გვხვდება. ისინი მხოლოდ გარკვეული მიკრორეგიონების მოსახლეობის სალოცავებს წარმოადგენენ და ისეთი ფართო ტერიტორიის მომცველი როდი არის, როგორც ზემოთ დასახელებული ლაშარის ჯვრის ნიში ივრის ხეობაში.

ლაშარის ჯვრის ნიშებია ზემო თიანეთის სოფლებში: ტუშურებსა და ალაჰანში. პირველ მათგანში ლაშარის ჯვრის ნიში მამაკაცის ქანდაკებითაა წარმოდგენილი, რომელსაც ლაშად მიიჩნევენ, ხოლო მეორე ნიში ალაჰანში გადმოტანილი და გამართულია ძველ ქრისტიანულ სასულიერო და საერო ნაგებობათა ნანგრევებზე.

ივრის ხეობა ფშაველთა ინტენსიური მიგრაციის ასპარეზი რომ იყო, ამას დოკუმენტურ. და სხვა ხასიათის ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ფშაველთა სხვადასხვა თემის სალოცავების ნიშებიც მოწმობს. ქისტაურთ თემის მიგრაციაზე ერწო-თიანეთში მიუთითებს სოფ. შუაფხოდან გადმოტანილი **იახსრის** ნიში თიანეთში, ერწოში, რომლებსაც აქ მოსახლე შუაფხოდან გადმოსახლებული ფშავლები — შუშანაშვილები, გიანაშვილები, ჯერვალიძეები, ტუშურები, ქაჩლიშვილები, ხუცურაულები, ბიჩინაშვილები, — ლოცულობდნენ. ერწოს სოფ. ტოლათსოფელში იახსარის დღეობაზე სალოცავად მოდიოდნენ როგორც ძირად ქისტაურთ თემის ფშავლები, ისე ღულელებში ხევსურეთის სოფელ ღულიდან ჩამოსახლებული ქისტაურები, თუმცა ერწოს სო-

ფელ ღულელებში ხევსურეთიდან გამოსახლებულ ქისტაურებს გადმოტანილი ჰქონდათ იახსარისა და ღულის ჯვრის ნიშები.

ივრის ხეობაში, როგორც თიანეთის მხარეში, ისე ერწოში ფშავის სოფ. ჭიჩოდან მიგრაციაზე მიუთითებს ჭიჩოელთ სათემო სალოცავის პირცეცხლის ნიშები არტანსა და მაგრანეთში. ორივე სოფელში ძირითადად ჭიჩოდან გადმოსახლებული ფშავლები მოსახლეობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ძირად ერთი თემის ფშავლები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ერწო-თიანეთის სხვადასხვა სოფლებში, მათ მთის სალოცავის ნიშები ყველა სოფელში როდი გადმოუტანიათ. ერწო-თიანეთში ფშაველთა ამა თუ იმ სათემო ხატის ნიშები მხოლოდ რომელიმე ერთ სოფელშია. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფშავის სათემო სოფ. ცაბაურთიდან თიანეთის სოფ. დულუზაურებში გადმოტანილი მთავარანგელოზის ნიში, რომლის დღეობაზედაც თავს იყრიდნენ ერწო-თიანეთის სხვადასხვა სოფლებში გადმოსახლებული ძირად გოგოჭურთ თემის ფშავლები. აღნიშნული საკულტო ობიექტის გადმოტანა დულუზაურებში ფშავიდან მოსახლეობის გადმოსახლებისთანავე როდი მომხდარა: „იქ დადიოდნენ მთაში და ძალიან ძნელი იყო რამდენიმე დღე სიარული და ეს ნიში გადმოუტანიათ აქ. თუ ძალიან დამიზეზებული არ იყო კაცი, ცაბაურთას აღარ წავიდოდა“ (ალ. ი. დულუზაური, 70 წლის 1974 წ.).

ფშაველთა წითელაურთ თემის კოტიას წმ. გიორგის ნიში სოფელ ნაკვალესავიდან გადმოტანილია ზემო თიანეთის სოფ. წიკვლიანთკარში, სადაც სწორედ ძირად წითელაურთ თემის ფშავლები მოსახლეობენ.

ივრის ხეობაში გოდერძაულთ თემის ფშაველთა მიგრაციას ადასტურებს ნასოფლარებში ხილიანასა და მგელათციხეში პირქუშის ნიშების არსებობა, სადაც ადრე მთელი ერწო-თიანეთის ძირად გოდერძაულთ თემის ფშავლები იყრიდნენ თავს.

სოფელ ლახატოშია გადმოტანილი ფშავის სოფელ გოგოლაურთიდან წმ. გიორგის ნიში. აქ მოსახლეობდნენ ძირად გოგოლაური-მგელიაშვილები.

ივრის ხეობის შენაკად ხაშრულაზე ნასოფლარ ბაჩალში არის გაბიდაურთ თემის ფშავლების სახუთმეტო ძელის ანგელოზისა და დედაღვთიშობლის სალოცავების ნიში. აქ, მართლაც, მრავლად მოსახლეობდნენ ხოშარიდან გადმოსახლებული ფშავლები. ერწო-თიანეთის სოფლებში მოსახლე ძირად გაბიდაურები ბაჩალში არსებულ ამ სალოცავში იყრიდნენ თავს: მაგალითად, ჩაბანოელი ჯიმშიტაშვილები, თეთრახეველები. ახმეტიდან ბაჩალში მოდიოდნენ ახალაურები. აღნიშნული სალოცავის ნიში არის, აგრეთვე, სოფ. ქუშხევში, რომელსაც ხალხი „გაბიდაურთ ხატს“ უწოდებს, აქვეა ხატის — პირქუშის ნიში.

უძილაურთ თემის ფშავლების სალოცავის კოპალას ნიშები ერწო-თიანეთში საკმაო რაოდენობითაა, რაც ფშავის სოფ. უძილაურთიდან მოსახლეობის მიგრაციაზე მიუთითებს. კოპალას ხატის ნიშებია ქებოტაში, ხაშარში, გოჯიანებში (გადმოუტანია ვინმე ბათაკა ჯამარაულს) და, რაც მთავარია, კოპალას სახელზე ლოცულობდნენ სოფ. გოჯიანების თავზე არსებულ დიდ სალოცავ იხინჭაში. იხინჭობა მრავალ მლოცველს იკრებდა და გადაქცეული იყო თითქმის საერთო თიანურ სალოცავად. აქვეა **ლაშარისა** და **თამარის** სალოცავთა ნიშებიც. სამივე ეს სალოცავი დაფუძნებულია ძველ ნასოფლარ-ნანგრევებზე. კოპალას ნიში გარე კახეთის სოფელ პატარძეულშიცაა.

ლაშარის ჯვრისა და თამარის ხატთან ერთად საერთო საფშავლო სალოცავად ითვლება **დამასტურის** ხატი [20, გვ. 60—62], რომლის ნიში არის სოფ. ხაიშოს (თიანეთიდან აღმოსავლეთით) თავზე. აქ, როგორც მთხრობელები ერთხმად აღნიშნავენ, ადრე ბევრი ხალხი იყრიდა თავს არა მარტო ერწო-თიანეთის სოფლებიდან, არამედ კახეთიდანაც. სალოცავი დამასტური სოფ. მატანშიც არის, რაც ვფიქრობთ, რომ გადმოტანილია არა არაუგვიანეს IV—V სს. [66, გვ. 184], არამედ 4—4,5 საუკუნის წინ (XVI ს.), მაშინ, როდესაც მატან-მარილისში ფშავლები გადმოსახლდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ტოპონიმ ქალურის შესახებ. თუმცა მთიელთა ბარში ჩამოსახლება IV—V სს. სრულიად გასაზიარებლად მიგვაჩნია.

**დამასტეს** ნიში არის, აგრეთვე, არაგვის ხეობის მთისწინეთში, სოფ. შარახევთან. დამასტეს ასე გავრცელებას, ალბათ, გარკვეულ წილად მისი ფუნქციაც განსაზღვრავდა.

მათურიდან ზურაბაულთ თემის ფშავლებით არის დასახლებული სოფ. ომარაანი ერწოში, მათაც თავიანთი სათემო ხატის — „მთავარანგელოზის“ ნიში გადმოუტანიათ. ომარაულში ფშავლების გადმოსახლების ხასიათის შესახებ კარგადაა ნათქვამი ერთ ხალხურ ლექსში: „ერთ სიტყვას ვიტყვი, ვაჟებო, ჩავაგდებ ხალხის ყურადა: ვიყიდეთ ომარაული თხუთმეტ ას თუმან ფულადა“ [იხ. ა. შანიძე, თხზ., ტ. I, თბ., 1984, გვ. 145].

ამრიგად, ერწო-თიანეთში 11 ფშაური თემიდან 10 თემის საკულტო ობიექტის ნიშია გადმოტანილი, გარდა ერთისა — უკანაფშავის თემის **წყაროსთაულის** ხატისა. აქ მოსახლე ძირად უკანაფშავლებს კახეთის სოფელ ფშაველში უვლიათ წყაროსთაულის დღეობაზე.

ერწო-თიანეთში ხევსურთა მიგრაციის დამადასტურებელია ხევსურეთიდან გადმოტანილი საკულტო ობიექტები, თუმცა ისინი ისეთი სიმრავლით არ გვხვდება, როგორც ფშაური სალოცავების ნიშები. ივრის ხეობაში ადრე გადმოსახლებულ ხევსურთაგან ყველაზე მეტი მლოც-

ველი („ყმა") ჰყოლია ხმალას ნიშს სოფ. ზენამხარში. როგორც ცნობილია, სალოცავი ხმალა ხევსურეთში სისაურთ თემის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ერწო-თიანეთში მოსახლე სხვადასხვა გვარები (გონჯილაშვილი, სისაური, მოსიაშვილი, უშიკიშვილი, პატურაშვილი, თურქიაშვილი...), რომლებიც ხმალას ნიშს ლოცულობდნენ ზენამხარეში, ძირად თავს სისაურის გვარის ხევსურებად თვლიან, რომლებიც ლიქოკიდან არიან გადმოსახლებული. დავსძენთ, რომ ხმალას აღნიშნულ სალოცავში ადრე კახეთიდანაც მრავალი გვარი მოდიოდა (ჰილაშვილი, ბასილაშვილი, ქიბროწაშვილი...). ხმალას ნიში არის, აგრეთვე, ზემო თიანეთის სოფლებში — ჯიჯეთსა და ზარიძეებში.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: სოფელ ჯიჯეთში არის სვეტიცხოვლის სალოცავი და, როგორც მთხრობელები აღნიშნავენ, „სვეტიცხოველი და ხმალა ძმები ყოფილან. თუ ზენამხარში ვერ წავიდოდით, ჯიჯეთში წავიდოდით სვეტიცხოველში". ამასთანავე, ზენამხარში ხმალას სალოცავში მიმავალთ როგორც ერწო-თიანეთიდან, ისე კახეთიდან აუცილებლად უნდა გაევლოთ ჯიჯეთში, სვეტიცხოველში, და ქადა გაეჰრათ.

რატომაა ხმალას ხევსურული სალოცავი და მცხეთაში არსებული ქრისტიანული სალოცავის სვეტიცხოვლის ნიში თითქმის ერთმანეთთან გაიგივებული? („სვეტიცხოველი და ხმალა ძმები ყოფილან"). ჩვენი აზრით, აღნიშნულ ეთნოგრაფიულ მასალაში ასახული უნდა იყოს შემდეგი მოვლენა: ადგილობრივი მოსახლეობის სალოცავი — სვეტიცხოველი როდი დაიკარგა. იგი ხევსურეთიდან მოსულმა მოსახლეობამ თავის სალოცავად აქცია. ამ შემთხვევაში ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ სვეტიცხოველს ერწო-თიანეთში საკმაოდ ჰყავდა ყმები. სალოცავ სვეტიცხოვლის ზემო თიანეთში ადრე არსებობა დოკუმენტითაც დასტურდება. 1579 წლის ერთ გუჯარში, რომელიც ჩამოთვლილია სვეტიცხოვლისადმი შეწირული და დამტკიცებული სოფლები, ზემო თიანეთის სოფელ ჯიჯეთში ნახსენებია სვეტიცხოვლის ეკლესია: „თიანეთის თავს, სოფელი ჯიჯეთი და ეკლესია სვეტიცხოვლისა და გლეხნი ბამანძურისძენი" [74; გვ. 10]. სოფელ ჯიჯეთში დღევანდელი სვეტიცხოვლის სალოცავი და 1579 წლის დოკუმენტში ჯიჯეთში მოხსენიებული სვეტიცხოვლის ეკლესია ერთი და იგივეა და იგი მცხეთის სვეტიცხოვლიდან გადმოტანილი ნიში უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ზემო თიანეთის გარკვეული ტერიტორია და აქ მოსახლენი სვეტიცხოვლისადმი იყვნენ შეწირული მეფეთა მიერ.

ივრის ხეობაში, სოფ. ლიშოში, არის ხევსურთა ბისო-ხახმატის

თემის მფარველი ღვთაების **ხახმატის** ნიში. მისი აქ გადმოტანა, როგორც ზემოთაც ითქვა, XVII ს. გადმოსახლებულ ფილაურებს მიეწერებათ. რომლებიც ხახმატელი და ბისოელი ალუდაურებისა და ქეთელაურების განაყრებად თვლიან თავს. ერთი კია, თავისი ფუნქციის (მოსავლიანობა, ნაყოფიერება) გამო ხახმატის ნიშს ლიშოში ახლო-მახლო მოსახლე ძირად არახევსური მოსახლეობაც ლოცულობს.

ხახმატის ნიში გარე კახეთის სოფ. კაკაბეთსა და ახმეტაშიცაა, სადაც იგი გადმოუტანიათ ასევე ხახმატიდან გადმოსახლებულ ფილაურებსა და ფილაშვილებს.

ერწოს სოფ. ხადუელებშია ხევსურეთის უკანხადუს თემის მფარველის **სანების** ნიში, რომელიც ხევსურეთის სოფ. უკანხადუდან ჩამოსახლებულებს ჩამოუტანიათ XIX ს. II ნახევარში.

თიანეთის სოფ. საჭურეში არის ხევსურეთის სოფ. როშკიდან ჩამოტანილი **მთავარანგელოზის ჯვრისა** და **თეთრი გიორგის** ნიშები. აღნიშნული ნიშები თავს უყრიდნენ ერწო-თიანეთში ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ წიკლაურებს. ერწოს სოფ. კვირიისხევში ჩამოუტანიათ თავიანთი სალოცავის ნიში ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ ბასილაურებსა და წიკლაურებს.

სიონში ყოფილა **კვირიას** სალოცავი, რომელიც, როგორც ცნობილია, ხევსურეთის ატაბესა და ბარისახოს თემების სალოცავი იყო. კვირიას ნიშებია, აგრეთვე, თიანეთში, სოფლებში: ჯიჯეთსა და გოჯიანებში.

ზემო თიანეთის სოფ. ჩიტაურთკარშია არაგვის ხეობის მთისწინეთიდან გადმოტანილი ბოდავის წმინდა გიორგის ნიში. აღნიშნულ სალოცავს ლოცულობდნენ ძირად ხევსურები, დღეს უკვე სხვადასხვა გვარისანი. ბოდავის წმ. გიორგის გარდა ეს გვარები, რომლებიც ადრინდელ გვარად ხორნაულ-ზარიძეს ამბობენ, მთაში **კაწალხევის მინდორჯვარსაც** ლოცულობდნენ თურმე. ვფიქრობთ, ერწო-თიანელთა საკმაოდ მრავალი გვარის აღნიშნული ორი სალოცავის ყმობაში უნდა დავინახოთ ის, რომ ხევსურეთიდან მოსულმა მოსახლეობამ შეითვისა დამხვდური ბოდავის წმ. გიორგის კულტი.

მთის მოსახლეობის ბართან ურთიერთობის თვალთახედვით საგულისხმო უნდა იყოს შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „ბოდავის წმ. გიორგის ხევსურები სდებდნენ ხელსა: ქმოსტელები, ოხერხეველები და ღელისვაკელები. ყოველ წელს საკლავით მოდიოდნენ, დროშით. იარეს, იარეს და ბოლოს ნიში მოიპარეს და იქ ხევსურეთში გაიკეთეს. ეხლა ბოდავის წმ. გიორგის ნიში შიგ სოფელშია, ქმოსტში. ეგ იყო და ეგ, ხევსურები აღარ მოსულან ბოდავში სალოცავად“ (ბოდაველი გ. ნ., 52 წლის, 1977 წ; დუშეთის რ-ნი, სოფ. ჩანადირები). სა-

ლოცავის ფუნქციის გამო მთის მოსახლეობა ბარში ჩამოდიოდა სალოცავად, რაც ისტორიულად მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. აღნიშნული ეთნოგრაფიული მასალა ნაკლებ სარწმუნო უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ ვიგულისხმოთ ბარელთა მთაში ასახლება. საერთოდ, ბარიდან მთაში საცხოვრებლად ასვლა კანონზომიერი მოვლენა არ იყო. ბარელის, თუ მთისწინელის მთაში ასვლა მხოლოდ დროებითი უნდა ყოფილიყო, რაც ხშირად ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით იყო გაპირობებული; მთაში შეხვეწილი ბარელი მალევე დაუბრუნდებოდა თავის კერას.

ერწოში ხევსურთა მიგრაციაზე უნდა მიუთითებდეს სოფ. სიმონიანთხევში **ჯაჭველის** სალოცავი. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ასეთი სახელწოდებით სალოცავი („ჯაჭველ ხმელის გორისაი") ცნობილია ხევსურეთში, როგორც შიდა სასოფლო „საძმო" თემის ქავთარ-ოჩიაურების სალოცავი.

ფშავ-ხევსურები პირდაპირ, თუ გარდამავალი ზოლის (მთისწინეთის) გავლით სახლდებოდნენ კახეთში. კახეთში მთიელთა მიგრაციას მოწმობს, აგრეთვე, აქ მთური სამლოცველოების ნიშები. ასეთ ადგილშეცვლილ საკულტო ობიექტებად შეიძლება დავასახელოთ თამარ მეფისა და ლაშარის სალოცავები და დამასტური ახმეტის რაიონის სოფ. მატანში. ლაშარის ნიში არის, აგრეთვე, ყვარლის რ-ნის სოფ. შილდაში.

ფშაური სათემო სალოცავების ნიშებიდან აღსანიშნავია: **თავადი პირცეცხლი** — ჭიჩოელთ სალოცავი ახმეტაში; **ათი** — გოდერძაულთ თემის სალოცავი ახმეტასა და საკობიანოში; **იახსარი** — ქისტაურთ თემის სალოცავი ახმეტაში — ქალურის უბანში და მატანში; **პირქუში** — გოდერძაულთ თემის სალოცავი ახმეტაში; **კოტიას წმინდა გიორგი** — წითელაურთ თემის სალოცავი სოფლებში: ბაყილოვანში, მატანსა და ახმეტაში; **კოპალა** — უძილაურთ თემის სალოცავი ჭართალასა და საფუტკრეს შუა — ილტოს ხეობაზე, ზემო ხოდაშენში, მატანსა და ახმეტის უბან სათიანოში. **წყაროსთავი** — უკანაფშავის თემის სალოცავი ხატის ნიში ლალისყურში, მატანსა და ფშაველში. ფშაველში წყაროსთავის სალოცავზე მრავალი ხალხი იყრიდა თავს თელავიდან, იყალთოდან, რუისპირიდან, ახატლიდან, ართანიდან, შილდიდან, ყვარლიდან... კახეთის სოფელ ფშაველში წყაროსთავის არსებობა მეფე ნაზარალიხანის 1691 წლის სიგელშია ფიქსირებული: „...ფშაველთ ნაცვლობა, წმინდის გიორგის წყაროსთავის დეკანოზობა მისი შეწირული ყმა და მამული უწინაც თქვენ გქონებოდათ, და ახლაც ისევ თქვენთვის გვიბოძებია, რომე არას მოურავისა და ბატონის მოსაქმეს კაცს იმ ხატის ყმასთან ჯელი არა ჰქონდეს" [74, გვ. 170]. გაბიდაურთ თემის

**ხოშარის სახუთმეტოს** სალოცავის ნიშია ახმეტაში, ჟალურის უბანში. **გოგოლაურთ წმინდა გიორგისა** — სოფ. ზემო ხოდაშენში. ამასთანავე, ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ფშაური ხატის ნიშს კახეთში თავისი ვენახი ჰქონდა, უფრო სწორედ ეს ადგილშეცვლილი საკულტო ობიექტები კუთვნილ ვენახებში იყო მოთავსებული, სადაც მოწეული ღვინო (კულუხი) მთაში ხატობებზე მიჰქონდათ.

ფშაური სალოცავების ნიშებთან ერთად კახეთში ხევსურული ნიშებიცაა წარმოდგენილი, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: **ხახმატი** — ახმეტასა და კაკაბეთში; **გუდანის ჯვარი** — ახმეტაში (ამ ხევსურული სალოცავის ნიში არაბულებს ჩამოუტანიათ); **ხმალა** — ახმეტის უბან უტოში და საბუეში (ყვარლის რ.); არდოტელთა მფარველის **ჩალაურის** ნიში — სოფ. ზემო ხალაწანში; ახმეტის რაიონის სოფ. კვერნაძეულში არის ხევსურეთიდან ჩამოსახლებული ნაროზაულებისა და ცისკარაულების მიერ გადმოტანილი **მთავარანგელოზის, მიქელგაბრიელის** და **გიორგი ჯაჭველის** სალოცავების ნიშნები. აქვეა ამღიდან ჩამოტანილი **იახსარ სვეტად ჩამოსულის** ნიში. ახმეტის რ-ის სოფ.. ასხაბარში იყო ხევსურეთის სოფ. კალოთანიდან გადმოტანილი ქიბიშაურების სალოცავის **სამება წმ. გიორგის** ნიში. ახმეტაშივეა **ბოდავის წმ. გიორგის** ნიში, რომლის თიანეთიდან გადმოსახლებული ყმები აქ საკმაოდ მოსახლეობენ.

ერწო-თიანელთა კახეთში ჩასახლების მიმანიშნებელია **ბოჰორმის წმ. გიორგის** ნიშები ქისტაურში, ზემო ხალაწანსა და ახმეტასთან, აგრეთვე, ალავერდში არის ე. წ. **ბოჰორმის მისალოცი**. გარეკახეთის სოფ. მარტყოფში არის **ბოჰორმა** (ეკლესია) და **ბოჰორმის სასაფლაო** [21, გვ. 83]. ერწოდან ახმეტის უბან ჟალურში გადმოსახლებულ ძარღვაშვილებს გადმოუტანიათ **თილთუბნის წმ. გიორგის** ნიში. ერწოს სოფ. ბუშატიდან ახმეტაში, ბუშატის უბანში, გადმოუტანიათ **წმ. ზაქარიას** ნიში და სხვ.

კახეთში, შირაქის ველზე, XX ს. დასაწყისში ჩამოსახლებულ ფშავლებს გადმოუტანიათ 11 ფშაური ხატის ნიში.

უშუალო ეთნოგრაფიულ მასალებსა და ხალხის აღწერის დავთრებთან ერთად ქართველ მთიელთა არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში გადასახლებას მოწმობენ მთური სამლოცველოების ნიშები, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. **ლაშარის ჯვრის** ნიშები არის ბიჩინგაურთკარში, დავათში, პავლეურში, ბიწმენდში... აგრეთვე, ქსოვრისში. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, პავლეურში ლაშარის ჯვრის ნიში ჩოხის კალთით გადმოუტანიათ როსტიაშვილებს; ბიწმენდში მას მამულაშვილები ლოცულობენ. ქსოვრისში კი, სადაც ლაშარის ჯვრის ნიშთან ერთად მთიულთა საერთო სალოცავის

ლომისას ნიშიცაა, ადგილობრივი მოსახლეობა ლაშარს უფრო ძლიერ სალოცავად თვლის, ვიდრე ლომისას. ვფიქრობთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვადასხვა კუთხის სალოცავთა ასეთი სიძლიერე-სიზუსტით დიფერენციაცია ქართლის ბარის ლოფელში, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქსოვრისში ადრე დასახლებული ფშავლები სჭარბობდნენ ასევე აქ დასახლებულ მთიულებს.

ხორხის ხეობის სოფ. ლაუშაშია ხევსურეთიდან, შატილის ხეობის სოფ. ჰეჰყეთიდან, გადმოტანილი ღვთისმშობლის ჯვრის ნიში, რომლის გადმომტანიც ყოფილა ვინმე თურქა ჰინჰარაული, რომლის შთამომავალნიც ახლა პაპკიაურებისა და ხახიაშვილების გვარებს ატარებენ. ხორხშივეა ხევსურთა სისაურთ თემის **ხმალას** ნიში.

მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული კვლევის თვალთახედვით ყურადღებას იპყრობს არაგვის ხეობის დაბლობის რამდენიმე სალოცავი, რომელთაგან, პირველ რიგში შევეხებით **ფშარაოს||შარაოს წმ. გიორგის**. სალოცავი **ფშარაველი** არის ბაზალეთის „ქვეყანაში“ — სოფ. ჩანადირებში. ბაზალეთიდან გადატანილი ფშარაველის ნიში არის აგრეთვე სოფ. ყვავილში. იგივე სალოცავი (შარაო) არის სოფ. ახატნის აღმოსავლეთით. როგორც ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით ირკვევა, **ფშარაო||შარაო წმ. გიორგი** არაგვის ხეობის დაბლობში რამდენიმე ადგილას მოტანილ უნდა იყოს მთიდან შედარებით ადრე (XVII ს. წინარე ხანაში) და გადაქცეული აქ მოსახლე მრავალი გვარის საერთო სალოცავად. ჩანს, როგორც ძლიერ სალოცავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან XVII—XIX სს. მოსული მოსახლეობა თავის სალოცავად იხდიდა, თუმცა თითოეულ ამ გვარს ახსოვს თავისი წარმომავლობა-სადაურობა და მთის ამა თუ იმ ხატისადმი თავისი ყმობა.

ვფიქრობთ, ფშარაო//შარაო წმინდა გიორგი არაგვის ხეობის დაბლობში მოსახლეობის გადმოსახლების შედეგად მთიდან მოტანილი სალოცავი უნდა იყოს. ფშარაოს წმ. გიორგი მთაში ორ ადგილზე დასტურდება: ერთი, ე. წ. წინაფშავის სოფ. აფშოს თავზე [20, გვ. 110] და მეორე ჰართლის სოფ. ჯულისში, იმ ქედზე, რომელიც ესაზღვრება წინაფშავის სოფ. გომეწარს და წარმოდგენილია სამონასტრო კომპლექსით (ერთი ძირითადი და ორი მომცრო ეკლესია თავისი გალავნებითა და სათავსებით). მასალების უკმარისობის გამო ამჯერად გასარკვევი რჩება, თუ სად უნდა ყოფილიყო ფშარაო წმ. გიორგის თავდაპირველი სალოცავი — აფშოსა თუ ჯულისში. ერთი რამ კი ცხადია, რომ არაგვის ხეობის დაბლობში რამდენიმე ადგილას დადასტურებული ფშარაო//შარაო წმინდა გიორგი ერთ-ერთი ადგილიდან უნდა ყოფილიყო გადმოტანილი XVI—XVII სს. წინარე პერიოდში გადმოსახ-

ლებულთა მიერ, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო დაბლობში, კახეთისა და ქართლის ბარში, უნდა გადასახლებულიყვნენ. ფშარაო//შარაო წმ. გიორგი კი, როგორც მძლავრი სალოცავი და თავისი ფუნქციით შვილიერებისა და მესაქონლეობის მფარველი, ახალმა მოსულმა მოსახლეობამ თავის სალოცავად გაიხადა მოსულისა და დამხვდურის ურთიერთკონტაქტების კვალობაზე.

ფშარაო//შარაო წმ. გიორგის ნამდვილ ყმათა ბაზალეთის „ქვეყნიდან“ და მისი მიდამოებიდან გადასახლებაზე აშკარად მიგვანიშნებს ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალა: „სოფლის (იგულისხმება ჩანადირები — რ. თ.) მახლობლად არის ფშარაველ წმ. გიორგი. ახლო-მახლო ხალხი ლოცულობს. საიდან აღარ მოდიან, კახეთიდან, გორიდან... აქედან წასული ხალხია წინათ. მე მახსოვს, მოვიდნენ, მარტყოფიდან ვართო, გორელი ვარო, ერთი იყო, გვარად მანძულაშვილი. იტყოდნენ, რომ ფშარაველ წმ. გიორგის ნიში წაუღიათ ლენინგორის მხარეზე“ (ვ. შ. ჩანადირი, 82 წლის, 1977 წ., დუშეთის რ., სოფ. ჩანადირები). 1781 წლის აღწერის მიხედვით მანძულაშვილებს დუშეთის მახლობლად სოფ. ტონჩაგრემისხევში უცხოვრიათ [110, გვ. 132].

არაგვის ხეობის დაბლობიდან გადასახლების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბოდორნიდან შერმაზანაშვილების, შიოშვილებისა და ბეჟანიშვილების ტაბახმელაში გადასახლება. ეს გვარები (რომელთა ძირი გვარია გულისაშვილი) და აგრეთვე ტაბახმელელი თათულაშვილები (ძირი გვარი — წიკლაური) ადრე სალოცავად ბოდორნის წმ. გიორგში დადიოდნენ.

მთისა და ბარის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში სალოცავ ჯაჭველის არსებობა. ჯაჭველი, რომელიც ხევსურთა ერთ-ერთი თემის სალოცავი იყო, გვხვდება ბოდავში, ბაგაში, ეთვალისში. ჯაჭველის აღნიშნულ ნიშებში შესაწირად მძიევები მიჰქონებიათ: „ომამდე ჯაჭველის სალოცავზე კახეთიდან მოდიოდა ხალხი სალოცავად დახურული, ჩარდახიანი ურმებით“. კახელები მოდიოდნენ კიდევ უნაგირა მთაზე, სალოცავ სამებაში. ეთნოგრაფიული მასალებით არაგვის ხეობის დაბლობში მოსახლე გვარები, რომლებიც ჯაჭველს თვლიდნენ მამა-პაპის სალოცავად, ძირად ხევსურები არიან.

არაგვის ხეობის მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს, აგრეთვე, სალოცავ ცეცხლიჯვრის დუშეთის მახლობლად, სოფ. არღუნში, არსებობა. ცეცხლიჯვარი ცხავატის ისტორიული თემის სალოცავი იყო არაგვის ხეობის მთაში. ამდენად, სოფელ არღუნის სალოცავ ცეცხლიჯვარში არაგვის ხეობის ბარის სოფლებიდან მოსული მოსახლეობა ადრე ცხავატიდან უნდა ყოფილი-

ყო გადმონასახლებული, რომლებსაც თან სალოცავის ნიშიც გადმოუტანიათ.

ხატ-სალოცავებისადმი დამოკიდებულების ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალა გვავარაუდებინებს, რომ რამდენიმე გვარი, რომლებიც მთიდან ჩამოსახლებულებად თვლიან თავს, ძველი ბარელები არიან; მაგალითად, ზემო ბულაჩაურში მოსახლე კავთელიშვილების ადრინდელი გვარი გიგაური ყოფილა და ქართლიდან გადმოსახლებულან. ერთი მხრივ, თავიანთი გვარის წარმოშობას უკავშირებენ ეპონიმ კავთელს, ხოლო, მეორე მხრივ, მთურ სალოცავთან ერთად ულოციათ კავთის წმ. გიორგი, რომლის ნიშიც კავთელაშვილებს პირველად დასახლების ადგილას სოფ. ლაფანაანთკარში გადმოუტანიათ და აქედან გადასახლების შემდეგ ზემო ბულაჩაურში. სავარაუდოა, რომ ისტორიული პირობების გამო კავთელიშვილების წინაპარი კავთისხევიდან მთაში, ქართალში, უნდა შეხიზნულიყო, „გამთიელებულიყო“ და შემდეგ სხვა მთიელებთან ერთად ბარში ჩამოსახლებულიყო. ამასთანავე, გამთიელებულმა კავთელიშვილებმა როდი დაივიწყეს მამა-პაპათა სალოცავი — კავთის წმ. გიორგი.

შესაძლებელია, აღნიშნული მხოლოდ დასახელებული გვარისათვის არ ყოფილიყო დამახასიათებელი და ქართლელთა კავთისხევიდან მოსახლეობის მთაში საერთო ასახლებას ჰქონოდა ადგილი, რის მომასწავებელიც უნდა იყოს კავთის წმ. გიორგის ნიშები გარდა ზემო ბულაჩაურისა, დუშეთის მახლობლად სოფ. აშსა და ხორხის ხეობაში.

მთისა და ბარის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იგივე მომენტი უნდა იყოს ასახული შემდეგში: ჩანადირებსა და არანისში მოსახლე ჭინჭარაშვილები ერთი მხრივ ხევსურეთიდან გადმოსახლებას ამბობენ, მეორე მხრივ, ქართლში გერის წმ. გიორგში დადიოდნენ სალოცავად. არანისელი ჭინჭარაშვილი გადმოგვცემს: „მამა-პაპა გუდანში დადიოდნენ. ძია მიხო იტყოდა, ქართლში, არბოშიც, დავდიოდითო. ხევსურები კი იყვნენ ძირად, მაგრამ რისთვის დადიოდნენ არბოში და საიდან იყო არბო ჭინჭარაშვილების სალოცავი, არ ვიცი“. დავსძენთ, რომ არბოში ჭინჭარაშვილების სალოცავად სიარული შეიძლება ხატის ფუნქციას განეპირობებინა.

ყველა გადმოსახლებულ გვარს როდი გადმოჰქონდა თავისი მფარველი ღვთაების — სალოცავის ნიში. მიგრანტი და მისი შთამომავალნი „თავის ღმერთს“ წინაპართა ძველ საცხოვრისში მიაკითხავდნენ, ანდა თაობიდან თაობაში ცოცხლობდა გადმოცემა, თუ სად იყო მათი „ძირი სალოცავი“. აღნიშნული რიგის მაგალითები საკმაოდ შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ საილუსტრაციოდ რამდენიმეთი დავკმაყოფილდებით. არაგვის ხეობის ბარიდან ახატნელი ხეოშვილები თავიანთი გვარის სა-

ლოცავად იხინჯას (თიანეთში) მიიჩნევენ; დავათელი ვარდიშვილები კი თიანეთთან ფშავიდან გადმოტანილ სალოცავ იახსარში დადიოდნენ; ბულაჩაურელი გვრიტიშვილები — ხანდოში და სხვ.

ლაშარის ნიში შიდა ქართლის ბარში, ქსნისა და ლეხურას ხეობების წყალგამყოფ ქედზე სოფ. ფელიანთში (დღეს ნასოფლარი, სოფ. ახალსოფლის მახლობლად) გადმოუტანიათ ლაზარაშვილებს, რომლებიც ფშავიდან გადმოსახლებულან და ახლა ლაზაროვის გვარს ატარებენ.

ამრიგად, ქართველ მთიელთა ადგილშეცვლილი საკულტო ძეგლები ერწო-თიანეთში, არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში, კახეთსა და ქართლში ყოველგვარი სხვა მასალისა და წყაროს გარეშეც ნათლად მოწმობენ, თუ რა ინტენსიური ყოფილა მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია. მთური საკულტო სამლოცველოების „მოძრავი ბუნება" ნათელს ხდის მიგრაციული პროცესების ისტორიულ ფაქტიურ მხარეს და წარმოაჩენს არა მარტო გადასახლების მიმართულებას, არამედ მის ხასიათსაც. აგრეთვე, მთური სამლოცველოების ნიშები ტოპონიმებთან ერთად გვიჩვენებს, რომ ქართველ მთიელთა ბარისაკენ მიგრაციას ადრეული ფესვები ჰქონია და ასეთი პროცესები ჩვენთვის უშუალოდ ხელშესახებ XVII საუკუნეზე წინა პერიოდში მიმდინარეობდა. ჯვარ-ხატების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში გადასახლების პროცესი ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც ეს ნაშრომის წინა თავებში სხვა წყაროების საშუალებით გვქონდა დადასტურებული.

## თავი V

# ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში გადასახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებანი

### § 1. გადასახლების მიზეზები

რა იყო ქართველ მთიელთა ბარისაკენ სწრაფვა-გადასახლების მიზეზი? გადმოსახლებულთა შთამომავლებს, გადმოცემით, ახსოვთ წინაპართა მთიდან ბარში გადასახლების მიზეზები. სადაურობა-წარმომავლობის შესახებ ასეთი გადმოცემები თითქმის ყველა გვარშია დაცული. ფშავ-ხევსურთა ბარისაკენ გადასახლების ძირითადი მიზეზი იყო ეკონომიური მდგომარეობა, შეპირობებული იქაური გეოგრაფიული გარემოთი. მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების აღნიშნულ მიზეზზე მიუთითა გ. ჩიტაიამ [90; 145; 147]. მთიდან ჩამოსახლდებოდა მხოლოდ მოსახლეობის ე. წ. ჭარბი ნაწილი, რომლის გამოკვება მთაში მოწეული მოსავლის კვალობაზე შეუძლებელი ხდებოდა. ამის დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალები ბევრი გვაქვს ჩაწერილი. მთხრობელები თავიანთი წინაპრების მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრის მიზეზად მიწის სიმწირეს, სავარგულების ნაკლებობას, ზვავებს, უგზოობას ასახელებენ.

საქართველოს მთაში ნიადაგის სიმწირესა და სახნავად გამოსადეგი მიწის სიმცირეზე მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი [108, გვ. 421]. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ბარისაკენ მიგრაციის აღნიშნულ მიზეზზე საუბრობდნენ XIX ს. II ნახევრის ავტორები: მ. მაჩაბელი [132, გვ. 242—243], ნ. დუბროვინი [128, გვ. 279—285]. ვაჟა-ფშაველა კი წერდა: „სიღარიბე ხევსურისა მეტის მეტად დიდია, მთის ხევსა და ღელეებში რაც საცოდავი სახნავი მინდვრები იყო, გამოიფიტა და მოსავალს აღარ იძლევა, ტყე გაიკაფა და სალი კლდე უაღრესად გასალდა და გატიტვლდა, რადგან საქონელს ნეკრითა ჰკვებავენ. მთის საძოვარი იმდენი არაა, რომ საქონელი შეინახონ ბლომად და იმით ირჩინონ თავი, მაშ რა უნდა ჰქნან, შიმშილით რომ არ გაწყდნენ? მეტი ჯანი არ არის, „სამშობლოს" თავი უნდა დაანებონ და ციებ-ცხელებიან ბარში ჩავიდნენ".

ეკონომიური ფაქტორებით შეპირობებული მთის მოსახლეობის ბარისაკენ გადასახლება მხოლოდ ქართული სინამდვილისათვის როდი იყო დამახასიათებელი. იგივე მიზეზი მოქმედებდა სხვა მთაბარიან ქვეყნებშიც, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიასა და ევროპაში [123; 124, გვ. 230—240; 149; 150].

საქართველოს მთიანი კუთხეები XIX ს. მეორე ნახევარში მოსახლეობის მაქსიმუმს იტევდნენ. XVII—XIX სს. ფშავსა და ხევსურეთში მოსახლეობის რაოდენობა მეტ-ნაკლებად თითქმის ერთიდაიგივე რიცხვების ფარგლებში მერყეობდა. ისევე, როგორც XIX ს., XVII—XVIII სს. ფშავში დაახლ. 4000 სული მოსახლეობდა, ხევსურეთში — 5000 [120, გვ. 245; 132, გვ. 243; 28, გვ. 151—154; 147; 81-ა, გვ. 420—421; 18]. საგულისხმოა ფშაველთა აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში განსახლების ოფიციალური მონაცემები 1886 წლისათვის. ამ დროს თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა სულ 9155 ფშაველი. თვით ისტორიულ-გეოგრაფიულ ფშავში კი 3950, ე. ი. ფშაველთა უმეტესობა (5205 კაცი) ცხოვრობდა ფშავის გარეთ. პროცენტულად ეს შეადგენს შესაბამისად 43 და 57. კერძოდ, ერწო-თიანეთსა და დღევანდელი ახმეტის მიდამოებში მოსახლეობდა 2991 ფშაველი, პანკისის ხეობაში — 256, თბილისის მაზრაში — 621, დუშეთის მაზრაში — 1261, თელავის მაზრაში — 56 [140]. XIX ს-ის II ნახევრიდან, საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრის შემდეგ, მთიელებმა ინტენსიურად დაიწყეს მთისწინეთსა და ბარში გადასახლება და ფშავ-ხევსურეთში მოსახლეობამ კლება იწყო, ვინაიდან ზემოთ დასახელებული მოსახლეობის რაოდენობაზე მეტის გამოკვება თავისი გეობოტანიკური და აქედან გამომდინარე სამეურნეო-ეკონომიური პირობების გამო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებს არ შეეძლოთ. თუმცა მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასაც ვერ გამოკვებავდა მთა, ქართულ სინამდვილეში რომ არ არსებულიყო მთისა და ბარის მრავალმხრივი, კერძოდ, სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობა [108. გვ. 421: 32: 20, გვ. 31—51].

(როგორც ფშავსა, ისე ხევსურეთში საკმაოდ მაღალი იყო სახნავსათესად უვარგისი მიწების ხვედრითი წილი. ვარგისი მიწების სიმცირის გამო მთიელები ეძებდნენ მიწის ახალ ნაკვეთებს, რასაც აღწევდნენ ახოების გატეხვით. ისედაც მცირე და მწირი მიწების თანდათანობითი ექსპლოატაცია ფიტავდა მას და ნაკლებ ნაყოფიერსაც ხდიდა.)

XIX ს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ვარგისი მიწების სიმცირე კარგად გამოაჩინა მ. მაჩაბელმა, რომელმაც იგი სამართლიანად მოსახლეობის მიგრაციის ძირითად მიზეზად მიიჩნია [132, გვ. 351—

353, 436]. მთიდან ბარში თანდათან ჩამოსვლასთან ერთად იზრდებოდა სახნავი მიწების რაოდენობა.

XIX ს. 70-იანი წლებისათვის ზემო ფშავში, შუაფხოს თემში, სახნავი მიწების რაოდენობა მთლიანი მიწების მხოლოდ 2,79% შეადგენდა, სათიბისა—1,52%, მაშინ როდესაც საძოვარი და გამოუსადეგარი მიწის ფართობი 95,6 % უდრიდა. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ე. წ. წინაფშავში, ანუ მაღაროსკარის თემში. აქ სახნავი მიწების ფართობი 6,9%-ს უდრიდა, სათიბი—2,8%, საძოვარი და გამოუსადეგარი კი 90,8%-ს.

/ხევსურეთში, ბარისახოს თემში, სახნავი მთელი მიწის 2,8 %-ს შეადგენდა, სათიბი—2,36 %-ს; შატილის თემში შესაბამისად—0,56 % და 0,77 %.

ვარგისი და უვარგისი მიწების მთისათვის დამახასიათებელი თანაფარდობა მკვეთრად იცვლება მთისწინეთში, კერძოდ, ერწო-თიანეთში, საითკენაც ძირითადად მიმართული იყო ფშავ-ხევსურთა მიგრაცია; ზემო თიანეთში სახნავ-სათესი მთელი მიწის 25,3 %-ს შეადგენდა, სათიბი —4%-ს, საძოვარი და გამოუსადეგარი მიწა—66,8 %-ს. ქვემო თიანეთში სახნავ-სათესი—33,4%-ს, გამოუსადეგარი და საძოვარი—65,13 %-ს.

ერწოს სამ სასოფლო საზოგადოებაში სახნავ-სათესი მთლიანი მიწის დაახლ. 63 %-ს უდრიდა.

განხილული მასალიდან აშკარაა, რომ მთიდან ბარში თანდათანობითი ჩამონაცვლებისას იზრდება სახნავ-სათესი მიწის ფართობი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის, რომ მთისწინეთში, — ერწო-თიანეთში, — მიწის გარკვეული ნაწილი სათავადო საკუთრებას წარმოადგენდა და აღნიშნული პროცენტული გამოანგარიშება მხოლოდ სახაზინო მიწების ფართობს ეხება.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები კიდევ უფრო აშკარავებენ ბარში სახნავ-სათესი მიწის დიდი რაოდენობით არსებობას, რაც საბოლოოდ იწვევდა როგორც მთიდან, ისე მთისწინეთიდან ბარში, კერძოდ კახეთში, მოსახლეობის სწრაფვას: ახმეტის საზოგადოებაში საკარმიდამო მიწის ფართობი უდრიდა 4,75%, ვენახ-ბაღისა—9,52%, სახნავისა—38,09%, გამოუსადეგარი—47,6%. მატან-მარალაში: საკარმიდამო—3,2%, ვენახ-ბაღი და სახნავი-სათესი ერთად—96,7%.

მ. მაჩაბელი წერდა: «Урожай в Тионетском уезде в среднем крайне мал, его не хватает на покормление жителей уезда, которые принуждены покупать хлеб. В Кахети урожай фшеницы в среднем—сам—7—8, в Панкисах—сам—6—7 в Эрцо—Тианетах—сам—4—5, в Пшавии—сам—2—4, а Хевсуретии, Тушетии и Кистетии—сам —2. Урожай ячменя несколько более чем пшеница» [132, გვ. 447].

ამასთანავე, მთაში ისედაც მცირე სახნავ-სათესი და სათიბი ფართობი ატმოსფერული მოვლენებისაგან მცირდებოდა [132, გვ. 352], რაც ამცირებდა წლიდან წლამდე ისედაც მცირენაყოფიერი ნიადაგის ნაყოფიერებას.

ამრიგად, აღნიშნული პროცენტული მონაცემების დაპირისპირებით ნათელია, თუ რა იყო მიზეზი ფშავ-ხევსურთა ბარისაკენ ჩამოსახლებისა. მთიელი იძულებული იყო, დაეთმო მთის თავისუფლება და ბარში მიწისმფლობელის (ეკლესიის, მეფის, თავადის, აზნაურის) კუთვნილი გამხდარიყო.

ქართველი მიწის მფლობელები ხელს უწყობდნენ მთიელთა ჩამოსახლებებს, რადგან საგარეო პოლიტიკური მიზეზების გამო მთისწინეთსა და ბარში შეთხელებული მოსახლეობა ინტენსიურ მიწათმოქმედებას ვეღარ ეწეოდა. მთიელთა, კერძოდ ოსთა, დაბლობში ჩამოსახლება მშვიდობიანობა-ომიანობას დაუკავშირა ვახუშტი ბაგრატიონმა. იგი წერდა: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" [41, გვ. 364]. ვახუშტის მიერ აღნიშნული მიზეზი მთიელთა ბარისაკენ გადასახლებისა მხოლოდ ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო და არა ძირითადი მიზეზი. გეოგრაფიულ-ეკონომიკურ გარემოებათა გამო გადასახლებული მთიელისათვის ბარში ადგილობრივი მოსახლეობის შეთხელებაც ხელშემწყობი პირობა იყო.

მიწის მფლობელის მიერ გლეხის მთიდან მოწვევის „ოჯერ", „უშენ" ადგილზე ერთი ეთნოგრაფიული მაგალითი (თავად ჭავჭავაძის მიერ XX ს. დასაწყისში ხევსურეთიდან მოსახლეობის მოწვევა-დასახლება) უკვე დასახელებული გვქონდა. მეფე, თუ თავადები ცდილობდნენ ერთ დროს მეურნეობრივად აყვავებული და შემდეგ ისტორიული პირობების გამო გაპარტახებული ადგილები კვლავ დაესახლებინათ ინტენსიური მეურნეობის საწარმოებლად [75-გ, გვ. 161—162, 386—387, 429, 431, 520].

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთა ბარისათვის მოსახლეობის კვლავწარმოების საუკეთესო წყაროს, ქართველი ხალხის დემოგრაფიული წონასწორობის საშუალებას წარმოადგენდა: ბარის შეთხელებულ მოსახლეობას დროდადრო მთიელები ავსებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მთიდან მოსულები ძირითადად ისწრაფოდნენ მეფის ან საეკლესიო მიწებზე დასახლებულიყვნენ. მას შემდეგ, რაც მთიელთა მიერ ერწო-თიანეთში გადასახლების შედეგად XVII—XVIII

სს. საეკლესიო და სახასო მიწები დასახლებულ იქნა, მათ დაიწყეს თავადთა მიწებზე დაფუძნება. ეთნოგრაფიული დაკვირვება ცხადყოფს, რომ ადრე ჩამოსახლებული გვარები სახასო და საეკლესიო მიწებზე დამკვიდრდნენ, ხოლო შედარებით გვიან, განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან, მოსულებს სათავადო მიწებზე უხდებოდათ დასახლება. მსგავს მოვლენებს ჰქონია ადგილი XVI—XVII სს. საქართველოში, როდესაც ძირითადად კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე გაქცეული გლეხი დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში, ერთი კუთხიდან — მეორეში, „უკეთეს ბატონს" ეძებდა და ასეთ უკეთეს ბატონად მათ ეკლესია და მეფე ესახებოდათ, რომელთა სამფლობელოებში ყმობა სათავადოებთან შედარებით უფრო ასატანი იყო [75-გ, 221]. XIX ს. სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით იოლი იყო, ვიდრე საბატონო გლეხებისა [75-დ, გვ. 154].

მთიელთა საეკლესიო მიწებზე დასახლებისაკენ სწრაფვა ზოგიერთ დოკუმენტშიც აისახა. 1798 წ. ერთი წყალობის წიგნით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II გიგაურებსა (ხევსურეთიდან ან ქართლიდან ჩამოსახლებულებს) და მათ შვილებს ასახლებს ამოწყვეტილი კაცის სახლკარზე: „ვინაითგან მოხვედით და ჩვენს ყმობას გვევედრენით, ვისმინეთ ვედრება თქვენი და შეგწირეთ ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიასა და გიბოძეთ ჩუენის ყმის ამოწყვეტილის კაცის ყიულაშვილის მამული..." [81-ბ, გვ. 1041].

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და საეკლესიო მიწები XIX ს. შუა ხანებისათვის ძირითადად უკვე ათვისებული იყო, იმდენად დიდი იყო ბარის სამეურნეო-ეკონომიკური მიზიდულობის ძალა, რომ ქართველი მთიელები აღნიშნული დროიდან საკმაოდ სახლდებიან სათავადო მიწებზე.

ეთნოგრაფიული მასალებით XIX ს. II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან (განსაკუთრებით ფშავიდან) მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლებულები ყიდულობდნენ მიწებს, თავად იქცეოდნენ მიწისმფლობელებად, რაც კაპიტალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის ეკონომიკურად დაწინაურებული მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე, რომლებიც ფშავში „ქევხას" სახელით იყვნენ ცნობილი და ცხვრის თუ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკმაო რაოდენობას ფლობდნენ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ არტნელი ქეშიკაშვილების მიერ XX ს. დასაწყისში ზემო ხოდაშნის მახლობლად სოფ. კალოთანაში ვინმე წერეთლისაგან სახნავ-სათესისა და ტყის შესყიდვა. ასევე შეიძლება ითქვას ხევსურ წიკლაურებსა და ნაროზაულებზე, რომლებსაც იმავე დროს, იმავე პიროვნებისაგან სოფ. ბაკანაში შეუძენიათ

სახნავ-სათესი და ტყე. ქეშიკაშვილები შემდეგ საცხოვრებლად ზემო ხოდაშენში გადავიდნენ, წიკლაურები და ნაროზაულები კი წითელწყაროს მახლობლად სოფ. უზუნდარაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მთასა და ბარს შორის ოდითგანვე მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა. არ ჰყოფნიდათ რა ადგილზე მოწეული პურეული, მთიელები მას ბარში ყიდულობდნენ, ან მეცხოველეობის პროდუქტებზე ცვლიდნენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, „საქართველოს ჩრდილო ზოლის მთა სურსათის მხრივ, ეკონომიკურად ბარზე იყო დამოკიდებული" [110, გვ. 421]. ფშავ-ხევსურეთის ბარზე ეკონომიური და აქედან გამომდინარე პოლიტიკური დამოკიდებულება კარგად ჰქონდა შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს: „და ვინაითგან ფრიად მაგარ არს ქუეყანა ესე და უბრძოლველ მთითა, და კლდითა, და ტყითა, ამისთვის იმყოფებიან მშვიდად და სიმწრისათვის მონებენ ვისაცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ" [41, გვ. 530].

ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებიც მოწმობენ, რომ ქართველ მთიელებს და მათ სალოცავებს საქართველოს ბარში ადრიდანვე ეკუთვნოდათ ბაღ-ვენახები [117], სახნავ-სათესები, საძოვრები. აღნიშნულ ვითარებაზე ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა ვახუშტი ბაგრატიონი. კახეთის მეფე ლევან II-ს (1520—1574) აღუთქვამს ქართველი მთიელებისათვის, რომ მათი ცხვარი ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე გამოიზამთრებდა კახეთში: „არამედ ამას წინათ კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი, და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯვარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა" [42; გვ. 573].

აღნიშნული თვალსაზრისით აქვე შეიძლებოდა გაგვეხსენებინა ე. თაყაიშვილის მიერ ქვაზე ნაწერი ქარაგმებისაგან ამოკითხული ერთი გუჯარი, რომელიც არჩილის კახეთში მეფობის დროს (1664—1675) ეკუთვნის, რითაც მეფე აძლევს (თუ უმტკიცებს?) ქართველ მთიელებს შირაქს, სოფ. ხორბალოს, ბახტრიონს... „თავისი სახნავ-სათესით". ამ მხრივ საინტერესო მასალა გამოაქვეყნა ვ. ბარდაველიძემ [20, გვ. 40—51]. ასევე ითქმის ბარელთა შესახებაც, რომელთა ცხვარიც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ატარებდა ზაფხულს. ამის გამო იყო, რომ ქართველი მთიელები ყოველთვის თავგამოდებით იბრძოდნენ ბარში შემოსული მტრის წინააღმდეგ, რაც კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და რის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დაგვესახე-

ლებინა 1659 წლის ბახტრიონის ეპოპეა, როდესაც მთიელთა (თუშ-ფშავ-ხევსურთა) ლაშქარმა კახეთი და მისი კულტურული მეურნეობა გადაგვარება-ამოვარდნისაგან იხსნა.

ზემოთ არაერთგზის მითითებულ (ქართველ მთიელთა ბარში მიგრაციის ძირითად მიზეზთან (სამეურნეო-ეკონომიური) ერთად შეიძლება სხვებიც დაგვესახელებინა) მეზობელ არაქართულ ეთნიკურ ერთეულებთან ორმხრივი მტრობა-თავდასხმები, (ხალხური სამართლის ისეთი ფორმები, როგორებიცაა მესისხლეობა და თემიდან მოკვეთა) ამ მიზეზებით გამოწვეული მთიელთა ბარში ჩამოსახლების შემთხვევები საკმაოდ ბევრი გვაქვს ველზე დამოწმებული. კონკრეტული მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

(ზემოთ დასახელებულ მიზეზებს გარდა ქართველ მთიელთა მთისწინეთსა და ბარში მიგრაციას განაპირობებდა, აგრეთვე, კულტურულ-ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელმაც შედარებით გვიან, XX ს., იჩინა თავი.

ამრიგად, 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მთისწინეთსა და ბარში გადასახლების ძირითადი მიზეზი იყო სამეურნეო-ეკონომიკური პირობები, მთაში მეურნეობის ფართოდ წარმოების შეზღუდულობა.

2. მეორეხარისხოვანი და არა განმსაზღვრელი მიზეზები იყო: მეზობელ არაქართულ ეთნიკურ ერთეულებთან ზოგჯერ არაკეთილმეზობლური ურთიერთობა, მესისხლეობა, თემიდან მოკვეთა და სხვ.

3. მთიელთა ჩამოსახლების ხელისშემწყობად გვევლინება მტერთა ხშირი თავდასხმები, რაც მთისწინეთსა და ბარში ადგილობრივი მოსახლეობის გაწყვეტას იწვევდა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ კი დაუსახლებელ ტერიტორიებზე მთიელთა ჩამოსახლებას თითქმის აღარაფერი ეღობებოდა წინ. ასეთ შემთხვევაში ქართველი მიწისმფლობელები ხშირად თვითონ გადმოდიოდნენ მთიელთა გადმოსახლების ინიციატორებად.)

## § 2. მთიელთა ჩამოსახლების ორი ფორმის შესახებ

მთის მოსახლეობის მიგრაციების წარსული პროცესების ისტორიული, დემოგრაფიულ-ეთნოგრაფიული კვლევა მოსახლეობის გადაჯგუფების სტრუქტურისა და დინამიკის შემდეგ სურათს გვაძლევს:

როგორც ზემოთ არაერთგზის იყო მითითებული, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლება არსებული წყაროების მეოხებით ხელშესახები ხდება XVII ს-დან. მთიელთა გადმოსახლება გრძელდებოდა მთელი XVIII—XIX და

XX საუკუნეების მანძილზე, ე. ი. მოიცავდა სამ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, თუმცა როგორც ზემოთაც არაერთგზის აღინიშნა, საგულვებელია ქართველ მთიელთა დაბლობში მიგრაცია XVII ს. წინარე ხანაშიც. ამასთანავე, მარქსისტული მეცნიერების მიხედვით, მოსახლეობის ადგილგადანაცვლება ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის არის დამახასიათებელი [8, გვ. 567—571].

განსხვავდებოდა თუ არა თავისი ხასიათით ქართველ მთიელთა დაბლობში ჩამოსახლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით?

გ. ჩიტაიამ დაადგინა, რომ ქართველ მთიელთა ზეგანსა და ბარში გადასახლება ორნაირი ხასიათის იყო: **გაჟონვითი** და **ჯგუფური**[147]. რა ხასიათისაა, კერძოდ, XIX ს. მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ჩამოსახლება?

ჩანს, გადასახლების გაჟონვითი, თუ ჯგუფური სახეები დროის მოვლენებთან შეფარდებით გვევლინებიან. ამ შემთხვევაში შევჩერდებით ხევსურთა ჩამოსახლების ხასიათზე. XVII—XVIII სს. და XIX ს. I ნახევარში ეს გადმოსახლებანი ძირითადად გაჟონვით ხასიათს ატარებდა. მხოლოდ ბუნებრივად ნამატი მოსახლეობა გადმოდიოდა საცხოვრებლად ზეგანსა და ბარში. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ხევსურეთის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ერთი და იმავე რაოდენობის ფარგლებში მერყეობდა (დაახლ. 5000 კაცი).

XIX ს. მეორე ნახევრიდან მოსახლეობის გადმოსახლებამ ხევსურეთიდან ინტენსიური ჯგუფური სახე მიიღო. 1873 წ. 23 კომლი გადმოსახლებულა (ამავე დროს ხევსურეთში ფაქტიურად არ ცხოვრობდა ჩაწერილი 79 კომლი 347 სულით) [132, გვ. 343]. ჩვენი გამოანგარიშებით 10 წლიან პერიოდში (1850—1860 წწ.) ერწო-თიანეთში 1187 სული ხევსური დასახლკარდა [2, № 248, 248 ა], ხოლო 1886 წლის კამერალური აღწერით ამ წელს იმავე დასახელებულ რეგიონში, ერწო-თიანეთში, 73 ოჯახი ჩამოსახლებულა [4, № 1727—1761]. 1873 წ. ხევსურეთში 4867 კაცი მოსახლეობდა [132, გვ. 338—339], 1926 წ. მონაცემებით კი აქ ეს რიცხვი 3472-მდე დავიდა [57, გვ. 17], ე. ი. ამ ხნის განმავლობაში ხევსურეთის მოსახლეობას დაახლოებით 25 %-ით დაუკლია.

რა იყო აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი? რატომ შეიცვალა XVII—XVIII საუკუნეებისა და XIX ს. I ნახევრის ხევსურეთის მოსახლეობის გაჟონვითი მიგრაცია ინტენსიური ჯგუფური გადასახლებებით?

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად მოსახლეობის გადასახლება მასობრივ ხასიათს იღებს

[10, გვ. 649—704]. XIX ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა [75-დ, გვ. 40—120], რაც თანდათან უფრო გაძლიერდა XIX ს. II ნახევარში და რამაც მოსახლეობის შინაგანი მიგრაციები გააცხოველა [105; 143, გვ 82—88]. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაშიც XIX ს. II ნახევარში შეიჭრა კაპიტალისტური ელემენტები. არა მარტო ბარად, არამედ მთაშიც, მაგალითად, ხევსურეთში, გაჩნდნენ მცირემიწიანები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ირღვეოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საუკუნეების განმავლობაში არსებული მიწათმფლობელობის წესი [132, გვ. 373—374, 379—381]. მიწათმფლობელობის წესის რღვევა იწვევდა უმიწო და მცირემიწიან გლეხთა რაოდენობის ზრდას და ზოგიერთი კომლის მიერ სახნავ-სათესისა თუ სათიბ-საძოვრების დიდი რაოდენობით ხელში ჩაგდებას. სწორედ ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას უნდა მივაწეროთ ხევსურეთიდან (და არა მარტო ხევსურეთიდან) მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში ჯგუფური გადასახლებანი, რისი შედეგიც იყო, მაგალითად, ხევსურთა მიერ ერწოთიანეთში ათეული ახალი სოფლის შექმნა.

შეიმჩნევა ერთი გარემოება: მართალია, ფშავლები XIX ს. მეორე ნახევარში საკმაოდ დიდი რაოდენობით ჯგუფურად სახლდებიან ერწოთიანეთში და ქმნიან ახალ სოფლებს, მაგრამ ამ დროს მათი ჯგუფური გადასახლება ხდება უფრო დაბლობში, ბარში, შუალედური რგოლის გავლის გარეშე. მაგალითად, ასე არიან ისინი გადასახლებული პანკისის ხეობის ბარში და ახმეტის სანახებში. ფშაველთა ბარში ჯგუფურად ჩასახლების ნათელი მაგალითია მათი შირაქში დასახლება-დაფუძნება XX ს. დასაწყისში. ასეთსავე მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მთიულ-გუდამაყრელთა იმავე შირაქსა და ქართლში (განსაკუთრებით ქვემოთ ქართლში — ალგეთის, კავთურას, ხეკორძულას, ვერესა [76, გვ. 130—132] და დიღმის [77, გვ. 45—46, 53, 61] ხეობებში) ჩასახლება.

ამრიგად, **საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან შესაბამისობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ფშაველთა, ხევსურთა, მთიულ-გუდამაყრელთა) მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ფეოდალიზმის პერიოდში (XVII—XVIII სს. და XIX ს. I ნახევარი) ის ძირითადად გაფანტული ხასიათის იყო, ხოლო კაპიტალიზმის დროს (XIX ს. II ნახევარი — XX ს. 20-იან წლებამდე) კი თავს იჩენს მთიელთა ინტენსიური ჯგუფური ხასიათის გადასახლებანი.**

XIX ს. II ნახევარსა და XX ს. 20-იან წლებამდე მონაკვეთისათვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, გადმოსახლებულ მთიელთა მიერ

მთისწინეთსა და ბარში მიწების შესყიდვა. ეს განსაკუთრებით ითქმის საშუალო და მეტი შეძლების მთიელებზე, რომლებსაც მეცხოველეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად მიწის შესყიდვისათვის აუცილებელი თანხა ჰქონდათ დაგროვილი. ფშავში ასეთი პიროვნებები „ქევხას“ სახელით იყვნენ ცნობილი.

საყურადღებოა, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მიმოხილული და შესწავლილი მთის მოსახლეობის მიგრაციები ძირითადად სტიქიურ ხასიათს ატარებდა. სოციალიზმის წინა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისათვის მთლად უცნობი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის გეგმიანი, ორგანიზებული გადასახლებები ერთი ადგილიდან მეორეზე. მიგრაციის ორგანიზებული ფორმა მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი და განპირობებულია ადამიანის ბედსა და ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვით.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევის პერიოდისათვის მთიელთათვის დამახასიათებელი გადასახლებანი მთაში სოფლების გაუკაცრიელებას, მოსახლეობის მიერ სოფლის მთლიანად მიტოვებას როდი იწვევდა. მთისწინეთსა და ბარში საცხოვრებლად მიდიოდა მხოლოდ მოსახლეობის ნაწილი; ნაწილი კი ადგილობრივ აგრძელებდა ცხოვრებას, ოღონდ კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დროს ეს გადასახლებანი უფრო ხშირი და ინტენსიური იყო. ამდენად, როგორც ფეოდალიზმის, ისე კაპიტალიზმის პერიოდებში მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციას მთის სოფლის დაკარგვა არ გამოუწვევია.

## თავი VI

# ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებულთა კულტურულ-ისტორიული ადაპტაციის საკითხები

ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, როგორც აღინიშნა, მოსახლეობის გადასახლების შემდეგ და შედეგად ყოფასა და კულტურაში მომხდარი ცვლილებები, ადაპტაციური მოვლენები და ეთნიკური პროცესების შესწავლა აინტერესებს. თუმცა გადასახლების თანმხლები ეთნიკური პროცესების კვლევას ჩვენი თემა გამორიცხავს, რადგან შესწავლილი გადასახლებანი ერთ ეთნიკურ გარემოში მიმდინარეობდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მთიელთა ბარში გადასახლებანი უფრო კრავდა, ადუღაბებდა ოდითგანვე ჩამოყალიბებულ ქართულ ეთნიკურ ერთობას.

### § 1. სამეურნეო-გეოგრაფიული არეების დახასიათება

ვადასტურებთ რა მთის მოსახლეობის მიგრაციის საფეხურებრივ ხასიათს, მიზანშეწონილად ვცანით იმ გეოგრაფიული ერთეულების დახასიათება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, საიდანაც და სადაც მიმდინარეობდა აღნიშნული პროცესი. ეს სამი გეოგრაფიული ერთეულია: მთა, ბარი და მათ შორის მოქცეული მთისწინეთი. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ სამი ზონის გასამიჯნავად ერთადერთ კრიტერიუმს არ წარმოადგენს ზღვის დონიდან სიმაღლე, ოროგრაფია.

ვახუშტი ბაგრატიონისათვის მთა იყო ის გეოგრაფიული ერთეული, სადაც ვაზი არ გვარობდა, რასაც ივ. ჯავახიშვილიც იზიარებდა. მოგვიანებით ქართველმა ეთნოგრაფებმა, კერძოდ გ. ჩიტაიამ, გამოყვეს თითოეული რეგიონისათვის მახასიათებელი სამეურნეო-ყოფითი, სოციალური ცხოვრების ნიშნები და მთასა და ბარს შორის გამოიკვეთა შუა ზონა — მთისწინეთი. მიგვაჩნია, რომ დასახელებულ ზონებს შორის გასამიჯნავად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული მათგანის ეთნობოტანიკურ, აგრობოტანიკურ და მეურნეობრივ-საწარმოო ნიშან-თვისებებს.

მთაში უაღრესად შეზღუდული იყო სახნავ-სათესი ფართობი. ამასთანავე, მთის ნიადაგი რიგი მიზეზის გამო (რელიეფის სირთულე, კლიმატი, ნიადაგის ხშირი ეროზია) მნიშვნელოვნად მცირე მოსავალს (ქერი, ჭვავი) იძლეოდა. სჭარბობდა რა მთაში სახნავ-სათეს ფართობს სათიბ-საძოვარი, ამის გამო აქ მეურნეობის დაწინაურებულ დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა, რომელმაც ისტორიულად განსაკუთრებით სრულყოფას მიაღწია (ხევსურეთში — ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობა, თუშეთში — მეცხვარეობა, ფშავში — მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა). მთის პირობებისათვის უცნობი იყო ვაზისა და ხილის კულტურა. მთაში არც იმ მარცვლეული კულტურების მოყვანის შესაძლებლობა არსებობდა, რომლებიც მთისწინეთსა და ბარში მოჰყავდათ. ამასთანავე, მთაში მოწეული პირნახული ხშირად დამწიფებას ვერ ასწრებდა, რის გამოც მთიელი ვერ იყენებდა მარცვლეულის გასალეწ ისეთ საშუალებას, როგორიცაა კევრი. აგრეთვე, აღნიშნული მიზეზის გამო მთიელი არ იცნობდა ვერტიკალურ საცხობს — თონეს (ყოფაში იყო ე. წ. „ღუმელი"). მთისთვის დამახასიათებელ შრომის იარაღებს შორის შეიძლება დავასახელოთ შედარებით მარტივი ტიპის, მაგრამ ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებთან შეფარდებული სახვნელი იარაღი („კავწერა"). იმავე გეოგრაფიულ-რელიეფური პირობების გამო მთა არ იცნობდა გორვის პრინციპებზე დამყარებულ საზიდ საშუალებას — ბორბლიან ურემს და იყენებდნენ მხოლოდ სრიალის პრინციპზე აგებულ ტრანსპორტს — მარხილს. მთამ ისტორიულად შექმნა თავისი ეკოლოგიური სისტემები. მთისათვის დამახასიათებელ შინაურ ცხოველთაგან შეიძლება დავასახელოთ ადგილობრივ პირობებთან უაღრესად შეგუებული ისეთი ჯიშები, როგორებიცაა ხევსურული ჯიშის ძროხა და თუშური ჯიშის ცხვარი. აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში მეცხვარეობის უაღრესად დაწინაურებისა და მაღალი კულტურის მაჩვენებელია ის, რომ ცხვრის დოლის ეთნოგრაფიული ვადები ხელოვნურადაა შემუშავებული. დოლის ვადის რეგულირების საქმეში ადამიანის ჩარევამ ხელი შეუწყო მეცხვარეობის მაღალი ფორმის — საიალაღო მესაქონლეობის, სელექციისა და სარძეო მეურნეობის განვითარებას.

ბარისათვის მახასიათებელ მნიშვნელოვან ეთნობოტანიკურ მოვლენას წარმოადგენდა უაღრესად განვითარებული და დაწინაურებული ვაზისა და ხილის კულტურა (მრავალი ჯიშით), განვითარებული მემინდვრეობა მაღალჯიშიანი ენდემური მარცვლეული კულტურებით (მაგალითად, ხალხური სელექციის საუკეთესო ნიმუში დოლის პური). ბარის რელიეფზე, მთისაგან განსხვავებით, მემინდვრეობაში გამოიყენენებოდა რთულ გარემო პირობებს მორგებული დიდი ქართული გუთა-

ნი, რომელშიც გამწევ ძალად 8—9 უღელს აბამდნენ და რომელთანაც დაკავშირებული იყო შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა მოდგამი (მონდავი). შრომის პროცესებთანავე იყო დაკავშირებული მრავალფეროვანი პოლიფონიური სიმღერები. ბარში დიდი რაოდენობით მოწეული სრულად დამწიფებული პირნახული კევრის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. აქვე ყოფაში იყო ვერტიკალური საცხობი — თორნე, რომელიც გარკვეული პურის ჯიშებს ახლდა თან. ბარისავე დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ელემენტი იყო ქართული ორბორბლიანი ურემი თავისი ორი სახესხვაობით (საბარო, საძნე). მიუხედავად მიწათმოქმედების უაღრესი დაწინაურებისა, ბარში გარკვეული ადგილი ეჭირა მსხვილფეხა მესაქონლეობას, მეცხვარეობას და, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქ დამხმარე ხასიათი ჰქონდათ. ხანგრძლივი ისტორიული ხალხური სელექციის შედეგად ბარში ყოფაში იყო ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს შეგუებული საქონელი. ამ მხრივ ბარი ხასიათდებოდა, აგრეთვე, გამწევ ძალად ხართან ერთად კამეჩისა და ცხენის გამოყენებით.

საქართველოს სინამდვილეში ზემოთ დასახელებულ ორ გეოგრაფიულ ზონას შორის გამოიყოფა ე. წ. გარდამავალი ზონა, მთისწინეთი, რომელიც თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული თვისებებით მთისა და ბარის მახასიათებელი სამეურნეო-საწარმოო შერევის არეალს წარმოადგენდა. მთისწინეთის რელიეფი შეიცავდა რა ბევრ ადგილს, დავაკებას და კლიმატითაც ისეთი მკაცრი არ იყო, როგორც მთა, საკმაოდ მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი მემინდვრეობა (დოლის პური და დიკა) იმავე შრომის იარაღებით, რაც მემინდვრეობას ბარში ახლდა. მთისწინეთი იცნობდა ხილის კულტურას და ზოგიერთ ადგილას მევენახეობასაც კი. აქვე თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული მეცხოველეობას. ბარისა და მთისათვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ მოვლენებთან ერთად მთისწინეთისათვის დამახასიათებელი იყო მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ელემენტები, როგორებიცაა გარდამავალი ტიპის სახვნელი იარაღი, ე. წ. ორხელა და აჩაჩა გუთანი; აგრეთვე, მთისწინეთის დახრილი ფერდობებისათვის მორგებული გორვისა და სრიალის პრინციპებზე დამყარებული სატრანსპორტო საზიდი საშუალება ბოლოთრია ურემი.

ზემოთ დასახელებული თითოეული რეგიონისათვის დამახასიათებელი სხვა ეთნოგრაფიული მომენტებისათვისაც შეიძლებოდა გაგვესვა ხაზი. მაგალითად, მატერიალური კულტურა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი: მთაში ვერტიკალურ ჭრილში ერთ ჭერქვეშ მოქცეული სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი, ბარში კი ჰორიზონტალურ განფენილობაში. მთისთვის დამახასიათებელი იყო მცირე

ზომის, ე. წ. ბუჰულა წისქვილი, ბარისათვის კი დოლაბი-წისქვილი, მთისწინეთში — ერთიც და მეორეც.

ზონალურ პრინციპს დამორჩილებული აღმოჩნდა, აგრეთვე, სარწყავი მიწათმოქმედება და საირიგაციო ტექნიკა. როგორც სპეციალური შესწავლით არის გარკვეული, ზონალური თავისებურებანი აღმოაჩნდა საქართველოში სარწყავ მიწათმოქმედებასაც. ბარის სარწყავ მიწათმოქმედებასთან ერთად საქართველოში დადასტურებულია წინამთისა და მაღალი მთის სარწყავი სისტემები.

მთისწინეთი საშუალო რგოლს წარმოადგენდა, აგრეთვე, მთასა და ბარს შორის მოსახლეობის სიმჭიდროვისა და სოფელთა სიდიდის მიხედვით.

მთისა და ბარის ზონები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების თვალთახედვითაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთაში ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა, ამ უკანასკნელმა აქ ისეთი სრული სახით გავრცელება ვერ პოვა, როგორც ბარში. მთიელთა რწმენა-წარმოდგენები შეიცავდა წინაქრისტიანულ, ე. წ. წარმართულ ელემენტებსაც, წარმოდგენილი იყო სინკრეტული სახით, თუმცა მთაში მცხოვრებს თავი ისეთივე ქრისტიანად წარმოედგინა, როგორც ბარელს.

ვერტიკალური ზონალობის პრინციპი თავის დადასტურებას პოულობს ბოტანიკურ რეალობაში.

ამრიგად, საქართველოში ვერტიკალური ზონალობის მიხედვით სამი ძირითადი რეგიონის გამოყოფის საშუალება გვეძლევა: მთა, მთისწინეთი (ზეგანი) და ბარი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვერ გავიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მთისწინეთის ზონის წარმოქმნა საქართველოში მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების უშუალო შედეგია (ი. უთურაშვილი), თუმცა ის კი გასაზიარებელია, რომ XIX ს. მეორე ნახევრიდან ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ უფრო ნათლად გამოკვეთა თითოეული ზონა მათთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ნიშნებით [92; 95; 30; 31; 27; 79; 53; 54; 134ა].

## § 2. ჩამოსახლებულთა დასახლების ხასიათი

ეთნოგრაფიული დაკვირვებისა და კვლევისათვის საყურადღებოა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლებულთა განსახლებისა და დასახლების საკითხები. როგორც ირკვევა, ფშავ-ხევსურეთიდან მოსულები ცდილობდნენ, ნათესავ-ბიძაშვილების გვერდით დასახლებულიყვნენ. აქედან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში დასახლება მონო-

გენური (ერთი გვარით დასახლებული) ხასიათისაა. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ ისტორიულად საქართველოში ერთი გვარით დასახლებული სოფლები უნდა არსებულიყო [107]. ასეთი სახის სოფლების არსებობა ჩვენთვის საინტერესო რეგიონებშიც დასტურდება. ამ მხრივ ახალ გარემოში დასახლებულები ძირითადად ტრადიციას აგრძელებენ. ასეთი რიგის სოფლებად შეიძლება დავასახელოთ: ჯერვალიძეები, ჩიტაურები, იარაჯულები, ძებნიაურები, ჰურჰელაურები, თეთრაულები, დოლეულები, ჩანადირები და სხვა მრავალი.

მთის მოსახლეობის მიგრაციათა შედეგად შექმნილი ერთი გვარით დასახლებული სოფლები დღეისათვის წმინდა სახით აღარაა წარმოდგენელი, რაც განსაკუთრებით დაირღვა უკანასკნელი 50—60 წლის განმავლობაში, მაგალითად, ზესიძეობის ინსტიტუტის შედეგად.

ზოგიერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი თემის, ერთი ხატის ყმებით დასახლებულ სოფლებთან. ასეთი მაგალითები ზემოთ ბევრი გვქონდა დასახელებული, როცა გადმოსახლებული მთიელი თავის თანამეთემესთან, თუ ხატის ყმის გვერდით სახლდებოდა. ხევსურეთიდან გადმოსახლებულები ერთ სოფელში სახლდებოდნენ, ფშავიდან გადმოსახლებულები — მეორეში და ა. შ. თუმცა საკმაო შემთხვევებიც დასტურდება ხევსურთა და ფშაველთა, აგრეთვე, მთიულ-გუდამაყრელთა, თუ საქართველოს სხვა კუთხიდან მოსულთა თანაცხოვრებისა.

ამრიგად, ახალ საცხოვრებელ ადგილას მოსული მთიელი ცდილობდა, დასახლებულიყო ძმის, ბიძაშვილის, მოგვარის, თანამეთემის, თუ თავისი კუთხის წარმომადგენლის გვერდით, რაშიც ჩანს ადამიანის მისწრაფება ძველი თანაცხოვრების წესის გაგრძელებისა. ასეთ დასახლებას აპირობებდა, აგრეთვე, ჩამოსახლებულთა კოლექტიური ფსიქოლოგიური თავისებურება, რომელიც მათ ჩამოუყალიბდათ ძველ საცხოვრისში ხანგრძლივი დროით ცხოვრებისა და შრომის, სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის საერთო საფუძველზე.

ბარში დასახლკარებული ქართველი მთიელების განსახლებაში ერთი შემდეგი გარემოებაც შეინიშნება, თუმცა იგი შედარებით გვიანდელი, XX ს. პირველი სამი ათეული წლის, მოვლენაა: ივრის ხეობის ზემო წელიდან კახეთში გადასახლებული ფშავლების ადგილას ხევსურები სახლდებიან. ვფიქრობთ, მთისწინეთის შედარებით რთულ რელიეფიან ადგილებში დასახლება მათ ადრინდელი საცხოვრისის ანალოგიას უქმნიდა. ეს გარემოება, კომპაქტურ დასახლებასთან ერთად, ქმნიდა ახალ ბუნებრივ-სამეურნეო არეალში მთიდან მოტანილი ეთნოგრაფიული ელემენტების შედარებით შემონახულობას. ამასთანავე, აღნიშნული,ალბათ, ხევსურეთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციის შედარებით კონსერვატიულობით უნდა აიხსნას. ხევსურეთიდან მოსახ-

ლეობის მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლება, ფშავთან შედარებით, ოდნავ განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. ფშავიდან მოსახლეობა უფრო თამამად გადმოსახლდებოდა, ვიდრე ხევსურეთიდან. გადმოსახლებული ხევსურები ცდილობდნენ, მთისწინეთში ისეთ ადგილებში დასახლებულიყვნენ, რომელიც რაღაცნაირად თავდაპირველი საცხოვრებლის ანალოგიას შეუქმნიდა. ასეთი გარემო კი XX ს. პირველ სამ ათეულ წელს ფშავლების მიერ მიტოვებული ივრის ხეობის ზემო წელი იყო. უწინარეს ყოვლისა, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ მთიელის უცებ ბართან შეუგუებლობა, ადამიანის ფიზიოლოგიური მექანიზმის ადაპტაციის პრობლემა ახალ გარემოსთან, რაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მთიელთა გადასახლების საფეხურებრივ ხასიათსაც აპირობებდა.

ხევსურების მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის არაინტენსიურობა, ფშავლებთან შედარებით, შესაძლებელია იმ ეთნოგრაფიული მოვლენით აიხსნას, რომელიც აქ არსებობდა. როგორც ლიტერატურაშია მითითებული, ხევსურეთში ახდენდნენ მოსახლეობის რაოდენობის ლიმიტირებას. ხევსურები ჩვეულებრივ თავს იკავებდნენ მრავალშვილიანობისაგან, ხელოვნურად იშლიდნენ მუცელს [88, გვ. 120; 45; გვ. 124—146]. აქედან გამომდინარე მოსახლეობის მატება ისეთი სწრაფი ტემპით არ ხდებოდა, როგორც, მაგალითად, ფშავში. თუმცა „ნამატი" მაინც იყო და ის ზეგანსა და ბარში მიდიოდა საცხოვრებლად.

## § 3. სამეურნეო ადაპტაცია

აღმოსავლეთ საქართველოს მთა, ზეგანი და ბარი მჭიდრო სამეურნეო-კულტურულ კავშირურთიერთობაში იყვნენ და მთისწინეთისა და ბარისაკენ გადმოსახლებულთათვის მთლად უცხო როდი იყო ახალი გეოგრაფიული გარემოს სამეურნეო ეთნოგრაფიული წესები. მთიელი სწორედ იმიტომ ჩამოსახლდებოდა, რომ მას იზიდავდა ბარის მეურნეობა, მიწათმოქმედება. ამავე დროს, მთის პირობებში მიწათმოქმედება ჩამორჩენილ და პრიმიტიულ დონეზე როდი იდგა, არამედ გეოგრაფიული პირობების შესაბამისად სოფლის მეურნეობის ეს დარგი მეურნეობის კულტურის თვალსაზრისით იქაც საკმაოდ განვითარებული იყო. ზემოთ ისიც ითქვა, რომ მთიელი თავისუფლების დაკარგვასაც არ ერიდებოდა და ბარში მიწათმფლობელს ეყმობოდა.

ქართველი მთიელების ნაწილი ნაუცბათევად როდი გადმოსახლდებოდა ზეგანსა და ბარში. გადმოსახლებული მთიელი ზოგჯერ ახალ საცხოვრისში დამკვიდრებამდე ორ ადგილზე იჯდა: ზაფხულში — მთაში და ზამთარში — ბარში და შესაბამის მეურნეობასა და შინამრეწვე-

ლობას მისდევდა. ამიტომ გადმოსახლებული უკვე კარგად იცნობდა მთისწინურ და ბარულ სამეურნეო ყოფასა და კულტურას.

გადმოსახლებული მთიელები იცნობდნენ და სწავლობდნენ ადგილობრივი პირობების შესაბამის სამიწათმოქმედო კულტურების მოყვანას, მიწის დამუშავებას, მოსავლის აღებას და ლეწვას დიდი ქართული გუთნით, კევრით... პურს აცხობდნენ თორნეში და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ჩამოსახლებული ქართველი მთიელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობასა და კონტაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსახლებული ასე თუ ისე იცნობდა ახალი საცხოვრისის სამეურნეო გარემოს, მას ამ მხრივ მაინც სჭირდებოდა ურთიერთობის დამყარება და სამეურნეო გამოცდილების გაზიარება დამხვდურ მოსახლეობასთან.

ირკვევა, რომ იშვიათ შემთხვევაში მთიდან მოსული იყენებდა მთურ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (მაგალითად, აჩაჩა სახვნელს), თუმცა ამ შემთხვევაში მის ქცევას გამართლება ეძებნება, რადგან ის სახლდებოდა მთისწინეთის ისეთ ადგილებში (ფერდობებზე, მთის ძირებში), რომლებიც აღნიშნული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. შემდეგ კი თანდათანობით დაკვირვების შედეგად, გადმოსახლებული, თუ კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, სწორ ადგილზე გადაინაცვლებდა და იყენებდა გეოგრაფიული გარემოს შესატყვის სახვნელ იარაღს და სხვ.

ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად როგორც მთისწინეთში, ისე ბარში ჩამოსახლებული მთიელები მაშინვე ითვისებდნენ ისეთ ქართულ ხალხურ სატრანსპორტო საშუალებას, როგორიცაა ორბორბლიანი ურემი, აგრეთვე, ბოლოთრია.

მთიელ ჩამოსახლებულებს მიეწერება ერწო-თიანეთსა და არაგვის ხეობის მთისწინეთში, მართალია, შედარებით მოგვიანებით, მაგრამ მაინც, მებაღეობა-მეხილეობის აღდგენა. ჩანს მეურნეობის ეს დარგი დასახელებულ რეგიონებში მთიელთა მოსვლამდე (XVII ს-მდე) საკმაოდ დაწინაურებული იყო, რასაც გაველურებული ხილის ტყეები მოწმობს. როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული, ვენახ-ხილიანი არე ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ რეგიონებში ჩრდილოეთით ვრცელდებოდა ერწო-თიანეთში, არაგვის ხეობაში ბაზალეთის მიდამოებში გრემისხევამდე და ნარეკვავის ხეობაში უქანამდე და ებნისჰილურთის ქვემოთ [108, გვ. 312—313]. ამ გეოგრაფიულ რეგიონებში XVII—XIX სს. მიმდინარეობდა ქართველ მთიელთა ჩამოსახლებანი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ დასახლებულმა მთიელებმა, რომლებსაც ზოგიერთ მიკრორეგიონში არ დახვდათ ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობა, რის გამოც ამოვარდნილი იყო მეურნეობის ტრა-

დიციული დარგები, მათ შორის, მევენახეობა, ვერ შეძლეს მეურნეობის ამ უკანასკნელი დარგის აღდგენა.

ერწო-თიანეთსა და არაგვის ხეობის. მთისწინეთში მევენახეობა რომ თავის დროზე შესაბამის სიმაღლეზე უნდა მდგარიყო, ამას მოწმობს აქ ტყეებში გაველურებული ვაზის ნაშთები (საყურადღებოა, რომ არაგვის ხეობის სოფელ წიფრანში ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზეც კი არის ველური ვაზი შემორჩენილი), მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტების სიმრავლე, როგორიცაა ქვიტკირის საწნახელები, ქვევრები... ყოველივე ეს ტრადიციის გაწყვეტაზე მიუთითებს. ვფიქრობთ, რომ მთისწინეთის დასახელებულ გეოგრაფიულ ერთეულებში გავრცელებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ პირობებს შეგუებული, შედარებით სუსხიანი კლიმატის ამტანი ვაზის ჯიშები. ძველი მთისწინური ვაზის ჯიშების დაკარგვას კი ისტორიულმა პირობებმა შეუწყო ხელი. მთისწინეთის ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობა გარკვეული ხნით აღარ იყო. ახალი მოსახლეობა მთიდან კი უკვე მაშინ მოდიოდა, როცა მევენახეობის ადგილობრივი სამეურნეო ტრადიცია გაწყვეტილი იყო, როცა აქ ადრე მაცხოვრებელი მოსულს უკვე აღარ ხვდებოდა. 2—3 საუკუნის განმავლობაში კი მთიდან მოსულმა მოსახლეობამ ვერ შეძლო ისეთი უაღრესად კულტურული სასოფლო-სამეურნეო დარგის სელექცია, როგორიცაა ვაზი.

რაც შეეხება კახეთსა და ქართლის ბარში მოსულ მთიელებს, ისინი დასახლებისთანავე ითვისებდნენ მევენახეობა-მეხილეობის ტრადიციულ დარგებს. ახმეტის რ-ის სოფ. ვეძებში გადმოსახლებულ მთიელებს სპეციალურად ადგილობრივი მაცხოვრებლები დაუქირავებიათ, კვლები გაუჭრევინებიათ და ვაზი ჩაუყრევინებიათ, რაც, რა თქმა უნდა, მოსული და დამხვდური მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული კავშირების შესახებ კომენტარს არ საჭიროებს.

ასევე მეზობლად მოსახლე ადგილობრივი კახელებისაგან ეზიარნენ მევენახეობის კულტურას შირაქში ჩასახლებული მთიელები. მთხრობელ გ. ქავთარაძის (85 წლის, სოფ. ზემო ქედი, 1974 წ.) ვენახი 40 წლისაა. იგი მოგვითხრობს: „პირველად მე გავაშენე ვენახი, მის მერე ჩაყარა ხალხმა. ვთქვი, ერთი ვცდი, როგორი გამოვა. 15 ფუთი პური მივეცი ამ მიწის დამუშავებაში. ფეხით დავაბარინე კახელებს; ჩავყარე ვაზი და რაღაც გამოვიდა. მერე სხვებმაც დაიწყეს. რქა, მეგობარი მყავდა ქიზიყში, იქიდან მოვიტანე: იმან მასწავლა ესე უნდა გააკეთოო და ვისწავლე ვაზის მოვლა იმისგან". ყოველივე ეს მიუთითებს ჩამოსახლებულთა საყურადღებო კონტაქტზე სამეურნეო და ყოფითი ჩვევებით განსხვავებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ზეგანში გადმოსახლებული ფშავ-ხევსურები უფრო ავითარებდნენ

მეცხოველეობას. აქ დასახლებული მთიელები განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან ავითარებენ როგორც მსხვილფეხა მესაქონლეობას, ისე მეცხვარეობას. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მიწათმოქმედებას უპირატესობა ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოში კაპიტალიზმის სწრაფად წინსვლის პერიოდში წარმოქმნილ თითოოროლა ბევრი ცხვრის ბატრონს.

ხევსურეთიდან ჩამოსახლებულები კვლავ ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობის ტრადიციული დარგით იყვნენ დაკავებული, ისევე როგორც თავდაპირველ საცხოვრისში. იგივე შეიძლება ითქვას ფშაველთა შესახებაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერწო-თიანეთში მოსულთაგან XIX ს. II ნახევრიდან დაწინაურდნენ მსხვილი მეცხვარეები (ნადირაშვილები, ყაყიჩაშვილები, ზურაბაშვილები, შუშანაშვილები...), რომელნიც ცხვრის ორ ათეულ ათასზე მეტ რაოდენობას ფლობდნენ [100, გვ. 153—161].

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მეღორეობას არ მისდევდნენ, რაც რელიგიური მოტივებით იყო განპირობებული. დღეისათვის, რამდენადაც აღნიშნული მოტივის საფუძველი მოსპობილია, იმდენად მთიდან მოსულები ერწო-თიანეთში, არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში, კახეთში, შირაქში ფართოდ მისდევენ მეღორეობას და მას განსაკუთრებული ადგილი უკავია მცხოვრებთა პირად მეურნეობაში. ამას გარდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ილ. ჰყონია, მთიელთა (ჩამოსახლებულთა და ადგილზე დარჩენილთა) მიერ მეღორეობაზე გადასვლა განაპირობა, აგრეთვე, მატერიალურმა დაინტერესებამ. იგი ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს [101], ე. ი. რეალურმა მატერიალურმა სინამდვილემ, ოჯახის განვითარებისათვის მნიშვნელოვანმა ეკონომიურმა საშუალებამ, დაჩრდილა ძველი დროისათვის მთიელთათვის დამახასიათებელი რწმენაწარმოდგენებიდან გამომდინარე მეღორეობის მეურნეობაზე უარის თქმა.

მეღორეობაზე გადასვლა მთიდან მოსულმა მოსახლეობამ დაიწყო XX ს. 20—30-იანი წლებიდან, რაც ძირითადად შეეხებათ გვიან (XIX ს. II ნახევრიდან) გადმოსახლებულებს. უფრო ადრე, XVII—XVIII სს., დასახლებულები კი XIX ს. შუა ხანებშიც ფართოდ მისდევდნენ მას.

ჩამოსახლებულმა მთიელებმა თავდაპირველად მხოლოდ ღორის გამოზრდა-მოშენება დაიწყეს; თვითონ არ ჭამდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც მთხრობლები იტყვიან, „ოჯახისათვის „ქოსმანად“ დაიწყეს ღორის გაზრდა“.

ერწო-თიანეთში, არაგვის ხეობის მთისწინეთში, სადაც ფშავ-ხევსურები იყვნენ გადმოსახლებული, შესანიშნავი პირობებია მეღორეო-

ბის განვითარებისათვის, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მუხითა და წიფლით, პანტითა და მაყალოთი მდიდარი ტყეები. XIX ს. II ნახევრიდან ჩამოსახლებულმა ფშავ-ხევსურებმა მეღორეობაზე გადასვლა დაიწყეს აქ უფრო ადრე გადმოსახლებული მთიელებისა და ქართლ-კახეთიდან გადმოსახლებულთაგან. XIX—XX სს. მიჯნაზე ერწოთიანეთში განთქმული მეღორეები იყვნენ: ყურშავიშვილები (XVII ს. მთიულეთიდან მოსულები), ფაშურიშვილები (ხევსურეთიდან, XVII ს.), გონჯილაშვილები (ხევსურეთიდან, XVIII ს.), უშიკიშვილები (ხევსურეთიდან, XVIII ს.), ფიცხელაურები (ხევსურეთიდან, XVII ს.), ჯამარაულები და ჯიმშიტაშვილები (ფშავიდან).

ამრიგად, ახალ გარემოში მთიდან მოსულები ეზიარნენ და განავითარეს მეცხოველეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მეღორეობა, რომელიც მთაში მათთვის უცხო იყო, მთისწინეთსა და ბარში კი ამას უაღრესად დიდი სამეურნეო ეფექტი ჰქონდა.

## § 4. რელიგიურ-სოციალური ადაპტაცია

რა ცვლილებების წინაშე გვაყენებს მთისწინეთსა და ბარში ზემოთ დადასტურებული ქართველ მთიელთა დაახლ. ორნახევარი-სამი საუკუნის მიგრაციის ისტორია რწმენა-წარმოდგენების, რელიგიის განხილვის დროს? ცნობილია, რომ შესწავლილი რეგიონები როგორც მთის, ისე მთისწინეთისა და ბარისა გარდა სამეურნეო-ეკონომიური, სოციალური და სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ რელიგიური მსოფლმხედველობით. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისთანავე სამეფო ხელისუფლებამ ბრძოლა დაიწყო მთაში მის შესატანად, ეს ბრძოლა მხოლოდ ამ უკანასკნელის ფორმალური გამარჯვებით დამთავრდა და ქართველი მთიელები უკანასკნელ ხანებამდე ფაქტიურად სინკრეტული, წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები იყვნენ.

რელიგიური ინსტიტუტების შესწავლა იმ რეგიონებში, სადაც ზემოხსენებული ტერიტორიულ-ისტორიული ჯგუფების წარმომადგენლები ჩამოსახლდებოდნენ, ცხადყოფს, რომ მთიელებს თან მოჰქონდათ რთული სინკრეტული რწმენა-წარმოდგენები და მისი ბევრი ელემენტი ბოლო დრომდე ჰქონდათ შემონახული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოსახლებულთა რელიგია გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა დამხვდურ მოსახლეობასთან კონტაქტების შედეგად.

ზემოთ მიმოხილული გვქონდა, რომ გადმოსახლებულებს თან მოჰქონდათ მთური საკულტო სამლოცველოების ნიშები ახალ საცხოვრებელ ადგილას და ეს ხშირ შემთხვევაში მიგრაციათა შესწავლის საშუ-

ალებადაც გვევლინება. როგორც სამართლიანად მიუთითებენ [19, გვ. 174; 70], ნიშების გადმოტანა ზეგანსა და ბარში ხშირად ქრისტიანული სამლოცველოების (რა თქმა უნდა, არამოქმედის და დანგრეულის) ნაგებობებზე ხდებოდა. თუმცა ნიშის ასეთი დაფუძნება საეროს ნაგებობებსა და ხეთა კორომებზეც ხდებოდა. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დროინდელი პირუკუ პროცესი შეინიშნება: თუ მაშინ წარმართული სალოცავების ადგილას ქრისტიანულ სამლოცველოებს მართავდნენ, XVII—XIX სს. პირიქით, ქრისტიანულ ეკლესიებზე (მაგრამ, ხაზს ვუსვამთ, არამოქმედზე, ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის გაწყვეტისა, თუ სხვაგან გადასახლების შედეგად) მთურ ჯვარხატთა ნიშებს აღმართავდნენ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს თ. ოჩიაური, ამ ფაქტში ჩვენ დამხვდური სალოცავისადმი ქედის მოხრაც უნდა დავინახოთ [70, გვ. 7].

თ. ოჩიაურის დაკვირვებით, გასულ საუკუნეში ჩამოსახლებული მთიელები ერწო-თიანეთში არ ცნობდნენ ადგილობრივი, ქრისტიანული ეკლესიის ნორმებს და კვლავ აგრძელებდნენ საკუთარი წარმართული ჯვარ-ხატების სამსახურს [70, გვ. 7]. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ასეთივე პროცესთან გვქონდა საქმე უფრო ადრე (XVII—XVIII სს.) მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლებულ მთიელებთან. დღეისათვის კი ახალი ცხოვრების გავლენით გადმოსახლებულ მთიელებში თითქმის სრულ დავიწყებას მიეცა ის ძველი წარმართული ხატ-მსახურების ყველა ელემენტი, რა თქმა უნდა, იმ მომენტის გათვალისწინებით, რომ ქრისტიანული რელიგიის რწმენასაც ასეთივე ბედი ეწია ბარსა და მთისწინეთში. თ. ოჩიაურის სამართლიანი შენიშვნით, ერწო-თიანეთში ადგილშეცვლილი საკულტო სამლოცველოები თითქმის მთლანად დაცლილია ძველი ხატ-მსახურების შინაარსისაგან და თუ დღეს სადმე მოქმედებს ასეთი ჯვარ-ხატების ნიშები, მათ მხოლოდ გართობის, დროსტარების, ხალხის, განსაკუთრებით ნათესავ-თანამოგვარეთა ერთად თავშეყრის ფუნქციაღა აკისრიათ [70, გვ. 7]. იგივე შეიძლება ითქვას კახეთში, არაგვის ხეობის მთისწინეთსა და ბარში მთიდან გადმოტანილ საკულტო სამლოცველოებზე.

საგულისხმოა, რომ XVII ს. ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ ფილაურების მიერ გადმოტანილ ხახმატის ნიშს დროთა განმავლობაში დაუკარგავს თავისი ის ფუნქცია, რომელიც მას ხევსურეთში ჰქონდა [70, გვ. 7]. აღნიშნულის მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ეს ნიში დაუფუძნებიათ ისეთ მიკრორეგიონში, სადაც ასევე საქართველოს მთიდან მოსული სხვა კუთხის წარმომადგენლები ჰარბობდნენ. დასახელებული სალოცავისათვის ახალი, ბარისათვის ნიშანდობლივი, თუმცა ახლა მთლად შინაარსისაგან დაცლილი ფუნქციები მიუნიჭებიათ.

ახალ გარემოში „რწმენის შესუსტებას თან სდევს დღესასწაულის რელიგიური ელემენტების შესუსტება და ხშირ შემთხვევაში გაქრობა. ეს მოვლენა საერთოდ იგრძნობა მთლიანად ღვთაებათა კულტის მიმართ. ცვლილებები, რომელიც ამ მხრივ მოხდა, თავს იჩენს სახატო ნაგებობათა კომპლექსის, ხატის მსახურთა ინსტიტუტის, დღეობათა რიტუალის და სხვა წესთა ურთიერთშედარების დროს" [70, გვ. 7].

მთიდან გადმოსახლებულთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ეთნოგრაფიულ სპეციფიკას კარგად ასახავს XVII ს-ის რამდენიმე საბუთი. 1669 წლის „წილკნის ღვთისმშობლის საწყსოს სიგელში" ვკითხულობთ: „ქაისხეველებს იმიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წყინობდნენ"... [81-ბ, გვ. 553]. აშკარაა, რომ არაგვის ხეობის მთისწინეთში — ქაისხევში (რომელიც წილკნელი ეპისკოპოზის სამწყსოში შედიოდა) XVII ს. II ნახევარში ძლიერი იყო წარმართული ელემენტები, რის გამოც ისინი ყოველგვარ საეკლესიო გადასახადს ერიდებოდნენ. ეთნოგრაფიული დაკვირვებით კი ჩანს, რომ სიგელის შედგენის დროისათვის ქაისხევის მოსახლეობა მთიდან იყო მოსული, ძირითადად ხევსურეთიდან (ქაისხევში ძირადხევსურები, შემდეგ უკვე სხვა გვარების მატარებელნი მესამე თავში ბევრი დავასახელეთ), სადაც რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში სინკრეტიზმის ელემენტები დიდხანს შემორჩა. XVI—XVII სს. მთიდან მოსული მოსახლეობა ინარჩუნებდა წარმართულ კულტმსახურებას, არ იხდიდნენ წილკნელი ეპისკოპოსის გადასახადებს და არც ქრისტიან მღვდელთმსახურებს უშვებდნენ ქაისხევში. საბუთიდან აშკარაა, თუ როგორ ცდილობდა XVII ს-ში მთიდან მოსული მოსახლეობა, შეენარჩუნებინა თავდაპირველი საცხოვრებლისათვის მახასიათებელი რელიგიური წესები. ამგვარი მოვლენა ხანგრძლივი დროის პროცესი იყო, თუმცა საბოლოოდ ჩამოსახლებულთა „მოქცევა" გარდუვალი ხდებოდა, რასაც აჩქარებდა მთიელთა სწრაფვა საეკლესიო მიწებზე დასასახლებლად. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ამ საბუთით მთლად კლასობრივი ბრძოლის სურათის დანახვა (შ. მესხია, ბ. ლომინაძე, დ. მეგრელაძე) ერთობ გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

თითქმის იგივე ვითარება არის ასახული 1685 წლის საბუთში — „აღთქმის წიგნი მარილელთა ნიკოლოზ ალავერდელისადმი" [81-ბ, გვ. 586], საიდანაც ირკვევა, რომ კახეთის სოფლის — მარილისის მცხოვრებნი აღუთქვამდნენ ალავერდელ ეპისკოპოსს, რომ დღეის ამას იქით თავიანთ სოფელში აღარ დაუშვებენ წარმართულ კულტმსახურებას, შეინახავენ მარხვას და სხვა. დავსძენთ, რომ კახეთის სოფელ მარილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფშავიდანაა გადმოსახლებული.

XVII ს. კიდევ ერთ დოკუმენტში [62]საუბარია იმაზე, რომ მთიულებმა (მთიული იყო სოფელი ახმეტის სამხრეთით, სადაც მთიულეთიდან გადმოსახლებულები მოსახლეობდნენ) პირობა მისცეს ალავერდელ ეპისკოპოსს, რომ აღკვეთდნენ მარხვის ჭამას, ცდუნების შემთხვევაში კი გაუმხელდნენ.

მთიდან ბარში ჩამოსახლებულთა ეთნოგრაფიული ყოფის, კერძოდ, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დამოკიდებულების შესახებ საგულისხმოა მეფე ერეკლე I-ის მიერ თორღის ციხისთავიშვილ იოანესადმი ბოძებული სიგელი [74, გვ. 170—171], რომელშიც საუბარია კახეთის სოფელ ფშაველზე და რომელიც ფშაველთა გადმოსახლების შედეგადაა წარმოქმნილი. სიგელში ნახსენებია ხატ-სალოცავი წყაროსთავი, რომელიც უკანაფშავიდან გადმოტანილი ხატის ნიშია. აშკარაა, რომ ფშავიდან ჩამოსახლებულებს ხატმსახურება გარკვეული სახით მთიდან ჰქონდათ მოყოლილი, რაზედაც უცილობლად მიუთითებს „წმინდის გიორგის წყაროსთავის" დეკანოზის ინსტიტუტი. დეკანოზი კი როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ჯვარ-ხატების მესვეურთა — ხევისბერის, ხუცესის პარალელური ტერმინი იყო და ისინი რელიგიური ხასიათის მოღვაწეობასთან ერთად სოციალური (საერო) ხასიათის საქმიანობასაც ეწეოდნენ [49]. ისიც საგულისხმოა, რომ ფშაველის წყაროსთავი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებული ტერმინით „ხატი" მოიხსენიება.

ამრიგად, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები, ისე ადრინდელი წერილობითი საბუთები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მთისწინეთსა და ბარში გადმოსახლებული მთიელების ყოფის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. მთიდან მოსულებს თან მოჰქონდათ მთური სინკრეტული რწმენა-წარმოდგენები, ხატმსახურება, დღეობათა რიტუალები და სხვა, რომლებიც დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდნენ და უახლოვდებოდნენ ბარისათვის დამახასიათებელ ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებს.

რა მიმართებაში იყვნენ მთიდან მოსულები ისეთ სოციალურ ყოფით მოვლენასთან, როგორიცაა ქორწინება? ქორწინებისას გადმოსახლებულები მკაცრად იცავდნენ ეგზოგამიას. ხშირ შემთხვევაში ადრე გადმოსახლებულთ, იცვლიდნენ რა გვარს, კარგად ახსოვდათ ადრინდელი გვარი და ქორწინების ფაქტს ყოფილ მოგვარესთან, ან თუ გინდ თავისი სალოცავის ყმასთან არ დაუშვებდნენ.

მიგრანტი ფშავ-ხევსურები საქორწინო ურთიერთობაში შედიოდნენ როგორც გადმოსახლების ადგილზე დამხვდურ მოსახლეობასთან, ისე თავისი კუთხის წარმომადგენლებთან. პირველი შემთხვევა მო-

სული და ადგილობრივი მოსახლეობის კონტაქტების შესანიშნავი მაგალითია. ოჯახში ახალ მოსულ რძალს ადგილობრივი ტრადიციები მოჰქონდა; მისი საშუალებით გადმოსახლებული ოჯახი ბევრ ახალს, ადგილობრივს ეზიარებოდა. ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალებში ნათლად ჩანს მთის მოსახლეობის მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებიც, რაც მაგალითად, იმაში გამოიხატა, რომ XIX ს. II ნახევარში ხევსურეთიდან გადმოსახლებული თავის მიწას ყიდდა, ანდა თავისი ყოფილი მიწის ნაკვეთიდან მოსავლის გარკვეულ ნაწილს იღებდა. ცხადია, რომ ეს საკითხები ისტორიულ შეფასებას მოითხოვს და სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენს. სამწუხაროდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს პროცესები არც ქრონოლოგიური და არც სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით თანამიმდევრული კვლევის ხასიათს არ ატარებს, რაც შეიძლება შესატყვისი წერილობითი და ეთნოგრაფიული მასალების ნაკლებობით აიხსნას.

✓ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხევსურეთიდან მოსახლეობის აყრა-გადმოსახლების შესახებ არსებული გადმოცემები. გადმოცემით, გუდამაყრის ორი მთავარი გვარი: ბექაურები და წიკლაურები, აგრეთვე ჭართლელი გიგაურები ხევსურეთიდან არიან გადმოსახლებული; პირველი ორი გვარი სოფ. უკანახოდან, მესამე—გველეთ-მოწმაო-დათვისიდან. აღნიშნული გვარების ხევსურეთიდან გადმოსახლების შემდეგ მათ საცხოვრებელში სხვა გვარის ხევსურები (ჭინჭარაულები, არაბულები) დასახლებულან. როდესაც გუდამაყრელი მლოცველები (წიკლაურ-ბექაურები) უკანახოში თავიანთი ხატის სალოცავად მოდიოდნენ, უკანახოელი ჭინჭარაულები ვალდებული იყვნენ, დახვედროდნენ მათ ოთხი-ხუთი საკლავით, თაფლით, პურით, საგანგებოდ ნადუღარი ლუდით. ასევე ყოველწლიურად ხუთ ცხვარს აძლევდნენ მთავარანგელოზის სალოცავში მისულ გიგაურებს მათ ნაფუძარზე შემდეგ დასახლებული ხევსურები. ამასთანავე, ჭართლიდან მოსულ გიგაურებს არაბულები ხვდებოდნენ თაფლით, თითო ჯამი ხავიწით [68, გვ. 12—15].

✓ ვფიქრობთ, რომ თ. ოჩიაურის მიერ აღწერილი და სწორად კვალიფიცირებული ეს მასალა ანალოგიას უნდა პოულობდეს ჩვენს მიერ ფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალასთან: XIX ს. II ნახევარში ხევსურეთიდან გადმოსახლებული მიწას ყიდის. ამ შემთხვევაში კი საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების აშკარა სურათი ჩანს.

კომენტარს თუ გავუკეთებთ ვაჟა-ფშაველას სიტყვებს, რომ ერწო-

თიანეთში ჩამოსახლებულ „ყველა ჯურის მთიელს თავისი საკუთარი ბეჭედი აზის, ყველას თავისი განსხვავებული ფერი სდევს. გიკვირთ, თუ რისაგან და როგორ მოხდა, რომ პატარა ადგილს მეზობლად დასახლებულმა ათასნაირად აჭრელებულმა ხალხმა აქამომდე მტკიცედ დაიცვა თავისი საკუთარი ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და სხვ, — ფშაველი ფშავლად დარჩა, ხევსური — ხევსურად...“ [38-ბ, გვ. 44], საჭირო იქნება დავსძინოთ, რომ მთიდან მოყოლილი ეთნოგრაფიული თავისებურებები ვაჟას დროს (წერილი ვაჟას 1885 წ. დაუწერია) შემონახული ჰქონდათ XIX ს-ში, განსაკუთრებით XIX ს. II ნახევრიდან, ჩამოსახლებულ მთიელებს და აგრეთვე მათ, ვინც უფრო ადრე კომპაქტურად იყვნენ დასახლებული. XVII—XVIII სს-ში ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულ მთიელებზე შეიძლება ითქვას, რომ XIX ს-ში მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ ის, რაზედაც ასე უსვამს ხაზს ვაჟა-ფშაველა და „გათიანებულნი“ იყვნენ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივრის ხეობის ზემო წელში კომპაქტურად დასახლებულ ფშავლებს).

მთიდან გადმოსახლებული მოსახლეობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ისინი თავიანთი შეგნებით, რელიგიური მრწამსით ისევ იმ საზოგადოების წევრები იყვნენ, საიდანაც მოდიოდნენ: თავს ვალდებულად თვლიდნენ ყოველწლიურად წასულიყვნენ მამა-პაპის სალოცავში. შემდეგ, თაობათა ცვლის მანძილზე, ძველ საცხოვრებელ გარემოსთან ურთიერთობის ეს ფორმა თანდათან სუსტდება. მომავალი თაობა წინაპართა სალოცავს უკვე იშვიათად მიაკითხავს: სამაგიეროდ, სალოცავის ნიში გადმოაქვს და ამით თითქმის წყვეტს წინაპართა საცხოვრებელ ადგილთან ურთიერთობას, თუმცა გადმოსახლებულის შთამომავლების უმეტესობა ერთხელ მაინც ნახავდა სალოცავის საშუალებით იმ სოფელს, საიდანაც მისი წინაპრები გადმოსახლდნენ.

## § 5. ენობრივ-დიალექტური ცვლილებები

ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, რომ ერწო-თიანეთი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ზეგანს წარმოადგენდა, სადაც ქართველ მთიელთა მიგრაცია აშკარად დასტურდება XVII საუკუნიდან. აქ დღეს მოსახლეობის რამდენიმე ფენას გამოყოფენ. ივრის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთში თვით მოსახლეობა ერთმანეთისაგან განასხვავებს თიანელებს, ფშავლებს, ხევსურებს, მთიულებს და გუდამაყრელებს. პირველნი ხშირად კახებადაც იწოდებიან ერწო-თიანეთში მცხოვრები (XIX ს. II ნახევრიდან ჩამოსახლებული) ფშავ-ხევსურების მიერ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინიც კი, ვინც თიანელებად იწოდებიან და მეტყვე-

ლებენ ე. წ. თიანურ კილოზე [34, გვ. 145—146; 97], თავის დროზე, XVII—XVIII ს. და XIX ს. I ნახევარში, გადმოსახლებული არიან ფშავ-ხევსურეთიდან.

XIX ს. II ნახევრიდან ერწო-თიანეთში მოსულმა ფშავ-ხევსურებმა დამხვდურ მოსახლეობას კახები უწოდეს. ყოველივე ეს კარგად აისახა დღევანდელი თიანეთის რაიონის მოსახლეთა მეტყველებაში, სადაც ენათმეცნიერები გამოყოფენ სწორედ საკუთრივ თიანურ, ივრისხეულ ფშაურსა და ივრისხეულ ხევსურულ ერთეულებს [34; 97].

სხვადასხვა წყაროებით ჩანს, რომ ე. წ. თიანურად მეტყველებენ ასევე ფშავ-ხევსურეთიდან, მთიულეთ-გუდამაყრიდან XIX ს. II ნახევრამდე გადმოსახლებულები, ის სოფლები, რომელთა მცხოვრებთაც თავიანთი ფშაური, თუ ხევსურული წარმოშობა მხოლოდ გადმოცემითღა ახსოვთ. ნიშანდობლივია ამ მხრივ მასწავლებელ რ. იარაჯულის სიტყვები: „მე ჩამომავლობით ხევსური ვარ, მაგრამ არავითარი ნიშანწყალი ხევსურისა არ გამაჩნია, გარდა გვარისა. ასეთი შემთხვევები უამრავია" [34, გვ. 149] (ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ იარაჯულები თიანეთში ხევსურეთიდან XVII ს. არიან მიგრირებულნი). გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს XV—XVI სს. ივრის ხეობის სათავეებში ჩამოსახლებულ ფშაველთა მეტყველება, რომელმაც ფშაური კილო შემოინახა, ალბათ, აქ განსაკუთრებით კომპაქტურად მოსახლეობისა და ბუდეფშავთან სიახლოვისა თუ კავშირის გამო. ფშაურსა და ხევსურულზე მეტყველებენ ერწო-თიანეთში შედარებით გვიან, XIX ს. II ნახევრიდან, ჩამოსახლებულნი. XIX ს. II ნახევრიდან ფშავ-ხევსურეთიდან აქ მოსულებმა შეინარჩუნეს თავდაპირველი საცხოვრისისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები; ჩანს, დრომ ვერ მოასწრო მათი თიანურ კილოსთან შერწყმა.

როგორც ენათმეცნიერ გ. ცოცანიძის გამოკვლევიდან ჩანს, საკუთრივ თიანურში კარგად არის შემონახული როგორც ფშაურისათვის, ისე ხევსურულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები (მაგალითად „ჴ" ფონემა) — შერწყმული კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებთან. ეს ენობრივი მონაცემები სრულიად თანხვდება ამ რეგიონში მთიდან მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით შესწავლის შედეგებს. ჩანს, დღევანდელმა თიანურმა მეტყველებამ (თავის დროზე კი ფშაურმა და ხევსურულმა დიალექტებმა) კარგად აითვისა ნაწილობრივ აქ დარჩენილი ძირძველი მოსახლეობის — ძველი თიანელების მეტყველება და მის წარმოქმნას, რაც მთავარია, აგრეთვე, ხელი შეუწყო კახეთის ბართან სიახლოვემ.

გ. ცოცანიძის დასკვნა თიანური დიალექტის შესახებ, რომ „თიანურს ყველაზე მეტი საერთო აქვს კახურთან და შეიცავს ფშაურის თა-

